



Հայր Ալիև  
Ահա ազգային սահման սահման արդարացնելու լուծարություն

# ՅԱՐԵՎԱՆ

მირზალი გურგუზოვი  
რასიმ აკლურაზაგოვი  
როვენ ალიევი  
დილრუნ ალიევა

7

## **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-7 კლასისათვის ფიზიკის საგნის სახელმძღვანელო**

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და წინადაღებები გამოაგზავნოთ [bn@bakineshr.az](mailto:bn@bakineshr.az) და [derslik@edu.gov.az](mailto:derslik@edu.gov.az) ელექტრონულ მისამართებზე. წინასწარ მადლობას მოგაბახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

B A K I S N E S S R



ဇန. ၂၀၁၇

7

# ଓଡ଼ିଆ

შინაარსი

## 1. მექანიკური მოძრაობა

1.1. მექანიკური მოძრაობის აღწერა . . . . .	8
1.2. წრფივი თანაბარი მოძრაობა . . . . .	11
1.3. მოძრაობის ფარდობითობა . . . . .	13
1.4. წრფივი არათანაბარი მოძრაობა . . . . .	16
1.5. მოძრაობის წარმოდგენა გრაფიკულად . . . . .	18
1.6. თანაბარი მოძრაობა წრეზირზე: მოძრაობის პერიოდი და სიხშირე . . . . .	22
1.7. სიჩქარე და აჩქარება წრეზირზე თანაბარი მოძრაობის დროს . . . . .	25
• შემაჯურიმებელი დავალებები . . . . .	28

## 2. მექანიკური მოძრაობის წარმოშობის მიზანები

2.1. ძალა. ძალების ტოლქემედი	30
2.2. სხეულის ინერტულობა. ნიუტონის პირველი კანონი	32
2.3. ნიუტონის მეორე კანონი	34
2.4. ნიუტონის მესამე კანონი	37
2.5. მსოფლიო მიზიდულობის კანონი	39
2.6. სიმძიმის ძალა	42
2.7. დრეკადობის ძალა. ჰუკის კანონი	45
2.8. წონა	48
2.9. ხახუნის ძალა	50
• შემაჯამებელი დავალებები	54

### 3. მექანიკური გუგაობა და ენერგია

3.1. მექანიკური მუშაობა . . . . .	56
3.2. სიმძლავრე . . . . .	59
3.3. ენერგია. პოტენციური და კინეტიკური ენერგია . . . . .	61
3.4. რაზეა დამოკიდებული პოტენციური ენერგია? . . . . .	64
3.5. რაზეა დამოკიდებული კინეტიკური ენერგია? . . . . .	67
3.6. ენერგიის მუდმივობის კანონი . . . . .	71
• შემაჯამებელი დავალებები . . . . .	74

## 4. ცენტა

4.1. მყარი სხეულის წნევა . . . . .	76
4.2. აირების წნევა . . . . .	78
4.3. სითხეების წნევა . . . . .	80
4.4. წნევის გადაცემა სითხეებსა და აირებში . . . . .	82
4.5. ზიარჭურჭელი . . . . .	84
4.6. ჰიდრავლიკური მანქანა . . . . .	85
4.7. ატმოსფერული წნევა . . . . .	88
4.8. ატმოსფერული წნევის გაზომვა . . . . .	90
4.9. არქიმედეს კანონი . . . . .	93
4.10. სხეულების ცურვის პირობები: გემების ცურვა, ჰაერნაოსნობა • შემაჯამებელი დავალებები . . . . .	97 102

## 5. მარტივი მეცნიერები. სხეულების წონასწორობა

5.1. მარტივი მექანიზმები. ბერკეტი . . . . .	104
5.2. ჭოჭონაქები . . . . .	107
5.3. დახრილი სიბრტყე	110
5.4. მექანიკის „ოქროს წესი“. დახრილი სიბრტყის მარგი ქმედების ცოდნისას (მექ.) . . . . .	112
5.5. სხეულების წონასწორობა • შემაჯამებელი დავალებები . . . . .	115 118

## 6. მეცნიერი რევენი და ტალღები

6.1. რხევითი მოძრაობა. მექანიკური რხევები . . . . .	120
6.2. რხევითი მოძრაობის დამახასიათებელი ფიზიკური სიდიდეები . . . . .	123
6.3. ტალღა. მექანიკური ტალღები . . . . .	126
6.4. მექანიკური ტალღის სახეები, ტალღის დამახასიათებელი ფიზიკური სიდიდეები . . . . .	128
6.5. ბგერითი ტალღები . . . . .	132
6.6. ბგერის სიჩქარე. ექო . . . . .	136
6.7. ტალღები, რომლებსაც ადამიანის ყური ვერ შეიგრძნობს. სეისმური ტალღები . . . . .	140
• შემაჯამებელი დავალებები . . . . .	144


## სახელმძღვანელოს გაცნობა

სახელმძღვანელოში ყოველი თემისთვის, მასალის ხასიათის გათვალისწინებით, გამოყენებულია თხრობის გარკვეული თანმიმდევრობა:

-


# მექანიკური მოძრაობა

1



კვ. 7-28

- 1.1. მექანიკური მოძრაობის დახასიათება
- 1.2. წრფივი თანაბარი მოძრაობა
- 1.3. მოძრაობის ფარდობითობა
- 1.4. წრფივი არათანაბარი მოძრაობა
- 1.5. მოძრაობის გრაფიკული წამოდგენა
- 1.6. თანაბარი მოძრაობა წრენირზე:  
ბრუნვის პერიოდი და სიხშირე
- 1.7. სიჩქარე და აჩქარება წრენირზე  
თანაბარი მოძრაობის დროს
- შემაჯამებელი დავალებები



## 1.1. მექანიკური მოძრაობის დახასიათება

გასულ წელს თქვენ გარკვეული ცოდნა შეიძინეთ მექანიკური მოძრაობის შესახებ. მექანიკური მოძრაობის შესწავლის მიზანია სხეულის მდებარეობის განსაზღვრა სივრცეში დროის ნებისმიერ მომენტში. მაგალითად, განსაზღვრულია, რომ ასტრონავტი, რომელიც მარსზე გაფრინდება, დედამიწაზე 501 დღის შემდეგ შეძლებს დაბრუნებას.



- რა არის მექანიკური მოძრაობა?
- მექანიკური მოძრაობის რომელ სახეებს იცნობთ?

კვლევითი საშუალო: როგორ მოძრაობაა?



იმსჯელეთ შედეგებზე: მოახდინეთ განხილული მოძრაობების კლასიფიკაცია.

მექანიკური მოძრაობის დახასიათების დროს გამოიყენება რამდენიმე ცნება: ათვ-ლის სხეული, ათვლის სისტემა, მატერიალური წერტილი, ტრაექტორია, გავლილი მანძილი, გადაადგილება, დროის შუალედი (ან უბრალოდ - დრო), სიჩქარე და სხვ.

- ათვლის სხეული არის სხეული, რომლის მიმართაც შევისწავლით მოძრაობას. სივრცეში სხეულის მდებარეობის განსაზღვრად საჭიროა ათვლის სხეულთან დაკავშირებული საკოორდინაციო სისტემა და დროის საზომი ხელსაწყო.
- ათვლის სხეული, მასთან დაკავშირებული საკოორდინაციო სისტემა და დროის საზომი ხელსაწყო ერთად არის **ათვლის სისტემა**.

სხეულის მოძრაობის შესწავლის დროს გარკვეულ როლს თამაშობს მისი ზომები. თუმცა არის შემთხვევები, როცა სხეულის ზომებს მხედველობაში არ იღებენ, ანუ სხეულს მატერიალურ წერტილად მიიჩნევენ. მაგალითად, თვითმფრინავის მოძრაობის შესწავლისას, რომელიც დედამიწის ზედაპირიდან 10 კილომეტრის სიმაღლეზე მიფრინავს, მას განიხილავთ, როგორც მატერიალურ წერტილს, რადგან დედამიწაზე მყოფი დამკვირვებლისთვის თვითმფრინავის ზომები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მისი დაშორება დედამიწიდან.

- სხეულს, რომლის ზომები მოცემულ პირობებში შეგვიძლია უგულებელვყოთ, მატერიალური წერტილი ენოდება.

ტრაექტორია არის წირი, რომელსაც მატერიალური წერტილი შემოწერს მოძრაობის დროს. მაგ., კვალი, რომელსაც ტოვებს კალმის წვერი ფურცელზე მოძრაობის დროს (ა). ტრაექტორიის ფორმის მიხედვით მოძრაობა შეიძლება იყოს წრფივი და მრუდნირული.

- **გავლილი მანძილი** არის იმ ტრაექტორიის სიგრძე, რომელსაც სხეული აღწერს მოძრაობისას. თუ გავზომავთ ტრაექტორიის სიგრძეს საწყისი წერტილიდან ბოლო წერტილამდე, შევძლებთ განვიაზლვროთ გავლილი მანძილი (ან უბრალოდ მანძილი).

გავლილი მანძილი დადგითით სკალარული სიდიდეა და ალინიშნება / ან s ასოთი. გავლილი მანძილი ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში (SI) იზომება მეტრებით (მ):

$$[l] = 1 \text{ მ.}$$

- **გადაადგილება** წრფის მიმართული მონაკვეთია, რომელიც აერთებს მოძრაობის ტრაექტორიის საწყის და საბოლოო წერტილებს. გადაადგილების მოდული (ანუ ვექტორული სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობა) არის განსახილველი მოძრაობის ტრაექტორიის ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი (ბ).



გადაადგილება ვექტორული სიდიდეა და ალინიშნება ვექტორული სიდიდეს საზომი ერთეული საერთაშორისო სისტემაში არის მეტრი (მ) : [s] = 1 მ.



- **დროს შეაღები** ან დრო არის მოძრაობის ხანგრძლივობა. მაგ., პეტონბუს ბაქოდან სუმგათამდე გზის გასავლელად 40 წთ. სჭირდება. დრო აღინიშნება t ასოთი და SI სისტემაში იზომება წამებით: [t] = 1 წ. დრო წუთებით (წთ.) და საათებითაც (სთ.) იზომება:

$$1 \text{ წ.} = 60 \text{ წმ., } 1 \text{ სთ.} = 60 \text{ წ.} = 3600 \text{ წმ.}$$



- **სიჩქარე** არის დროის ერთეულში შესრულებული გადაადგილება. სიჩქარე ვექტორული სიდიდეა, ალინიშნება ასოთი თავზე ვექტორის ნიშნით: წ. სიჩქარის ვექტორი მიმართულია გადაადგილების ვექტორის გასწვრივ (გ). გამოთვლების დროს გამოიყენება სიჩქარის ვექტორის მოდული (რიცხვითი მნიშვნელობა).



- სიჩქარე ფიზიკური სიდიდეა, რომელიც ტოლია გადაადგილების სიდიდის შეფარდებისა მდროსთან, რომელიც ამ გადაადგილების შესრულებას დასჭირდა:

$$\vec{v} = \frac{\vec{s}}{t}$$


SI სისტემაში სიჩქარის საზომი ერთეულია:  $1 \frac{\text{მ}}{\text{წ}}$ .

$$[v] = \frac{[s]}{[t]} = \frac{1 \text{ მ}}{1 \text{ წ}} = 1 \frac{\text{მ}}{\text{წ}}.$$

პრაქტიკაში იყენებენ სიჩქარის საზომ სხვა ერთეულებსაც:

$$\frac{1 \text{ კმ}}{1 \text{ სთ.}}, \frac{1 \text{ კმ}}{1 \text{ წ}}, \frac{1 \text{ სმ}}{1 \text{ წ}}$$

სიჩქარე იზომება ხელსაწყოთი, რომელსაც სპიდომეტრი ეწოდება (დ).



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

შეასრულეთ შესაბამისი გარდაქმნები სხვადასხვა სიჩქარისთვის:  
დელფინის მოძრაობის სიჩქარე:

$$v_{\text{დ}} = 20 \frac{\text{მ}}{\text{წ}} = 20 \cdot \frac{1000 \frac{\text{მ}}{\text{წ}}}{\frac{1}{3600} \frac{\text{ს}}{\text{თ}}} = 20 \cdot \frac{36 \frac{\text{მ}}{\text{წ}}}{10 \frac{\text{ს}}{\text{თ}}} = 72 \frac{\text{მ}}{\text{ს}}.$$

ლოკომოტივის მოძრაობის სიჩქარე:  $v_{\text{ლ}} = 0,002 \frac{\text{მ}}{\text{წ}} = \boxed{\phantom{00}} \frac{\text{მ}}{\text{ს}}.$

თვითმფრინავის სიჩქარე:  $v_{\text{თ}} = 1800 \frac{\text{მ}}{\text{ს}} = 1800 \cdot \frac{1000 \frac{\text{მ}}{\text{წ}}}{3600 \frac{\text{წ}}{\text{თ}}} = 1800 \cdot \frac{10 \frac{\text{მ}}{\text{წ}}}{36 \frac{\text{წ}}{\text{თ}}} = 500 \frac{\text{მ}}{\text{წ}}.$

კოსმოსური ხომალდის სიჩქარე:  $v_{\text{ხ}} = 28800 \frac{\text{მ}}{\text{ს}} = \boxed{\phantom{0000}} \frac{\text{მ}}{\text{წ}}.$

## რა შეიტყვეთ?

სხეულს, რომლის მიმართაც განიხილება მოძრაობა, —— ეწოდება. სხეულს, რომლის ზომები მოცემულ პირობებში შეიძლება უგულებელყოთ, ეწოდება —— . —— არის ნირი, რომლის გასწვრივაც მოძრაობს მატერიალური წერტილი. მოძრაობის ტრაექტორიის სიგრძე არის —— . —— შუალედა არის განსახილველი მოძრაობის ხანგრძლივობა. გადაადგილებას შეფარდებას დარღსთან, რომელიც მის შესრულებას დასჭირდა, ეწოდება —— . წრფის მიმართულ მონაკვეთს, რომელიც აერთებს მოძრაობის ტრაექტორიის საწყის და საბოლოო წერტილებს, —— ეწოდება.

### საკვანძო სიტყვები

სიჩქარე  
გადაადგილება  
ათვლის სხეული  
ტრაექტორია  
მატერიალური  
წერტილი  
დრო  
გაულილი მანძილი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- როგორ შეგვიძლია ფორმის მიხედვით მოძრაობის ტრაექტორიების კლასიფიცირება?
- რით განსხვავდება გავლილი მანძილი გადაადგილებისგან?
- რომელი ფორმულით გამოითვლება სიჩქარე?
- ავტომობილმა 10 წთ-ში 20 კმ გაიარა. რა სიჩქარით მოძრაობს ავტომობილი?

## 1.2. ტრანსიტი თანაბარი მოძრაობა

სწორხაზოვან პილიკზე 60 მ-ის გასარბენად სპრინტერს 6 წმ სჭირდება.


- შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ დისტანციის ნებისმიერ ტოლ მონაკვეთებს სპრინტერი ერთი და იმავე სიჩქარით გაირბენს?



### კვლევითი სამუშაო-1. როგორ მოძრაობს სპორტსმენი ტრანსიტორიაზე და როგორია მისი სიჩქარე?

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. ყურადღებით შეისწავლეთ ნახატი, წამმზომის ჩვენების მიხედვით განსაზღვრეთ დროის შუალედები, რომელიც სპორტსმენს სჭირდება გზის მონაკვეთების გასარბენად (ა). 2. ქვემოთ მოყვანილი ფორმულების მიხედვით, გავლილი მანძილებისა და ამ მანძილის გასავლელად საჭირო დროების საშუალებით გამოთვალეთ გზის მონაკვეთების შესაბამისი მოძრაობის სიჩქარეები:

$$v_1 = \frac{l_1}{t_1}; v_2 = \frac{l_2}{t_2}; v_3 = \frac{l_3}{t_3}.$$



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. როგორ ტრანსიტორიაზე მოძრაობს სპორტსმენი? 2. რა  $t_1$ ,  $t_2$ ,  $t_3$  დროებს ხარჯავს სპორტსმენი შესაბამისად  $l_1$ ,  $l_2$ ,  $l_3$  მონაკვეთების გასარბენად? 3. რა სიჩქარით გაირბენს სპორტსმენი გზის თითოეულ მონაკვეთს? 4. რა სიჩქარით გაირბენს სპორტსმენი ტრანსიტორიის  $A - B$  მონაკვეთს? რა დასკვნის გაკეთება შეიძლება სპორტსმენის სიჩქარის შესახებ?

ნრფივი მოძრაობა, სიჩქარის მიხედვით, ორი სახისაა: თანაბარი და არათანაბარი. სხეულის მოძრაობას ნრფივ ტრანსიტორიაზე მუდმივი სიჩქარით ნრფივი თანაბარი მოძრაობა ეწოდება. მაგ., თუ ავტომობილი ნრფივად და თანაბრად მოძრაობს და 500 მ მანძილს 20 წმ-ში გაივლის, მისი სიჩქარე იქნება 25 მ/წმ.

ეს ნიშნავს, რომ ავტომობილი ყოველ 1 წმ-ში 25 მ-ის ტოლ მანძილს გავლის. ე. ი. თუ სხეული დროის ნებისმიერ ტოლ შუალედებში ერთნაირ მანძილებს გადის, სხეული თანაბრად მოძრაობს.

- თანაბარი მოძრაობის დროს სიჩქარის მიმართულება და სიდიდე (რიცხვითი მნიშვნელობა) არ იცვლება, ანუ მუდმივია:

$$\vec{v} = \text{const.}$$

წრფივი თანაბარი მოძრაობის დროს გავლილი მანძილი სიჩქარისა და დროის ნამრავლის ტოლია:  $l = vt$ .

## შეპანილი ცოდნის გამოყენება

**კვლევითი საშუალება-2. შევისწავლოთ საპნის ბუშტების მოძრაობა.**

**სამუშაოსთვის საჭიროა:** სადემონსტრაციო სახაზავი (100 სმ), ნამზაომი, საპნისა და გლიცერინის ნარევი, საპნის ბუშტების გასაპერი წვრილი მილი, შტატივი, სამაგრი.

**სამუშაოს მსვლელობა:** სახაზავი ვერტიკალურად დაამაგრეთ შტატივზე. საპნის ბუშტების გამოშვება დაიწყეთ სახაზავის მე-100 დანაყოფთან. 2. ჩართეთ წამზრმი და განსაზღვრეთ საპნის ბუშტის მიერ ყოველი მომდევნო 25 სმ-ის გასავლელად საჭირო დრო. შედეგები ჩაიწერეთ სამუშაო რეგულში. 3. გამოთვალეთ საპნის ბუშტის ვარდნის სიჩქარეები გზის აღნიშნულ ტოლ მონაკვეთებზე.

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რა სიჩქარით ვარდებოდა საპნის ბუშტი გზის თითოეულ მონაკვეთზე? 2. შეგვიძლია თუ არა, სიჩქარეების შედარების შემდეგ დავასკვნათ, რომ ეს თანაბარი მოძრაობაა? რატომ?



## რა შეითყვეთ?

----- ეწოდება სხეულის მოძრაობას წრფივ ტრაექტორიაზე, მუდმივი სიჩქარით. ასეთი მოძრაობის დროს სიჩქარის ----- არ იცვლება. წრფივი თანაბარი მოძრაობის დროს გავლილი მანძილი ----- ტოლია.

### საკანკო სიცავები

წრფივი თანაბარი სიდიდე და მიმართულება სიჩქარისა და დროის ნამრავლი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. ავტომობილი წრფივად და თანაბრად მოძრაობს და 30 წთ-ში 72 კმ-ს გადის. გამოთვალეთ ავტომობილის სიჩქარე.
2. რა მანძილს გაივლის მეტროს მატარებელი 1 წთ-ში, თუ მისი სიჩქარეა 108 კმ/სთ?
3. რას ნიშნავს გამოთქმა:  $\vec{v} = \text{const.}$

## 1.3 მოძრაობის ფარდობითობა

ნაზრინი სოფელში მიემგზავრებოდა და ავტომობილის ფანჯრიდან გარემოს აკვირდებოდა. უცებ მან მამას ინტერესით ჰქითხა: „მამა, თუ სახლებსა და ხეებს შევხედავთ, ჩვენ ვმოძრაობთ, თუ ჩვენს ავტომობილს შევხედავთ, უძრავები ვართ. რა გამოდის, ვმოძრაობთ თუ არა?“ მამამ უპასუხა, რომ მოძრაობა ფარდობითა.


- სწორი პასუხი გასცა თუ არა მამამ?
- რას ნიშნავს გამოთქმა „მოძრაობის ფარდობითობა“?

### კვლევითი სამუშაო. ერთნაირია თუ არა ტრაექტორიები?

სამუშაოსთვის საჭიროა: ცენტრიდანული მანქანა, სახელურიანი სახაზავი, ფანქარი, ფურცელი (A4), წებო.

სამუშაოს მსვლელობა: 1. დააწერთ ფურცელი ცენტრიდანული მანქანის დისკზე, დაიჭირეთ სახაზავი დისკის ზედაპირთან და სთხოვეთ მეგობარს, დისკი თანაბრად დაატრიალოს. 2. შეეცადეთ, სახაზავის საშუალებით დისკის ცენტრზე გამავალი სწორი ხაზი გავლოთ (ა).

3




#### იმსჯელეთ შედეგებზე:

1. როგორ ტრაექტორიაზე მოძრაობს ფანქარი სახაზავის მიმართ?
2. როგორ ტრაექტორიას შემოწერს ფანქარი მბრუნავ ფურცელზე?

მოძრაობის ტრაექტორიის ფარდობითობა. ეს ნიშნავს, რომ მოძრაობის ტრაექტორიის ფორმა სხვადასხვა სხეულის მიმართ, შესაძლოა, განსხვავებული იყოს. მაგ., ჩატარებულ კვლევაში ფანქარი სახაზავის მიმართ წრფივ ტრაექტორიაზე მოძრაობს, ხოლო ფურცლის მიმართ – სპირალურ ტრაექტორიაზე.

სიჩქარეც ფარდობითია. მაგ., მოძრავი მატარებლის მგზავრი ვაგონის მიმართ უძრავია, ხოლო რკინიგზის, ხეების, სახლების მიმართ მოძრაობს. როგორც წესი, როდესაც ვლაპარაკობთ სხეულის მოძრაობის სიჩქარეზე, ვგულისხმობთ მოძრაობის სიჩქარეს დედამიწის ზედაპირის მიმართ. ზოგჯერ მოძრაობის შესწავლის დროს მის სიჩქარეს გამოითვლიან როგორც დედამიწის ზედაპირის, ისე სხვა მოძრავი სხეულის მიმართ.


მაგ., შევისწავლოთ კატარლის მოძრაობა მდინარეში. ამ შემთხვევაში განვიხილოთ კატარლის სიჩქარე როგორც ნაპირის მიმართ, ისე მდინარის დინების მიმართ (ბ).



**როგორ განისაზღვრება ფარდობითი სიჩქარე?** განვსაზღვროთ ავტომობილების ფარდობითი სიჩქარეები (გ). ყოველ ავტომობილზე ისრით ნაჩვენებია მოძრაობის მიმართულება და სიჩქარე დედამიწის ზედაპირის მიმართ. პირველი ავტომობილის სიჩქარე დედამიწის ზედაპირის მიმართ  $60 \frac{\text{კმ}}{\text{სთ-ის}}$  ტოლია, მეორე ავტომობილი იმავე მიმართულებით მოძრაობს და მისი სიჩქარე დედამიწის ზედაპირის მიმართ  $100 \frac{\text{კმ}}{\text{სთ-ის}}$  ტოლია. მათებატიკის კურსიდან თქვენთვის ცნიბილია, რომ მეორე ავტომობილის სიჩქარე პირველის მიმართ, როდესაც ისინი ერთი მიმართულებით მოძრაობენ, ტოლია  $v_{2,1} = v_2 - v_1$ ,

$$v_{2,1} = v_2 - v_1 = 100 \frac{\text{კმ}}{\text{სთ}} - 60 \frac{\text{კმ}}{\text{სთ}} = 40 \frac{\text{კმ}}{\text{სთ}}.$$

ე. ი. მეორე ავტომობილის სიჩქარე პირველი ავტომობილის მიმართ  $40 \frac{\text{კმ}}{\text{სთ-ის}}$  ტოლია.



მეორე ავტომობილის სიჩქარე მესამე ავტომობილის მიმართ, რომელიც საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს, გამოითვლება ფორმულით:

$$v_{2,3} = v_2 + v_3 = 100 \frac{\text{კმ}}{\text{სთ}} + 80 \frac{\text{კმ}}{\text{სთ}} = 180 \frac{\text{კმ}}{\text{სთ}}.$$

## შეძენილი ცოდნის გამოყენება

განსაზღვრეთ პირველი ავტომობილის სიჩქარე მესამე ავტომობილის მიმართ (იხ. ნახატი მე-14 გვ.-ზე). იმსჯელეთ შედეგებზე: 1. როგორია პირველი ავტომობილის სიჩქარე დედამიწის ზედაპირის მიმართ და მესამე ავტომობილის მიმართ? 2. რა დასკვნის გაკეთება შეიძლება მოძრაობის სიჩქარესთან დაკავშირებით?

### რა შეიტყვეთ?

----- არის მისი ფორმის მრავალ-ფეროვნება სხვადასხვა სხეულის მიმართ. როგორც წესი, როდესაც ვლაპარაკობთ სხეულის სიჩქარის შესახებ, ვგულისხმობთ მის სიჩქარეს -----.

როდესაც ვამბობთ -----, ვგულისხმობთ განსხვავებას სხეულის სიჩქარეებს შორის დედამიწის ზედაპირის მიმართ და სხვა სხეულების მიმართ.

### საკვადო სიტყვები

დედამიწის ზედაპირის მიმართ

სიჩქარეთა ფარდობითობა


ტრაექტორიის ფარდობითობა

### შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რას გულისხმობს ცნება „ტრაექტორიის ფარდობითობა“?
2. რატომ ვამბობთ, რომ მოძრაობა ფარდობითია?
3. რომელი ფორმულით გამოითვლება ერთი სხეულის სიჩქარე მეორე, შემსვედრი მიმართულებით მოძრავი, სხეულის მიმართ?
4. როგორ განისაზღვრება ერთი სხეულის სიჩქარე მეორის მიმართ მათი თანხვედრილი მიმართულებით მოძრაობის დროს?

### საკარგიშო – 1.

1. ნახატზე წარმოდგენილია სხეულის მოძრაობის ტრაექტორია მისი M პუნქტიდან N პუნქტში გადაადგილების დროს. როგორია, შესაბამისად, მისი გადაადგილება და გავლილი მანძილი?



2. მოტოციკლი 72 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს, ავტომუსი – 15 გ/წმ სიჩქარით, ხოლო ტროლეიბუსი – 1080 მ/წთ სიჩქარით. შეადარეთ ეს სიჩქარეები.
3. მეტროს ესკალატორს, რომელიც 75 სმ/წმ სიჩქარით მოძრაობს, მგზავრი ერთ წუთში აჰყავს. რა სიგრძისაა ესკალატორი?
4. ორი მატარებელი მოძრაობს ერთმანეთის შემსვედრი მიმართულებით, შესაბამისად 100 კმ/სთ და 80 კმ/სთ სიჩქარით. როგორია პირველი მატარებლის სიჩქარე მეორის მიმართ?

## 1.4. რეზივი არათანაბარი მოძრაობა

მეტროს მატარებელმა დაიწყო მოძრაობა სადგურ „საპილიდან“. სადგურ „იჩერიშეჰერში“ მატარებელი გაჩერდა.


**საპილი**

**იჩერიშეჰერი**

ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლი დროის ერთსა და იმავე შუალედებში სხვადასხვა მანძილს გადის.



გზაზე მოძრაობის დროს ავტომობილის სიჩქარე ხან მცირდება, ხან იზრდება, მაგ., სხვა ავტომობილის გასწრების დროს.



- შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ სადგურებს შორის მანძილი მატარებელმა ერთი და იმავე სიჩქარით გაიარა?


- რის თქმა შეგიძლიათ ვაშლის მოძრაობის შესახებ?

- რა შეგიძლიათ თქვათ ავტომობილის სიჩქარის შესახებ?

### კვლევითი სამუშაო-1. რა სიჩქარით მოძრაობს ურიკა?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** ურიკა, პლასტმასის ჭიქა, ძელი, ლარტყა (1 მ), შეფერადებული წყალი (0,5 ლ), პლასტილინი, ლურსმანი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. ხის ლარტყის ერთი ბოლო დადეთ ხის ძელზე – მიიღებთ მცირე დახრილობის სიბრტყეს. 2. პლასტმასის ჭიქა პლასტილინით დაამაგრეთ ურიკაზე, შემდეგ ლურსმნით ერთდღოულად გახვრიტეთ ჭიქის ფსკერი და ურიკა. 3. ჩაასხით შეფერადებული წყალი ჭიქაში და მიაღწიეთ მდგომარეობას, როდესაც წყალი, გარკვეული ინტერვალით, წვეთ-წვეთად გამოდის ჭიქიდან. 4. მოათავსეთ ურიკა დახრილი სიბრტყის ზედა ნანილში და გაუშვირ ხელი. მიაქციეთ ყურადღება ჩამოვარდნილ წვეთებს შორის მანძილებს ურიკის მოძრაობის დროს.



**იმსჯელეთ შედეგებზე:** ერთნაირია თუ არა წვეთებს შორის მანძილი ურიკის მოძრაობის დროს? შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ურიკა თანაბრად მოძრაობს?

- არათანაბარი ეწოდება მოძრაობას, როდესაც სხეული დროის ტოლ შუალედებში სხვადასხვა მანძილს გადის.

სხეულის მოძრაობა უძრაობის მდგომარეობიდან ან დამუხრუჭების დროს არა-თანაბარი მოძრაობაა. მაგ., სპორტსმენი 50 წმ-ის განმავლობაში 400 მ-ს გაირბენს. თუ გამოვთვლით, მისი სიჩქარე არის

$$U = \frac{\theta}{t\theta} \cdot$$

შეიძლება თუ არა დარწმუნებით იმის თქმა, რომ სპორტსმენი მთელ მანძილს ამ სიჩქარით გაირტებს? რა თქმა უნდა არა. სპორტსმენი მოძრაობას იწყებს უძრაობის მდგომარეობიდან, შემდეგ ზრდის სიჩქარეს და ცდილობს, ფინიშთან მაქსიმალური სიჩქარით მივიდეს.

ამრიგად, სიჩქარე  $U = \frac{\theta}{\text{წვ}}$  ნიშნავს, რომ სპორტსმენი ყოველ წამში საშუალოდ 8 მ მანძილს გადის. ამიტომ არათანაბარი მოძრაობის განხილვისას იყენებენ საშუალო სიჩქარის ცნებას:

• საშუალო სიჩქარე არის სიდიდე, რომელიც ტოლია სხეულის მიერ გავლილი მანძილის შეფარდებისა იმ დროსთან, რომელიც სხეულს მის გასავლელად დასჭირდა. საშუალო სიჩქარე გამოითვლება იმავე ფორმულით, რომლითაც მუდმივი სიჩქარე:

$$v_{\text{საშ}} = \frac{l}{t},$$

სადაც  $v_{\text{საშ}} -$  საშუალო სიჩქარეა,  $l -$  მთელი გავლილი მანძილი,  $t -$  დრო, რომელიც სხეულს დასჭირდა ამ მანძილის გასავლელად. ერთ-ერთი სიდიდე, რომელიც არათანაბარ მოძრაობას ახასიათებს, არის აჩქარება.

• აჩქარება არის სიდიდე, რომელიც დროის ერთეულში სხეულის სიჩქარის ცვლილების ტოლია:

$$\vec{a} = \frac{\vec{v} - \vec{v}_0}{t},$$

სადაც  $a -$  სხეულის აჩქარება,  $\vec{v}_0 -$  საწყისი სიჩქარე,  $\vec{v} -$  სხეულის საბოლოო სიჩქარე,  $t -$  დრო, რომლის განმავლობაშიც მოხდა სიჩქარის ცვლილება ( $\vec{v} - \vec{v}_0$ ).

აჩქარება ვექტორული სიდიდეა და SI სისტემაში მისი ერთეულია  $I \frac{\partial}{\text{წვ}^2}$ :

$$[a] = \frac{[v - v_0]}{[t]} = \frac{1 \frac{\partial}{\text{წვ}}}{1 \frac{\partial}{\text{წვ}}} = 1 \frac{\partial}{\text{წვ}^2}$$

## შემცილი ცოდნის გამოყენება

ამოხსენით ამოცანები მოყვანილი ნიმუშის მიხედვით.

1. წრფივად მოძრავმა ველოსიპედისტმა 1 წთ-ში 0,9 კმ მანძილი გაიარა, შემდეგ 40 წმ-ში – 400 მ მანძილი. როგორია ველოსიპედისტის მოძრაობის საშუალო სიჩქარე?

მოცემულია:	SI:	ამოხსნა:	გამოთვლა:
$s_1 = 0,9 \text{ კმ}$ $t_1 = 1 \text{ წთ}$ $s_2 = 400 \text{ მ}$ $t_2 = 40 \text{ წმ}$ $v_{\text{საშ.}} = ?$	$900 \text{ მ}$ $60 \text{ წმ}$	$v_{\text{საშ}} = \frac{s}{t},$ სადაც $s$ ველოსიპედისტის მიერ გავლილი მთელი მანძილია: $s = s_1 + s_2.$ $t -$ მთელი მანძილის გასავლელად საჭირო დრო: $t = t_1 + t_2.$ ველოსიპედისტის საშუალო სიჩქარე: $v_{\text{საშ}} = \frac{s_1 + s_2}{t_1 + t_2}.$	$v_{\text{საშ}} = \frac{900\partial + 400\partial}{60\partial + 40\partial} = \frac{1300\partial}{100\partial} = 13 \frac{\partial}{\partial}.$ პასუხი: $v_{\text{საშ}} = 13 \frac{\partial}{\partial}$

1. ავტომობილმა გზის პირველი ნახევარი, რომლის სიგრძე 300 კმ-ია, 3 სთ-ში გაიარა, გზის დარჩენილი ნაზილი – 2 სთ-ში. გამოთვალეთ ავტომობილის საშუალო სიჩქარე მთელ გზაზე.

2. აზერბაიჯანელმა სტაირმა (გრძელ დისტანციაზე მორბენალმა), ჰაილე იბრაგიმოვმა, 2011 წელს აზერბაიჯანის რეკორდი დაამტკა: მან 3000 მეტრი 7 წთ-სა და 40 წმ-ში გაირბინა. რა საშუალო სიჩქარით გარბოდა სპორტსმენი?

3. ავტობუსმა ავტოსადგურიდან დაიწყო მოძრაობა ( $v_0 = 0$ ) და 10 წმ-ში სიჩქარე 20 მ/წმ-მდე გაზარდა. განსაზღვრეთ ავტობუსის აჩქარება.

## რა შეიტყვეთ?

----- ეწოდება ისეთ მოძრაობას, რომლის დროსაც დროის ტოლ შუალედებში სხეული სხვადასხვა გადაადგილებას ასრულებს. სიდიდეს, რომელიც ტოლია სხეულის მიერ გავლილი მთელი გზის შეფარდებისა მის გასავლელად საჭირო მთელ დროსთან, ----- ეწოდება. სიდიდეს, რომელიც ტოლია სიჩქარის ცვლილებისა დროის ერთეულში, ----- ეწოდება.

### საკანონ სიტყვები

აჩქარება  
საშუალო სიჩქარე  
არათანაბარი მოძრაობა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რა ნიშნებით განსხვავდება არათანაბარი სიჩქარით მოძრაობა თანაბარი სიჩქარით მოძრაობისგან?
2. რატომ გამოიყენება არათანაბარი მოძრაობის დროს ფიზიკური სიდიდე, რომელსაც საშუალო სიჩქარე ეწოდება?
3. როგორ შეგვიძლია შევამოწმოთ სპიდომეტრის ჩვენების მართებულობა საათისა და გზის პირას განლაგებული მანძილის მაჩვენებლების მიხედვით?
4. რა არის აჩქარება?

## 1. 5. მოძრაობის ნარმოდგენა გრაფიკულად

ხშირად მექანიკურ მოძრაობას მოძრაობის დამახასიათებელ ფიზიკურ სიდიდეებს შორის დამოკიდებულების გრაფიკის საშუალებით წარმოადგენენ.

- როგორი სახე აქვს თანაბარი მოძრაობის სიჩქარის გრაფიკს?
- რით განსხვავდება თანაბარი მოძრაობის სიჩქარის დროზე დამოკიდებულებისა და გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკები?

### კვლევითი სამუშაო-1. როგორ მოძრაობს ესკალატორი?

სამუშაოსთვის საჭიროა: უჯრებიანი სამუშაო ფურცელი (რვეული), სახაზავი, ფერადი ფანქარი.  
სამუშაოს მსვლელობა: 1. ამოსენით ამოცანა: მეტროს ესკალატორზე უძრავად მდგომი არითი მეზობელ სანათებს შორის მანძილს 4 ნებ-ში გადის. ორ მეზობელ სანათს შორის მანძილი 3 მ-ია. განსაზღვრეთ, რა სიჩქარით მოძრაობს ესკალატორზე მდგომი არითი. 2. მონაცემები ჩაწერეთ ცხრილში და განსაზღვრეთ ესკალატორის სიჩქარე:





გავლილი გზის მონაცემები (s)	0-3 მ	3-6 მ	6-9 მ	9-12 მ	12-15 მ
დროის შუალედები (t)	0-4 წმ	4-8 წმ	8-12 წმ	12-16 წმ	16-20 წმ
სიჩქარე ( $v = \frac{s}{t}$ )	0,75 მ/წმ				

3. ცხრილის მონაცემების მიხედვით ააგთ სიჩქარის დროზე დამოკიდებულებისა და გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკები.

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. გააანალიზეთ ცხრილი და გააკეთოთ დასკვნა ესკალატორის მოძრაობის შესახებ. რა სიჩქარით მოძრაობს ესკალატორი?

2. რა დასკვნის გაკეთება შეიძლება გრაფიკების მიხედვით?





ნრფივი თანაბარი მოძრაობის გრაფიკულად წარმოდგენა შეიძლება:

1. სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკით (მოკლედ, სიჩქარ – დროის გრაფიკით);

2. გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკით (მოკლედ, მანძილი – დროის გრაფიკით)

– თანაბარი მოძრაობისას სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი დროის ღერძის პარალელური წრფეა (ა).


– თანაბარი მოძრაობისას გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი კოორდინატთა სათავეზე გამავალი წრფეა (ბ).



გავლილი მანძილის განსაზღვრა თანაბარი მოძრაობის გრაფიკის მიხედვით.

– სხეულის მიერ გავლილი მანძილი სიჩქარის გრაფიკითა და  $t$  ღერძით შემოსაზღვრული ფიგურის ფართობის რიცხვითი მნიშვნელობის ტოლია.

– თანაბარი მოძრაობის დროს გავლილი მანძილი სიჩქარის გრაფიკითა და დროის ღერძით შექმნილი მართკუთხედის ფართობის ტოლია. მართკუთხედის გვერდებია  $v$  და  $t$  (გ).



გავლილი მანძილის განსაზღვრა არათანაბარი მოძრაობის გრაფიკის მიხედვით.

- არათანაბარი მოძრაობის დროს გავლილი მანძილიც სიჩქარის გრაფიკითა და დროის ღერძით შექმნილი ფიგურის ფართობის ტოლია. ამ ფართობის გამოსათვლელად საჭიროა:







– დავყოთ არათანაბარი მოძრაობის სიჩქარის გრაფიკი – ტეხილი წირი – ნაწილებად. თითოეულ ნაწილსა და დროის ღერძს შორის წარმოიქმნება ფიგურები (სამკუთხედები, მართკუთხედები, ტრაპეციები), რომელთა ფართობი ადვილი გამოსათვლელია;

– გამოვთვალით თითოეული ფიგურის ფართობი;

– გავლილი მანძილი გამოთვლილი ფართობების ჯამის ტოლია.

## შეძენილი ცოდნის გამოყენება

გამოთვალეთ გავლილი მანძილი არათანაბარი მოძრაობის გრაფიკების მიხედვით.

მოძრაობა	სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი	გავლილი მანძილის გამოთვლა საჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკის მიხედვით
ველოსიპედისტის თავისუფალი დაშვება გორაკიდან (პედლების ტრიალის გარეშე).		
ავტომობილის დამუხრუჭება სრულ გაჩერებამდე.		
ავტობუსის მოძრაობა შემდეგ გაჩერებამდე.		


### რა შეიტყვეთ?

----- დროს ----- დროის ლერძის პარალელური წრფეა. ----- თანაბარი მოძრაობის დროს კოორდინატთა სათავეზე გამავალი წრფეა.


**საკვანძო ციტაცია**  
გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი  
სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი  
თანაბარი მოძრაობა

### შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების მოცემული გრაფიკის მიხედვით განსაზღვრეთ:
  - 5 წმ-ში გავლილი მანძილი;
  - 20 წმ-ში გავლილი მანძილი;
  - მოძრაობის სიჩქარე;
  - გავლილი მანძილის დროზე დამოკიდებულების მოცემული გრაფიკის მიხედვით ააგეთ სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი.




- სიჩქარის დროზე დამოკიდებულების მოცემული გრაფიკის მიხედვით განსაზღვრეთ:
  - 6 წმ-ში გავლილი მანძილი;
  - 12 წმ-ში გავლილი მანძილი.




## სავარჯიშო – 2

1. ნახატზე მოცემულია სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკები ველოსიპედისტისა (I) და მოტოციკლეტისტისათვის (II). რა მანძილს გაივლის თითოეული მათგანი 3 წთ-ში?




2. მარათონული გარბენის დროს სტაირი გაირბენს 18 კმ-ს 1 სთ-ში, შემდეგ 13 კმ-ს – 45 წთ-ში, ბოლო 11 კმ-ს – 35 წთ-ში. როგორია სტაირის საშუალო სიჩქარე მთელ მარათონულ დისტანციაზე?
3. ნახატზე მოცემულია გავლილი გზის დროზე დამოკიდებულების გრაფიკები სამი სხეულისათვის. შეადარეთ სხეულთა სიჩქარეები.



4.  $0,5 \text{ m}/\text{cm}^2$  აჩქარებით მოძრავი ავტომობილის სიჩქარე 72 კმ/სთ-იდან 108 კმ/სთ-მდე გაიზარდა. რა დრო დასჭირდა ავტომობილს სიჩქარის გასაზრდელად?

## 1.6. თანაბარი მოძრაობა წრენირზე. წრენირზე მოძრაობის პერიოდი და სისქირე

ბუნებასა და ტექნიკაში, წრფივი მოძრაობის გარდა, გვხვდება მრუდნირული მოძრაობაც. მოსახვევში ავტომობილის მოძრაობა (ა), პლანეტების მოძრაობა მზის ირგვლივ (ბ), გარკვეული სიმაღლიდან ჰორიზონტალურად გასროლილი ბურთის მოძრაობა (გ) – მრუდნირული მოძრაობის მაგალითებია.



- როგორი ტრაექტორია აქვს ყველაზე მარტივ მრუდნირულ მოძრაობას?
- როგორ ტრაექტორიაზე მოძრაობენ მბრუნავი დისკოს წერტილები?

### კვლევითი სამუშაო-1. როგორ ტრაექტორიაზე მოძრაობს სხეული?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** კაპრონის ძაფი (სიგრძით 30-40 სმ), ბურთულიანი კალმის ცარიელი ბუდე, ჩიგბურთის ბურთი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. განასკვეთ ძაფის ერთი ბოლო, მეორე ბოლო გააძვრინეთ კალმის ბუდეში და მასზე მიამაგრეთ ჩიგბურთის ბურთი. 2. თქვენმა მეგობარმა აიღოს კალმის ბუდე და ნელა დაატრიალოს ბურთი. დააკვირდით, როგორია ბურთის მოძრაობის ტრაექტორია (დ) 3. იმსჯელეთ მეგობრებთან ერთად, როგორია ტრაექტორია ბურთის სწრაფად ტრიალის დროს?

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. როგორ ტრაექტორიაზე მოძრაობს ბურთი? 2. რას ხედავთ, როდესაც ბურთი სწრაფად ბრუნავს?

წრენირზე მოძრაობა მრუდნირული მოძრაობის ყველაზე მარტივი სახეა. მბრუნავი ბორბლის ან დისკოს წერტილები წრენირზე მოძრაობს. წრენირზე მოძრაობის დროს სიჩქარის მოდული შეიძლება იცვლებოდეს, მაგრამ სიმარტივისთვის განვიხილოთ მოძრაობები, რომელთა სიჩქარის მოდული უცვლელია.



- თანაბარი მოძრაობა წრენირზე არის ისეთი მოძრაობა, რომლის სიჩქარის მოდული არ იცვლება:  $v = const$ .

თანაბარი მოძრაობა წრენირზე პერიოდული მოძრაობაა, ანუ ეს არის მოძრაობა, რომელიც დროის გარკვეული შუალედის შემდეგ მეორდება.

პერიოდული მოძრაობა ხასიათდება ორი ფიზიკური სიდიდით – ბრუნვის პერიოდითა და ბრუნვის სიხშირით.

- ბრუნვის პერიოდი ენოდება დროს, რომელიც სხეულს სჭირდება წრენირზე ერთი სრული ბრუნის შესასრულებლად:

$$T = \frac{t}{N}$$

სადაც  $T$  – ბრუნვის პერიოდია,  $N$  – შესრულებული სრული ბრუნების რაოდენობა,  $t$  – ბრუნების შესასრულებლად საჭირო დრო. SI სისტემაში ბრუნვის პერიოდის საზომი ერთეულია წამზ:

$$[T] = 1 \text{ წ.}$$

**რას ნიშნავს სრული ბრუნი სხეულის წრენირზე მოძრაობის დროს?**

თუ სხეულს რომელიმე  $A$  წერტილიდან ვაკვირდებით, როდესაც ერთი ბრუნის შესრულების შემდეგ ის ისევ  $A$  წერტილში აღმოჩენდება, ნიშნავს, რომ მან ერთი სრული ბრუნი შეასრულა (ე). თუ სხეული აგრძელებს წრენირზე მოძრაობას და  $A$  წერტილში 2-ჯერ, 3-ჯერ... გაივლის, ის 2, 3... სრულ ბრუნს შეასრულებს.

- ბრუნვის სიხშირე ფიზიკური სიდიდეა, რომელიც დროის ერთეულში შესრულებულ სრულ ბრუნვათა რიცხვის ტოლია.

ბრუნვის სიხშირე ალინიშნება  $n$  ასოთი. ბრუნვის სიხშირის განსაზღვრისათვის საჭიროა, სრულ ბრუნვათა რაოდენობა გავყოთ დროზე, რომელიც მათ შესასრულებლად დაიხარჯა:

$$n = \frac{N}{t}$$


ბრუნვის სიხშირის საზომი ერთეული SI ერთეულთა სისტემაში

$$[n] = \frac{1}{\text{წ.}}$$

ბრუნვის პერიოდი და სიხშირე ურთიერთშებრუნებული სიდიდეებია:

$$T = \frac{1}{n}, \quad n = \frac{1}{T}.$$

➊ ერთი სრული ბრუნი სხეულის წრენირზე მოძრაობის დროს



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

კვლევითი საშუალო-2. ბრუნვის პერიოდისა და სიხშირის განსაზღვრა.

სამუშაოსთვის საჭიროა: ჩოგბურთის ბურთი, რომელიც მიბმულია საწერი კალმის ცარიელ ბუდეზე, წამმზომი.

სამუშაოს მხვლელობა: ერთ-ერთმა თქვენგანმა კალმის ბუდით ნელა, თანაბრად დაატრიალოს ბურთი. თქვენ წამმზომით გაზომეთ დრო, რომელიც ბურთს სჭირდება ერთი სრული ბრუნის შესასრულებლად და შედეგი ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში. 2. გამეორეთ ცდა, გაზომეთ დრო, რომელიც ბურთს სჭირდება 10 და 15 სრული ბრუნის შესასრულებლად. 3. მიღებული შედეგების მიხედვით გამოთვალეთ ბურთის ბრუნვის პერიოდი და სიხშირე.

ცდის რიგითი ნომერი	სრულ ბრუნვათა რიცხვი	დახარჯული დრო (წმ)	ბრუნვის პერიოდი (წმ)	ბრუნვის სიხშირე (1/წმ)
1	N <sub>1</sub> =1	t <sub>1</sub> =	T <sub>1</sub> =	n <sub>1</sub> =
2	N <sub>2</sub> =10	t <sub>2</sub> =	T <sub>2</sub> =	n <sub>2</sub> =
3	N <sub>3</sub> =15	t <sub>3</sub> =	T <sub>3</sub> =	n <sub>3</sub> =

იმსჯელეთ შედეგებზე: მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება თუ არა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ბურთი წრენირზე თანაბრად მოძრაობს?

### რა შეიტყვეთ?



ყველაზე მარტივი მრუდწირული მოძრაობა არის ----- . დროს, რომელსაც სხეული ხარჯავს ერთი სრული ბრუნის შესასრულებლად, ----- ეწოდება. ფიზიკურ სიდიდეს, რომელიც დროის ერთეულში შესრულებულ სრულ ბრუნვათა რიცხვის ტოლია, ----- ეწოდება.

საკანონი სიტყვები  
ბრუნვის პერიოდი  
ბრუნვის სიხშირე  
წრენირზე მოძრაობა

### შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- რა კავშირია ბრუნვის პერიოდსა და ბრუნვის სიხშირეს შორის?
- წრენირზე თანაბარი მოძრაობის დროს 2 წთ-ის განმავლობაში წერტილი 1200 სრულ ბრუნს ასრულებს. გამოთვალეთ წერტილის ბრუნვის პერიოდი და სიხშირე.
- გამოთვალეთ სხეულის მიერ შესრულებული სრულ ბრუნვათა რაოდენობა 8 წმ-ის განმავლობაში, თუ სხეულის წრენირზე თანაბარი ბრუნვის სიხშირეა  $\frac{1}{6\theta}$ .

## 1.7. სიჩქარე და აჩქარება წრენილზე თანაბარი მოძრაობის დროს




- რა მიმართულებით გაიტყორცნება ნაპერნკლები დანის ლესვის დროს?
- როგორ ტრაექტორიაზე და რა მიმართულებით მოძრაობს ბორბლიდან ასხლეტილი ტალახის შეფეხი?

### კვლევითი სამუშაო-1. რა მიმართულება აქვს სიჩქარეს?

**კვლევისთვის საჭიროა:** პლასტმასის რგოლი, ჩოგბურთის ბურთი.

**სამუშაოს მსვლელობა:**

- დადეთ რგოლი მაგიდის ზედაპირზე. მოათავსეთ ბურთი მის შიგნით.
- აამოძრავეთ ბურთი ისე, რომ რგოლის შიდა ზედაპირს ეხებოდეს და ასრულებდეს წრიულ მოძრაობას (ა).
- გარკვეული დროის შემდეგ სწრაფად ასწიეთ რგოლი მაგიდის ზედაპირიდან და დააკვირდით ამ მომენტში ბურთის გადაადგილების მიმართულებას.
- გაიმეორეთ ცდა კიდევ ორჯერ და ორივეჯერ დააკვიდით ბურთის სიჩქარის ვექტორის მიმართულებას. რგოლი ასწიეთ, როდესაც ბურთი ტრაექტორიის სხვადასხვა წერტილში იმყოფება.



**იმსჯელეთ შედეგებზე:**


- რგოლის აწევის დროს ბურთის სიჩქარის რა მიმართულება დააფიქსირეთ მოძრაობის მოცემულ წერტილში?
- რა ჰიპოთეზა შეგიძლიათ გამოთქვათ წრენირზე მოძრავი სხეულის სიჩქარის ვექტორის მიმართულების შესახებ?

წრენირზე მოძრაობა ხასიათდება კიდევ ორი ფიზიკური სიდიდით: ხაზოვანი სიჩქარით და ცენტრისკენული აჩქარებით.

წრენირზე მოძრაობის დროს სხეულის ხაზოვანი სიჩქარე ტრაექტორიის ყოველ წერტილში მიმართულია ტრაექტორიის ამ წერტილში გავლებული წრენირის მხების გასწვრივ.

წრენირზე თანაბარი მოძრაობის დროს სხეულის ხაზოვანი სიჩქარის რიცხვითი მნიშვნელობა უცვლელი რჩება, სიჩქარის მიმართულება კი განუწყვეტლივ იცვლება.

ხაზოვანი სიჩქარის მიმართულების ცვლილების სისწრაფე ხასიათდება ცენტრისკენული აჩქარებით, რომელიც მიმართულია წრენირის რადიუსის გასწვრივ, წრენირის ცენტრისკენ (ბ).



## რაზეა დამოკიდებული ხაზოვანი სიჩქარე და ცენტრისკენული აჩქარება?

დავუშვათ, სხეული თანაბრად მოძრაობს  $R$ -რადიუსიან წრენირზე. დროის შუალედში, რომელიც ბრუნვის პერიოდის ტოლია ( $t = T$ ), სხეული გაივლის მანძილს, რომელიც წრენირის სიგრძის ტოლია:  $l = 2\pi R$ , ( $\text{სადაც } \pi = 3,14$ ). ამ შემთხვევაში ხაზოვანი სიჩქარის მოდული შეგვიძლია გამოვთვალოთ შემდეგნაირად:

$$v = \frac{l}{t} = \frac{2\pi R}{T}.$$

- მოცემული რადიუსის წრენირზე მოძრაობის დროს სხეულის ხაზოვანი სიჩქარე ბრუნვის პერიოდის უკუპროპორციულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრუნვის სიხშირე  $n = 1/T$ , შევძლებთ ფორმულის სახით ჩავწეროთ ხაზოვანი სიჩქარის დამოკიდებულება ბრუნვის სიხშირეზე:

$$v = 2\pi Rn.$$

- მოცემული რადიუსის წრენირზე მოძრაობის დროს ხაზოვანი სიჩქარე ბრუნვის სიხშირის პროპორციულია.
- წრენირზე თანაბარი მოძრაობის დროს ცენტრისკენული აჩქარება ხაზოვანი სიჩქარის კვადრატის წრენირის რადიუსთან შეფარდების ტოლია:

$$a = \frac{v^2}{R}.$$

## შეძენილი ცოდნის გამოყენება


ამოხსენით ამოცანები:

1. მატერიალური წერტილი თანაბრად მოძრაობს წრენირზე, რომლის რადიუსი  $2$  სმ-ია. განსაზღვრეთ მატერიალური წერტილის ბრუნვის პერიოდი და სიხშირე, თუ მისი ხაზოვანი სიჩქარე  $15$  მ/წმ-ია ( $\pi = 3$ ).

მოცემულია:	საზომი ერთეულების გადაყვანა:		ფორმულა:	ამოხსენა:
$R = 2$ სმ $v = 15$ მ/წმ $\pi = 3$	...		$v = \dots$ , $T = \dots$ , $n = \dots$	$T = \dots$ , $n = \dots$
$T - ?$ $n - ?$			პასუხი:	

2. სხეული ასრულებს თანაბარ მოძრაობას წრენირზე საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით.  $M$  წერტილიდან გამომავალ როტელ ვექტორს ემთხვევა სხეულის მოძრაობის ხაზოვანი სიჩქარე?

- ა) 1  
ბ) 2  
გ) 3  
დ) 4  
ე) 5



3. წერტილი მოძრაობს  $10$  მ რადიუსის წრენირზე  $4$  მ/წმ სიჩქარით. რის ტოლია მისი ცენტრისკენული აჩქარება?

- ა)  $1,6$  მ/წმ<sup>2</sup> ბ)  $0,4$  მ/წმ<sup>2</sup> გ)  $4$  მ/წმ<sup>2</sup> დ)  $0,16$  მ/წმ<sup>2</sup> ე)  $40$  მ/წმ<sup>2</sup>

## რა შეიტყვეთ?

სხეულის წრენირზე მოძრაობის დროს მისი ----- ტრაექტორიის ყოველ წერტილში მიმართულია წრენირის მხების გასწვრივ. ხაზოვანი სიჩქარის მიმართულების ცვლილების სისწრაფეს გამოხატავს -----, რომელიც მიმართულია წრენირის ცენტრისკენ.


**საკვანძო სიტყვები**  
ცენტრისკენული აჩქარება  
ხაზოვანი სიჩქარე

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. წრენირზე თანაბარი მოძრაობის დროს რომელ ფიზიკურ სიდიდეებზეა დამოკიდებული სხეულის ხაზოვანი სიჩქარის მოდული?
2. წრენირზე თანაბარი მოძრაობის დროს რომელ ფიზიკურ სიდიდეებზეა დამოკიდებული სხეულის ცენტრისკენული აჩქარების მოდული?
3. წრენირზე თანაბარი მოძრაობის დროს როგორ შეიცვლება ცენტრისკენული აჩქარება, თუ წრენირის რადიუსს 2-ჯერ გავზრდით?

## სავარჯიშო – 3



1. წრენირზე თანაბარი მოძრაობა იწყება წერტილიდან 1. ბრუნვის პერიოდის რა ნაწილი დაიხარჯება მე-2 წერტილამდე გასავლელ გზაზე?



2. სარეცხი მანქანის დოლი თანაბრად ბრუნავს და 1 წთ-ში 600 სრულ ბრუნს ასრულებს. როგორია დოლის ბრუნვის პერიოდი და ბრუნვის სიხშირე?
3. წრენირზე თანაბრად მოძრავი წერტილის ბრუნვის პერიოდი 10 წმ-ის ტოლია. რამდენ ბრუნს ასრულებს წერტილი 1 სთ-ში?
4. წრენირზე, რომლის რადიუსი 2 მ-ია, თანაბრად ბრუნავს წერტილი 5 მ/წმ სიჩქარით. გამოთვალეთ მისი ცენტრისკენული აჩქარება.
5. 4 მ რადიუსის წრენირზე თანაბრად მოძრავი სხეულის ბრუნვის სიხშირე  $\frac{1}{0,002 \frac{\text{წ}}{\text{მ}}}$ -ის ტოლია. გამოთვალეთ სხეულის ხაზოვანი სიჩქარე ( $\pi = 3$ ).

## გეოაკადემიული დავალებები


1. როგორია წრენირზე საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი სხეულის სიჩქარისა და აჩქარების ვექტორების მიმართულება N წერტილში?



2. რა ფროში გაივლის 8 კმ/წმ სიჩქარით მოძრავი კოსმოსური ხომალდი 960 კმ მანძილს?  
ა) 2 სთ. ბ) 1 სთ და 20 წთ. დ) 2 წთ. ე) 12 წთ. ვ) 12 წმ.

3. სხეული მოძრაობას იწყებს M პუნქტიდან და ნახაზზე ნაჩვენები ტრაექტორით ისევ M პუნქტში ბრუნდება. განსაზღვრეთ სხეულის მიერ გავლილი მანძილი და გადაადგილება.

- ა) გადაადგილება – 0 მ; მანძილი – 8 მ.  
ბ) გადაადგილება – 8 მ; მანძილი – 8 მ.  
გ) გადაადგილება – 24 მ; მანძილი – 24 მ.  
დ) გადაადგილება – 0 მ; მანძილი – 24 მ.  
ე) გადაადგილება – 24 მ; მანძილი – 0 მ.



4. ნახატზე გამოსახული ავტობუსები წრფივად და თანაბრად მოძრაობენ. ავტობუსების სიჩქარეებია შესაბამისად  $v_1 = 36$  კმ/სთ და  $v_2 = 72$  კმ/სთ. რა სიჩქარით მოძრაობს მეორე ავტობუსი პირველის მიმართ?

- ა) 72 მ/წმ; ბ) 20 მ/წმ; გ) 108 მ/წმ; დ) 36 მ/წმ; ე) 10 მ/წმ.



5. როგორია საათის წამების მაჩვენებელი ისრის ბრუნვის პერიოდი?

- ა) 12 წმ; ბ) 60 წმ; გ) 24 წმ; დ) 1 წმ; ე) 30 წმ.

# მექანიკური მოძრაობის წარმოქმნის მიზანი

## 2

გვ. 29-54

- 2.1. ძალა. ძალების ტოლქმედი
  - 2.2. სხეულის ინერტულობა.
  - 2.3. ნიუტონის პირველი კანონი
  - 2.4. ნიუტონის მეორე კანონი
  - 2.5. მსოფლიო მიზიდულობის კანონი
  - 2.6. სიმძიმის ძალა
  - 2.7. დრეკადობის ძალა. ჰუკის კანონი
  - 2.8. წონა
  - 2.9. ხახუნის ძალა
- შემაჯამებელი დავალებები



## 2.1. ქალა. ქალების ტოლემები

თუ დააკვირდებით ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენებს, თქვენ შეამჩნევთ სხეულის მოძრაობის დაწყებისა და მისი გაჩერების მომენტებს.

- რატომ იწყებენ სხეულები მოძრაობას ან რატომ ჩერდებიან მოძრავი სხეულები?

**კვლევითი სამუშაო. რა არის სხეულის სიჩქარის ცვლილების მიზეზი?**



სამუშაოსთვის საჭიროა: ორი ერთნაირი ურიკა, ქვიშით სავსე ტომარა, ვიწრო დრეკადი ფირფიტა, მაკრატელი, ძაფი, პლასტილინი.

**სამუშაოს მსვლელობა:**

I ეტაპი: 1. ურიკა დადგით მაგიდაზე. 2. ბიძგით აამოძრავეთ.

იმსჯელეთ შედეგებზე: 1. რატომ არის ურიკა უძრავ მდგომარეობაში? 2. რა არის საჭირო ურიკის ასამოძრავებლად?

II ეტაპი: 3. მოათავსეთ ქვიშიანი ტომარა ურიკის მოძრაობის გზაზე და დააკვირდით მოძრაობის პროცესს (ა).



იმსჯელეთ შედეგებზე: 1. ქვიშიან ტომარასთან შეჯახების შემდეგ რატომ იცვლება მხოლოდ ურიკის სიჩქარე?

III ეტაპი: 4. მიამაგრეთ დრეკადი ფირფიტა ერთ-ერთ ურიკას, რკალისებრად მოხარეთ და ძაფით დააფიქსირეთ. 5. მეორე ურიკა მიუახლოვეთ პირველს და შეახეთ მოხრილ ფირფიტას. ურიკებს შორის პლასტილინით მონიშნეთ შუა წერტილი. გადაჭრით ძაფი და დააკვირდით ურიკების მოძრაობას (ბ).

იმსჯელეთ შედეგებზე: 1. რატომ მოჰყავს მოძრაობაში ორივე ურიკა ძაფის გადაჭრის შემდეგ გამოიღ ფირფიტას? 2. რა მიზეზით ხდება ურიკების სიჩქარის ცვლილება?

ზემოქმედების შედეგად უძრავი ურიკის სიჩქარე იცვლება. ძაფის გადაჭრის შემდეგ ორივე ურიკა განიცდის დრეკადი ფირფიტის მოქმედებას და ისინი საპირისპირ მიბართულებით ამოძრავდებიან. ჩატარებული კვლევის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა:

1. თუ სხეულზე არ მოქმედებენ სხვა სხეულები, მისი სიჩქარე არ იცვლება.
2. სხეულის სიჩქარე იცვლება მხოლოდ ძასზე სხვა სხეულების მოქმედების შედეგად.
3. ერთი სხეული მეორე სხეულზე მოქმედებისას ყოველთვის ასეთივე უკუქმედებას განიცდის მეორე სხეულის მხრიდან.

**რა სიდიდე ახასიათებს სხეულზე მოქმედებას?**


ფიზიკურ სიდიდეს, რომელიც ახასიათებს სხეულების ერთმანეთზე მოქმედებას, ძალა ენოდება, ანუ ძალა არის სხეულების ურთიერთურებების საზომი.

ძალა ვექტორული სიდიდეა და ალინიშნება **F** ასოთი. ძალის ვექტორი ხასიათდება მოდების ნერტილით, როცხითი მნიშვნელობითა და მიმართულებით.

• ძალის ვექტორი არის ნრფის მიმართული მონაკვეთი, რომლის საწყისი არის ძალის მოდების ნერტილში, მონაკვეთის სიგრძე რიცხვობრივად ძალის რიცხვითი მნიშვნელობის ტოლია, ხოლო მისი მიმართულება ძალის მოქმედების მიმართულებას გვიჩვენებს (გ).

ერთეულთა SI სისტემაში ძალის საზომ ერთეულს ენოდება ნიუტონი (N), ინგლისელი მცნიერის ისააკ ნიუტონის პატივსაცემად:  $[F] = 1 \text{ N}$ .

ძალის გასაზომ ხელსაწყოს დინამომეტრი ეწოდება (ბერძნულად dinamis ნიშნავს ძალას, metreo – ვზომავ). არსებობს სხვადასხვაგვარი დინამომეტრი: ნახატზე წარმოდგენილი დინამომეტრებიდან ერთი 9 ნ-ს აჩვენებს, მეორე – 2,5 ნ-ს (დ).



**რამდენი ძალა შეიძლება მოქმედებდეს სხეულზე?** სხეული იშვიათ შემთხვევებში მხოლოდ ერთი ძალის მოქმედებას განიცდის. როგორც წესი, სხეულზე ერთდროულად რამდენიმე ძალა მოქმედებს. ასეთი რთული მოქმედების შეფასებისთვის მოხერხებულია, რამდენიმე ძალა ერთი ძალით შევცვალოთ.


- ძალას რომელიც სხეულზე ისეთსავე მოქმედებას ახდენს, როგორსაც ამ სხეულზე ერთდროულად მოქმედი რამდენიმე ძალა, **ამ ძალების ტოლქმედი** ( $\vec{F}$ ) ეწოდება.

**წესი-1.** ერთი ნრფის გასწვრივ ერთი მხარეს მიმართული რამდენიმე ძალის ტოლქმედი მიმართულია იმავე მხარეს და მისი მოდული (რიცხვითი მნიშვნელობა) შემადგენელი ძალების მოდულების ჯამის ტოლია.

**ამოცანა.** სხეულზე ერთდროულად ჰორიზონტალურად ერთ მხარეს მიმართული სამი ძალა მოქმედებს:


$$F_1 = 1,5 \text{ N}; F_2 = 3 \text{ N}; F_3 = 4,5 \text{ N}.$$

განსაზღვრეთ ტოლქმედი ძალის სიდიდე და მიმართულება:



მასშტაბი: 1 სმ – 1,5 ნ და მიმართულია ჰორიზონტალურად მარჯვნივ.

**წესი-2.** ერთი ნრფის გასწვრივ საპირისპიროდ მიმართული ორი ძალის ტოლქმედი ძალა მიმართულია მოდულით უფრო დიდი ძალის მხარეს და მისი მოდული ამ ძალების მოდულების სხვაობის ტოლია.



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

**ამოხსენით ამოცანა.** სხეულზე მოქმედებს ორი ძალა: ჰორიზონტალურად მარცხნივ მიმართული  $F_1 = 2 \text{ N}$  და ჰორიზონტალურად მარჯვნივ მიმართული  $F_2 = 3,5 \text{ N}$ . განსაზღვრეთ ტოლქმედი ძალის რიცხვითი მნიშვნელობა და მიმართულება.

## რა შეიტყვეთ

თუ სხეულზე სხვა სხეულები არ მოქმედებენ, ის ინარჩუნებს --- მდგომარეობას. სხეულების ურთიერთქმედების საზომი არის ---. SI სისტემაში ძალის საზომი ერთეული არის ----. ძალის გასაზომ ხელსაწყოს ენოდება ----. ძალას, რომელიც სხეულზე ისეთივე მოქმედებას ახდენს, როგორსაც ერთდროულად მოქმედი რამდენიმე სხვა ძალა, ამ ძალების ---- ენოდება.

### საქანქონი სიზურები

ძალა  
ტოლქმედი  
დინამომეტრი  
ნიუტონი  
უძრაობა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- როდის იჯვლის სხეული სიჩქარეს?
- რატომ ენოდება სხეულებს ძმრის მოქმედებას ურთიერთქმედება?
- რომელი ფიზიკური სიდიდე ახასიათებს და რომელი ხელსაწყოთი იზომება სხეულების ურთიერთქმედება?
- რას ენოდება ძალების ტოლქმედი?

## 2.2. სხეულის ინერტულობა. ნიუტონის პირველი კანონი

პატარა არიფი დასთან, ნაზრინთან ერთად სადილობისთვის ემზადება. მან წვნიანი სავსე თევზი მიინია და თავის წინ გააჩერა. წვნიანი დაიღვარა. „ნაზრინ, მოძრაობის დასაწყისში წვნიანი თევზის ერთი კიდიდან გადამოიდვარა, ხოლო გაჩერებისას – მეორე კიდიდან, რატომ?“ – ჰერც მან დას. „წვნიანი ინერციის გამო დაიღვარა“, – უპასუხა ნაზრინმა.



- სწორია თუ არა ნაზრინის პასუხი? რა არის ინერცია?

### კვლევითი სამუშაო-1. შევისწავლოთ, რა არის ინერცია.

სამუშაოსთვის საჭიროა: 1. მონეტა, ჭიქა, მუყაოს ფურცელი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. ჭიქის ღია ზედაპირზე დადეთ ფურცელი, ფურცელზე მოათავსეთ მონეტა. 2. მიარტყით ხელი მუყაოს ისე, რომ ჭიქიდან გადავარდეს (ა). რა მოხდება? 3. გამიერწეთ ცდა, ოლონდ ამჯერად ფურცელს ხელი წაავლეთ და ნელა გამოსწიეთ. დააკვირდით, რა მოხდება (ბ).



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. შეიძინა თუ არა სიჩქარე

მონეტაზე ფურცელზე ხელის მირტყმის დროს? 2. რა მოხდა ფურცლის ნელა გამონევის დროს? ახსენით მოვლენები, რომლებსაც დააკვირდით.

სხეულს არ შეუძლია სიჩქარის მყისიერად შეცვლა. უძრავ მდგომარეობაში მყოფი სხეული „ცდილობს“, შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა. მაგალითად, სითხე (წვნიანი) თევზში უძრავ მდგომარეობაშია. თევზის წინ გადაადგილების დროს სითხე „ცდილობს“, შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა. ამის გამო სითხე თევზის კიდიდან

თევზშის მოძრაობის საპირისპირო მხარეს გადმოიღვრება. ანალოგიური მოვლენა ხდება თევზშის გაჩერების დროს: თევზშის გაჩერების შემდეგ სითხე გააგრძელებს მოძრაობას და თევზშის კიდიდან მოძრაობის მიმართულებით გადმოიღვრება.

ამ მოვლენებს თქვენ კვლევითი სამუშაოს დროს დააკვირდით. ამრიგად, სხეული მასზე ძალის მოქმედების დროს „ცდილობს“, შეინარჩუნოს თავისი უძრაობის მდგომარეობა ან მოძრაობის სიჩქარე. მდგომარეობის შესაცვლელად სხეულს ყოველთვის დროის გარკვეული შუალედი სჭირდება. სხეულის ამ თვისებას ინერტულობა ეწოდება. სიტყვა „ინერცია“ ნანარმობია ლათინური სიტყვისაგან *inertia*, რაც „უძრაობას“, „უმოქმედობას“ ნიშნავს.

- სხეულის ინერტულობა ნიშნავს, რომ მისი სიჩქარის შესაცვლელად ყოველ-თვის საჭიროა მასზე მოქმედება გარკვეული დროის განმავლობაში. სხეულის მიერ უძრაობის მდგომარეობის ან მოძრაობის სიჩქარის სიდიდისა და მიმართულების შენარჩუნების მოვლენას, როდესაც მასზე სხვა სხეულები აღარ მოქმედებენ, ინერცია ეწოდება.

მრავალრიცხოვანი კვლევის შედეგად ჩამოაყალიბეს ინერციის კანონი.

- არსებობს ისეთი ათვლის სისტემები, რომლებშიც, თუ სხეულზე ძალები არ მოქმედებს ან მოქმედი ძალების ტოლქმედი ძალა ნულის ტოლია, სხეული ინარჩუნებს უძრაობის მდგომარეობას ან მოძრაობს წრფივად და თანაბრად. რადგან ეს კანონი ინგლისელმა მეცნიერმა ისააკ ნიუტონმა ჩამოაყალიბა, მას ნიუტონის პირველი კანონი ეწოდება.

**რა არის ინერტულობის საზომი?** ინერტულობა ყველა სხეულს ახასიათებს: მსუბუქ და სატვირთო ავტომობილებს, ფრინველის ბუბულს და სხვ. მაგრამ ამ სხეულების ინერტულობა განსხვავებულია. სხეულის ინერტულობა დამოკიდებულია მის მასაზე: დიდი მასის მქონე სხეული, ბუნებრივია, უფრო ინერტულია, ვიდრე მცირე მასის სხეული.

- სხეულის მასა არის მისი ინერტულობის საზომი.

ამგვარად, მასა განსაზღვრავს სხეულების ორ თვისებას: სხეულები ინერტულია და სხეულები ქმნიან გრავიტაციულ ველს.


## შეძენილი ცოდნის გამოყენება

### კვლევითი სამუშაო-2. რომელია უფრო ინერტული?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** ორი ერთნაირი ურიკა, პატარა ტომარა ქვიშით, ვიწრო დრეკადი ფირფიტა, მაკ-რატელი, ძაფი, პლასტილინი.

#### სამუშაოს მსვლელობა:

1. ერთ-ერთ ურიკას მიამაგრეთ დრეკადი ფირფიტა, მოხარეთ რკალისებრად და დააფიქსირეთ ძაფით.
2. ქვიშიანი ტომარა მოათავსეთ მეორე ურიკაზე და მიუახლოვეთ პირველ ურიკას ისე, რომ დრეკად ფირფიტას ეხებოდეს. ურიკებს შორის მანძილის შუა წერტილი მონიშნეთ პლასტილინით. გადაჭერით ძაფი და დააკვირდით, რა მოხდა (გ).



**იმსჯელეთ შედეგებზე:** რატომ შეიძინეს ურიკებმა განსხვავებული სიჩქარეები დრეკადი ფირფიტის ზემოქმედების შემდეგ? დაასაბუთეთ თქვენი დასკვნები.

## რა შეიტყვეთ

სხეული, მასზე ძალის მოქმედების დროს, „ცდილობს“, შეინარჩუნოს ----- მდგომარეობა ან მოძრაობის სიჩქარე, ანუ ის ----- . თუ სხეულზე არ მოქმედებს ----- ან მოქმედი ----- ნულის ტოლია, სხეული ინარჩუნებს უძრაობის მდგომარეობას ან მოძრაობს წრფივად და თანაბრად. ეს არის ----- . სხეულის ინერტულობის საზომი არის ----- .


### სამანებო სიფურცეები

ინერტული  
ძალების ტოლემედი  
მასა  
ძალა  
ნიუტონის პირველი კანონი  
უძრაობა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- რომელ ფიზიკურ მოვლენებში ვლინდება სხეულის ინერტულობა?
- როგორ არის ჩამოყალიბებული ნიუტონის პირველი კანონი?
- მოიყვანეთ ინერციის მოვლენასთან დაკავშირებული თქვენი მაგალითები.
- ერთნაირი სიჩქარით მოძრავმა მსუბუქმა და სატვირთო ავტომობილებმა შექნიშანთან დაამუხრუჭეს (დ). რატომ არის სატვირთო ავტომობილის გაჩერება მსუბუქი ავტომობილის გაჩერებაზე უფრო ძნელი?

დ




## პროექტი

სცადეთ მონეტის ჩაგდება ბოთლში.

**სამუშაოსთვის საჭიროა:** ბოთლი, მონეტა, ფურცელი, სახაზავი, ნები.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. მოაჭიროთ ფურცელს 1,5-2 სმ სიგანის ზოლი. შეაწებეთ მისი ბოლოები ისე, რომ რგოლი მიიღოთ. 2. რგოლი ვერტიკალურ მდგომარეობაში მოათავსეთ ბოთლის ყელზე. დადეთ მონეტა რგოლის გარე ზედაპირზე, ბოთლის ყელის გასწროვ. 3. მკვეთრად მიარტყით სახაზავი რგოლის შიდა გვერდით ზედაპირს.

- რატომ არ გადმოვარდა მონეტა სახაზავის მირტყის შემდეგ, არამედ ბოთლში ჩავარდა?
- დაწერეთ ამის შესახებ მცირე ესე.



## 2.3. ნიუტონის მეორე კანონი

ორივე ურიკაზე ერთნაირი ძალა მოქმედებს.

$$F=400 \text{ N}$$




- რომელი ურიკის სიჩქარეს შეცვლის უფრო მეტად ეს ძალა?
- რაზეა დამოკიდებული სხეულის სიჩქარის ჯლილობა?

## კვლევითი სამუშაო-1. რა არის სხეულის სიჩქარის ცვლილების მიზეზი?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** საწონები ( $0,5 \text{ kg}$  და  $1 \text{ kg}$ ), ურიკა, მიმაგრებული დრეკადი ფირფატით, ძაფი, სახაზავი, აგური.

### სამუშაოს მსვლელობა:

- რკალისებრად მოხარეთ ურიკაზე მიმაგრებული დრეკადი ფირფიტა და შეკარით ძაფით. ურიკა მიადგით აგურს.
- დადეთ ურიკაზე 0,5 კგ-იანი საწონი, გადაჭრით ძაფი და გაზომეთ ურიკის მიერ გავლილი მანძილი (მოძრაობის დასაწყისში აგური ხელით შეაკავეთ).
- გაიმეორეთ ცდა ურიკაზე დადებული 1 კგ-იანი საწონით. სამუშაო რვეულში და-საზეთ ცდის სქემატური გამოსახულება. სქემაზე აღნიშნეთ გაზომვის შედეგები.



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რომელ ფიზიკურ სიდიდეს განსაზღვრავს სიჩქარის ცვლილების სიდიდის შეფარდება დროსთან, რომლის განმავლობაშიც ეს ცვლილება მოხდა? 2. რომელმა მოქმედებამ გამოიწვია ურიკის სიჩქარის ცვლილება? 3. ერთი და იმავე ძალის მოქმედების შემდეგ რომელი ურიკის სიჩქარე შეიცვლება უფრო მეტად? რატომ?

როგორც იცით, სხეულის სიჩქარის ცვლილების სიდიდის შეფარდებას დროსთან, რომელიც ამ ცვლილებას დასჭირდა, აჩქარება ეწოდება. სხეული აჩქარებას ძალის მოქმედების შედეგად შეიძენს. აჩქარება დამოკიდებულია სხეულზე მოქმედი ძალის სიდიდესა და სხეულის მასაზე: ერთი და იმავე ძალის მოქმედებით მცირე მასის სხეული უფრო მეტ აჩქარებას შეიძენს. ამგვარად, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ნიუტონის მეორე კანონი:

- სხეულის აჩქარება მასზე მოქმედი ძალის პირდაპირპროპორციულია და სხეულის მასის უკუპროპორციულია.

$$\vec{a} = \frac{\vec{F}}{m},$$

სადაც  $m$  – სხეულის მასაა,  $\vec{F}$  – სხეულზე მოქმედი ძალების ტოლქმედი,  $\vec{a}$  – აჩქარება, რომელიც სხეულმა ამ ძალის მოქმედებით შეიძინა. აჩქარების მიმართულება ემთხვევა ძალების ტოლქმედის მიმართულებას. ძალების ტოლქმედი, რომელიც სხეულს აჩქარებას ანიჭებს, გამოითვლება ფორმულით:  $\vec{F} = m\vec{a}$ . აქედან ძალის საზომი ერთეული, ნიუტონი, SI სისტემის ძირითადი ერთეულებით შემდეგნაირად გამოიხატება:

$$[F] = [m] [a] = 1 \text{ კგ} \cdot 1 \frac{\text{მ}}{\text{ს}^2} = 1 \frac{\text{ნ}}{\text{ს}^2} = 1 \text{ ნ.}$$




ისააკ ნიუტონი  
(1643 – 1727)

დიდი ინგლისებლი ფიზიკოსი. მან ჩამოაყალიბა სხეულების მექანიკური მოძრაობისა და ურთიერთქმედების კანონები, აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი.

## შეძენილი ცოდნის გამოყენება


1. მოცემულია სხეულის აჩქარების სხეულზე მოქმედი ძალების ტოლქმედზე დამოკიდებულების გრაფიკი. განსაზღვრეთ სხეულის მასა.

- ა) 45 კგ
- ბ) 0,02 კგ
- გ) 4,5 კგ
- დ) 5 კგ
- ე) 50 კგ



2. ნახატზე წარმოდგენილია ბურთულაზე მოქმედი ძალებისა და მათი ტოლქმედი ძალის ვექტორები. რომელია ბურთულის აჩქარების მიმართულება?

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5



3. რა აჩქარებით გადაადგილდება 4 კგ მასის სხეული, თუ მასზე 10 ნ ძალა მოქმედდება?

- ა) 40 მ/წმ²;
- ბ) 0,4 მ/წმ²;
- გ) 2,5 მ/წმ²;
- დ) 25 მ/წმ²;
- ე) 4 მ/წმ²;

## რა შეიტყვეთ

ძალის მოქმედებით სხეული შეიძენს ----- . ნიუტონმა განსაზღვრა, რომ სხეულის აჩქარება სხეულზე მოქმედი ძალის პირდაპირპორციულია და სხეულის მასის უკუპროპორციულია. ამ კანონს ----- ეწოდება. აჩქარების მიმართულება ემთხვევა ----- მიმართულებას.

### საკვანძო სიტყვები


ძალების ტოლქმედი  
ნიუტონის მეორე კანონი  
აჩქარება

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა


1. რას ნიშნავს სხეულის საჩქარის ცვლილება მასზე ძალის მოქმედების შედეგად?
2. როგორ არის ჩამოყალიბებული ნიუტონის მეორე კანონი?
3. როგორ გამოისახება საზომი ერთეული ნიუტონი SI სისტემის ძირითადი ერთეულებით?
4. როგორ არის მიმართული აჩქარების ვექტორი?

### სავარჯიშო – 4

1. როგორ მოძრაობს სხეული, თუ მასზე სხვა სხეულები არ მოქმედებენ?
  - ა) უძრავი რჩება; ბ) მოძრაობს წრფივად, ცვლადი სიჩქარით; გ) მოძრაობს წრფივად და თანაბრად.
2. რა აჩქარებით მოძრაობს 64 კგ მასის მქონე სხეული, თუ მასზე მოქმედი ძალების ტოლქმედი 192 ნ-ის ტოლია?
3. M ნერტილზე ოთხი ძალა მოქმედებს. განსაზღვრეთ ძალების ტოლქმედის მოდული.




4. M ნერტილზე სამი ძალა მოქმედებს. განსაზღვრეთ ტოლქმედი ძალის მოდული.



## 2.4. ნიუტონის მესამე კანონი

ბაგირის გადაწყვაში შეჯიბრებაზე, გუნდების დიდი მონდომების მიუხედავად, გამარჯვებული ვერ გამოვლინდა.



- რატომ ვერ გამოვლინდა შეჯიბრებაში გამარჯვებული?
- რა შეძლება ითქვას გუნდების მხრიდან ბაგირზე მოდებული ძალების სიდიდესა და მიმართულებაზე?

განსხვავებული დარტყმების შედეგად ბურთის სიჩქარის ცვლილებაც განსხვავებულია.



- განსხვავებულია თუ არა ფეხის მოძრაობის სიჩქარე სხვადასხვა დარტყმის დროს?
- გარკვეული ძალით დარტყმის დროს რა ძალით მოქმედებს ბურთი ფეხზე?

### პრევითი სამუშაო-1. ქმედება და უკუქმედება.

სამუშაოსთვის საჭიროა: დინამომეტრი (2 ცალი).

სამუშაოს მსვლელობა: დინამომეტრები გადააბით და გაჭიმეთ ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით. ყურადღება მიაქციეთ გაჭიმული დინამომეტრების ჩვენებებს.



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. ჩვენებების მიხედვით, როგორი ძალებით ურთიერთქმედებენ დინამომეტრები? რატომ? 2. სქემატურად აჩვენეთ ამ ძალების ვექტორები.

ურთიერთქმედებისას სხეულები ერთმანეთზე გარკვეული ძალებით მოქმედებენ. მრავალრიცხოვანი დაკვირვების შედეგად ისაა კიუტონმა ჩამოაყალიბა კანონი, რომლის მიხედვითაც, ურთიერთქმედი სხეულები ერთმანეთზე ტოლი ძალებით მოქმედებენ.

• ნებისმიერი ორი სხეულის ურთიერთქმედების ძალები ტოლია მოდულით და საპირისპირო მიმართულებით. ეს არის ნიუტონის მესამე კანონი.

$$\vec{F}_1 = -\vec{F}_2$$

სადაც  $\vec{F}_1$  და  $\vec{F}_2$  – შესაბამისად, ქმედებისა და უკუქმედების ძალებია, რომლებიც მიმართულია ერთი წრფის გასწრივ. ნიშანი „–“ გამოსატავს იმას, რომ ძალები ერთმანეთის საპირისპიროდაა მიმართული.

ძალების მოდულების ტოლობიდან გამომდინარე და ნიუტონის მეორე კანონის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$m_1 \cdot a_1 = m_2 \cdot a_2 \Rightarrow \frac{a_1}{a_2} = \frac{m_2}{m_1}$$

• ურთიერთქმედებისას სხეულების მიერ შეძენილი აჩქარებების მოდულები მათი მასების უკუპროპორციულია. ურთიერთქმედების დაწყებამდე უძრავი ( $v_0=0$ ) სხეულების მიერ  $t$  დროში შეძენილი აჩქარებები გამოითვლება ფორმულებით:

$$a_1 = \frac{v_1}{t}; \quad a_2 = \frac{v_2}{t}.$$

სადაც  $t$  – სხეულების ურთიერთქმედების დროა,  $v_1$  და  $v_2$  – სხეულების მიერ შეძენილი სიჩქარეები. თუ ნიუტონის მეორე კანონის ფორმულაში ჩავსვამთ აჩქარების მნიშვნელობებს წინა ფორმულებიდან, მივიღებთ:

$$\frac{v_1}{v_2} = \frac{m_2}{m_1}$$

• სხეულების მიერ ურთიერთქმედებისას შეძენილი სიჩქარეების შეფარდება მათი მასების შეფარდების უკუპროპორციულია. ეს გამოსახულება გვაძლევს საშუალებას, სასწორის გარეშე განვსაზღვროთ ურთიერთქმედი სხეულების მასები:



$$m_2 = \frac{v_1 m_1}{v_2}; \quad m_1 = \frac{v_2 m_2}{v_1}$$

## შეძენილი ცოდნის გამოყენება

**კვლევითი სამუშაო-2.** მასის განსაზღვრა სხეულების ურთიერთქმედების საშუალებით.

სამუშაოსთვის საჭიროა: სხვადასხვა მასის ორი პლასტმასის ურიკა, დრეკადი ფირფიტა, ძაფი, ფანქარი, სახაზავი, წამზომი, მაკრატელი.

სამუშაოს მსვლელობა: 1. ურიკები მოათავსეთ მაგიდის ჰორიზონტალურ ზედაპირზე. რკალისებრად მოხარეთ ურიკაზე მიმაგრებული დრეკადი ფირფიტა და შეკარით ძაფით. მეორე ურიკა მიადგით ფირფიტის თავისუფალ ბოლოს (ა). 2. მაგიდის ზედაპირზე ფანქრით აღნიშნეთ ურიკებს შორის მანძილის შუა წერტილი, როგორც კოორდინატთა სათავე „0“. 3. ძაფის გადაჭრისას ჩართულ წამზომი.



იმსჯელეთ შედეგებზე: 1. რომელი ფორმულით გამოითვლება მეორე ურიკის მასა? 2. რა ისწავლეთ კელევითი სამუშაოს შედეგად?

## რა შეიტყვეთ

თანახმად, ურთიერთქმედებისას სხეულებზე მოქმედი ძალები ტოლია მოდულით და სპირისპირია მიმართულებით. სხეულების ურთიერთქმედებისას მათი

### საკრაიტულებელი სიტყვები

სიჩქარეების შეფარდება  
ნიუტონის მესამე კანონი  
მასების შეფარდების უკუპროპორციულია

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. გზაზე მიმავალი ადამიანისთვის რომელია ქმედებისა და უკუქმედების ძალები?
2. თოფის გასროლის დროს აუცილებელია კონდახის მხარზე მიჭერა. რატომ?
3. რატომ არიან დაყოფილი მოკრივები წონითი კატეგორიების მიხედვით?
4. როგორ არის ჩამოყალიბებული ნიუტონის მესამე კანონი?

## 2.5 მსოფლიო მიზიდულობის კანონი

„...პარონი მიუჰაუზენი დედამიწაზე ჩამოვიდა თოკით, რომელიც მთვარეზე იყო მიმაგრებული“,

– რ. ე. რასპეს მოთხრობის კითხვისას  
მეშვიდე კლასის მოსწავლე არიფმა დას

ჰკითხა:

– ნაზრინ, შესაძლებელია თოკით  
მთვარიდან დედამიწაზე ჩამოსვლა?  
– არა, – უპასუხა ნაზრინმა, – იმიტომ  
რომ მთვარის ზედაპირთან ახლოს  
მყოფ ადამიანს მთვარე უფრო მეტი  
ძალით იზიდავს, ვიდრე დედამიწა.



- სწორი პასუხი გასცა თუ არა ნაზრინმა? რა არის მიზიდულობის ძალა?
- რა მოხდებოდა მზის სისტემაში, მიზიდულობის ძალა რომ არ არსებულიყო? რა მოხდებოდა დედამიწაზე?

### კვლევითი სამუშაო. რაომ მოძრაობენ პლანეტები მზის ირგვლივ?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** მზისა და პლანეტების ზოგიერთი ფიზიკური პარამეტრის ცხრილი (იხილე: დამატება, ცხრილი 1).

**სამუშაოს მსვლელობა.** ცხრილის გამოყენებით გამოთვალეთ პლანეტების მასები და შეადარეთ მზის მასას.

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რის ტოლია ერთად ყველა პლანეტის მასა კილო-გრამებში? რამდენჯერ განსხვავდება ეს მასა მზის მასისგან? 2. რა მოხდებოდა, რომ არ არსებობდეს მასებს შორის ეს განსხვავება?

ცნობილია, რომ გალაქტიკის, მზის სისტემის, ასევე დედამიწისა და მის ზედაპირზე ყველა სხეულის არსებობა შესაძლებელია მათ შორის გრავიტაციული ურთიერთებების არსებობის გამო.

გრავიტაციული ურთიერთებები არსებობს სამყაროს ყველა სხეულს შორის. ეს ურთიერთებები ხორციელდება გრავიტაციული ველის საშუალებით.

• გრავიტაციული ველი არის მატერიის სახე, რომლის საშუალებითაც სდება გრავიტაციული ურთიერთებების გადაცემა სხეულებს შორის.

გრავიტაციული ველის ძირითადი თვისებებია:

– გრავიტაციული ველის წყარო არის მასა: დიდი მასის მქონე სხეულების გრავიტაციული ველი უფრო ძლიერია, ვიდრე მცირე მასის სხეულების გრავიტაციული ველი;

– გრავიტაციული ველის ძალური მახასიათებელია ფიზიკური სიდიდე – დაძაბულობა.

გრავიტაციული ველის დაძაბულობა ექვთორული სიდიდეა და მიმართულია ველის რომელიმე წერტილიდან ველის წარმომქმნელი სხეულისგენ. გრავიტაციული ველის დაძაბულობა ველის ნებისმიერ წერტილში პროპორციულია ველის შემქმნელი მასისა და უკუპროპორციულია ველის ამ წერტილიდან მასის ცენტრამდე მანძილის კვადრატისა:

$$g_0 \sim \frac{M}{r^2}.$$

სადაც  $g_0$  გრავიტაციული ველის დაძაბულობაა,  $M$  – მასა (პლანეტის მასა),  $r$  – მანძილი მასის ცენტრიდან მოცემულ წერტილამდე.

გრავიტაციული ველის მოქმედება დამოკიდებულია სხეულებს შორის მანძილზე: მანძილის გაზრდა იწვევს ველის მოქმედების შესუსტებას.

გრავიტაციული ურთიერთქმედება ხასიათდება გრავიტაციული ძალის რიცხვითი მნიშვნელობით. გრავიტაციული ურთიერთქმედების ძალის დამოკიდებულება სხეულების მასებზე და მათ შორის მანძილზე ინგლისელმა მეცნიერმა ისააკ ნიუტონმა განაზოგადა, როგორც მსოფლიო მიზიდულობის კანონი:

- სხეულები მიზიდულება ძალით, რომელიც მათი მასების პირდაპირპროპორციულია და უკუპროპორციულია მათ შორის მანძილის კვადრატისა:

$$F = G \frac{m_1 m_2}{r^2}$$

სადაც  $F$  არის მიზიდულობის ძალის მოდული,  $m_1$  და  $m_2$  – სხეულების (მატერიალური წერტილების) მასები,  $r$  – მათ შორის მანძილი,  $G$  – გრავიტაციული მუდმივა (ან მიზიდულობის მუდმივა). გრავიტაციული მუდმივას საზომი ერთეული SI სისტემაში არის:


$$[G] = \frac{[F] \cdot [r^2]}{[m_1] \cdot [m_2]} = \frac{\text{ნ} \cdot \text{მ}^2}{\text{კ}^2}$$

მისი რიცხვითი მნიშვნელობა დადგინდა ცდების საშუალებით:

$$G = 6,67 \cdot 10^{-11} \frac{\text{ნ} \cdot \text{მ}^2}{\text{კ}^2}$$

ამ ფორმულით შეგვიძლია ვისარგებლოთ სფერული ფორმის სხეულებს შორის ურთიერთქმედების ძალის გამოთვლისასაც. ამ შემთხვევაში  $r$  სფეროების ცენტრებს შორის მანძილია.

ისევე, როგორც ყველა ურთიერთქმედება, მიზიდულობის ძალაც ორ სხეულს შორის აღიძვრება. მაგალითად, დედამინა იზიდავს მთვარეს, მთვარე კი იზიდავს დედამინას. დედამინის მიზიდულობის ძალის მოდული მთვარის მიზიდულობის ძალის მოდულის ტოლია და ეს ძალები ურთიერთსანინაალმდეგოდაა მიძართული (ა). რადგან დედამინის მასა მრავალჯერ მეტია მთვარის მასაზე, მთვარე ბრუნავს დედამინის ირგვლივ. ციური სხეულების მოძრაობას სამყაროში მსოფლიო მიზიდულობის ძალა განაპირობებს.



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

ამოცანა-1: გამოთვალეთ ძალა, რომლითაც დედამიწა იზიდავს მზეს და მზე იზიდავს დედამიწას. გამოიყენეთ ფაზიკური სიდიდეები, რომლებიც მოყვანილია

$$\text{ცხრილში (იხილეთ დამატება, ცხრილი 1) } (G = 6,67 \cdot 10^{-11} \frac{\text{ნ}\cdot\text{მ}^2}{\text{კგ}^2})$$

მოცემულია:	ფორმულა:	გამოთვლა:
$M_c = \boxed{\quad}$ კგ	$F = G \frac{M_c M_3}{r^2}$	
$M_3 = \boxed{\quad}$ კგ		
$r = \boxed{\quad}$ მ		
$G = 6,67 \cdot 10^{-11} \frac{\text{n}\cdot\text{m}^2}{\text{kg}^2}$		
$F = ?$		

## რა შეიტყვეთ

სამყაროში სხეულებს შორის ურთიერთქმედების გადაცემა ხდება ----- საშუალებით. გრავიტაციული ველის ძალური მახასიათებელია ----- . სხეულების ურთიერთმიზიდულობის ----- პირდაპირპროპორციულია მათი ----- ნამრავლის და უკუპროპორციულია მათ შორის ----- კვადრატის. ეს არის -----.

### საკანკო სიტყვები

მანძილი

გრავიტაციული ველის დაძაბულობა ძალა

გრავიტაციული ველი მასა

მსოფლიო მიზიდულობის კანონი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- რა ქმნის გრავიტაციულ ველს? გრავიტაციული ველის რომელი თვისებები იცით?
- რომელი მაგალითებით შეგიძლიათ დაამტკიცოთ მსოფლიო მიზიდულობის კანონის სამართლიანობა?
- რატომ არ იგრძნობა ადამიანების ურთიერთმიზიდულობა?

## საკანკო \_ 5

- ორი ურიყის ურთიერთქმედების შემდეგ მათი სიჩქარეები შესაბამისად არის  $v_1 = 20 \text{ მ/წმ}$  და  $v_2 = 40 \text{ მ/წმ}$ . რის ტოლია მათი მასების შეფარდება:  $m_1/m_2$ ?
- რა ერთეულებით იზომება გრავიტაციული მუდმივა ერთეულთა SI სისტემაში?
- ორი ბურთი, რომელთა რადიუსებია 1 მ, ხოლო მასები – 1 ტ, ერთმანეთს ეხება. გამოთვალეთ მათ შორის ურთიერთმიზიდულობის ძალა ( $G = 6,67 \cdot 10^{-11} \frac{\text{n}\cdot\text{m}^2}{\text{kg}^2}$ ).
- 50 კგ მასის სხეულმა მეორე, 75 კგ მასის სხეულთან ურთიერთქმედების შემდეგ შეიძინა 3 მ/წმ<sup>2</sup> აჩქარება. გამოთვალეთ მეორე სხეულის აჩქარება.
- შავი ფერის ცხვარი, რომლის მასა 20 კგ-ია, რქებით დაეჯახა თეთრი ფერის ცხვარს, რომლის მასა 30 კგ-ია. შედეგად თეთრმა ცხვარმა 2 მ/წმ<sup>2</sup> აჩქარება შეიძინა. როგორ აჩქარებას შეიძენს შავი ცხვარი?

## 2.6. სიმძიმის ქალა

ადამიანები ყოველთვის აკვირდებოდნენ სხეულების ვარდნას: წყლის ვარდნას ჩანჩქერებში, ფოთლის ვარდნას, პარაშუტისტის ნახტომს თვითმფრინავიდან და ა. შ.

- რატომ მოძრაობენ ვარდნილი სხეულები დედამიწის ზედაპირისკენ?
- რომელი ძალის მოქმედებით იცვლება ვარდნილი სხეულის სიჩქარე?




### კვლევითი სამუშაო-1. რომელ სხეულს იზიდავს დედამიწა უფრო მეტი ძალით?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** დინამომეტრი (3 ცალი), საწონების ნაკრები (თითოეული მასით 102 გ.), შტატივი.

**სამუშაოს მსვლელობა:**

1. დინამომეტრები დაამაგრეთ შტატივზე ერთმანეთის გვერდით. ორი მეზობელი დინამომეტრი დააკავშირეთ მსუბუქი ჯოხით.
2. განცალკევებულ დინამომეტრზე დაკიდეთ ტვირთი და განსაზღვრეთ ძალა, რომლითაც მას დედამიწა იზიდავს.
3. დაკავშირებული დინამომეტრების საშუალებით განსაზღვრეთ ძალა, რომლითაც დედამიწა იზიდავს ორ ტვირთს.



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რა ძალით იზიდავს დედამიწა ტვირთს, რომელიც განცალკევებულ დინამომეტრზეა დაკიდებული? 2. რა ძალით იზიდავს დედამიწა ორ ტვირთს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულ დინამომეტრებზეა დაკიდებული? 3. როგორ არის დამოკიდებული დედამიწის მიზიდულობის ძალა სხეულის მასაზე?

ჩატარებული დაკვირვებებისა და კვლევების შედეგად ჩვენ დავადგინეთ ვარდნილი სხეულის ზოგიერთი თვისება:

- მათი მოძრაობის ტრაექტორია წრფივია;
- დედამიწის ზედაპირთან მიახლოებასთან ერთად მათი სიჩქარე იზრდება.

- ვარდნის დროს შეუძლებელია სხეულის თავისთავად უკან დაბრუნება.

დედამიწის მიზიდულობის გამო ვარდნილი სხეულის სიჩქარე იცვლება. დედამიწა სხეულს იზიდავს ძალით, რომელიც დედამიწის ცენტრისკენაა მიმართული. სხეულიც იზიდავს დედამიწას, მაგრამ, რადგან მისი მასა გაცილებით ნაკლებია დედამიწის მასაზე, დედამიწა სხეულისკენ არ მოძრაობს.

• ძალას, რომელითაც დედამიწა (ან სხვა პლანეტა) იზიდავს სხეულს, სიმძიმის ძალა ეწოდება.

სიმძიმის ძალა ტოლია სხეულის მასის ნამრავლისა თავისუფალი ვარდნის აჩქარებაზე, რომელსაც სხეულს დედამიწის მიზიდულობის ძალა ანიჭებს:

$$\vec{F}_{\text{ნიზ}} = m \cdot \vec{g}.$$

სადაც  $\vec{F}$  – სიმძიმის ძალაა,  $m$  – სხეულის მასა,  $\vec{g}$  – თავისუფალი ვარდნის აჩქარება, რომელსაც სხეულს სიმძიმის ძალა ანიჭებს. იტალიელმა მეცნიერმა გალილეო გალილეიმ ცდებით დაადგინა თავისუფალი ვარდნის აჩქარების სიდიდე. მან დაამტკიცა, რომ ქადაქ პიზის დახრილი კოშკიდან თავისუფლად ვარდნილი სხვადასხვა მასის სხეულები ერთნაირი აჩქარებით მოძრაობენ. დედამიწის საშუალო გეოგრაფიულ განედზე თავისუფალი ვარდნის აჩქარება:

$$g = 9,81 \text{ ნ/კგ} = 9,81 \text{ მ/ს}^2$$




სიმეტრიულ ერთვაროვან სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალის ვექტორი სხეულის ცენტრშია მოდებული და დედამიწის ცენტრისკენაა მიმართული. თავისუფლად ვარდნილი სხეულის აჩქარების ვექტორი მოძრაობის ტრაექტორიის ნებისმიერ ნერტილში დედამიწის ცენტრისკენაა მიმართული. სხვა სიტყვებით: თავისუფალი ვარდნის აჩქარების მიმართულება ემთხვევა გრავიტაციული ველის დაძულობის ვექტორის მიმართულებას.

## შეძენილი ცოდნის გამოყენება

კვლევითი სამუშაო-2. რატომ არ მოძრაობს წყლის ჭავლი წრფივად?

სამუშაოსთვის საჭიროა: შპრიცი (ნემსის გარეშე) (10 მლ), კიუვეტი, 1 ჭიქა წყალი.

სამუშაოს მსვლელობა: 1. წყლით სავსე შპრიცი დაიჭირეთ ჰორიზონტალურად კიუვეტის ზედაპირიდან 20-30 სმ სიმაღლეზე, ნელა დაანექით დგუშს და დაკვირდით შპრიციდან გამომავალი წყლის ჭავლის ტრაექტორიას (ა). 2. დააკვირდით, როგორ იცვლება წყლის ჭავლის ტრაექტორიის ფორმა შპრიცის ვერტიკალურ მდგომარეობაში გადაყვანის პროცესში (ბ).



იმსჯელეთ შედეგებზე: 1. რატომ არ მოძრაობს წყალი წრფივად? რა აიძულებს წყალს, იმოძრაოს მრუდნირულად? როგორია წყლის მოძრაობის აჩქარების მიმართულება მისი ტრაექტორიის 1, 2, 3, 4 და 5 ნერტილებში? 3. ჩახაზეთ

წყლის ტრანსპორტი სამუშაო რვეულში და გრაფიკულად გამოსახეთ აჩქარების მიმართულებები.

## რა შეიტყვეთ

----- არის ძალა, რომლითაც დედამინა (ან სხვა პლანეტა) იზიდავს სხეულებს. სიმძიმის ძალა რიცხობრივად სხეულის მასისა და ----- ნამრავლის ტოლია. დედამინაზე თავისუფლად ვარდნილი სხეულის აჩქარების ვექტორი მიმართულია -----.

### საკუთრივი სიტყვები

თავისუფალი ვარდნის აჩქარება  
დედამინის ცენტრი  
სიმძიმის ძალა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა


1. რატომ მოძრაობს ვარდნილი სხეული დედამინისკენ და რატომ არ მოძრაობს დედამინა სხეულისკენ?
2. მოქმედებს თუ არა დედამინის ზედაპირზე უძრავად მყოფ სხეულზე სიმძიმის ძალა? პასუხი დაასაბუთეთ.
3. სქემატურად გამოსახეთ 4 კგ მასის სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა და გამოთვალეთ მისი მოდული (თავისუფალი ვარდნის აჩქარება  $g = 10 \text{ m/s}^2$ ).

## სავარჯიშო – 6

1. ალუმინის კუბის მოცულობა  $0,5 \text{ m}^3$ -ია, ალუმინის სიმკვრივე  $- 2700 \text{ kg/m}^3$ . გამოთვალეთ კუბზე მოქმედი სიმძიმის ძალა ( $g = 10 \text{ m/s}^2$ ).
2. დედამინის ზედაპირზე ასტრონავტზე მოქმედი სიმძიმის ძალა  $882 \text{ N}$ -ია. როგორი იქნება ასტრონავტზე მოქმედი სიმძიმის ძალა მთვარის ზედაპირზე ( $g_{\text{დედამინ.}} = 9,8 \text{ N/kg}$ ,  $g_{\text{მთვარე}} = 1,6 \text{ N/kg}$ )?
3. 74 კგ მასის სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა იუპიტერის ზედაპირზე  $1739 \text{ N}$ -ის ტოლია. როგორია სხეულის თავისუფალი ვარდნის აჩქარება იუპიტერზე?
4. პლანეტის გრავიტაციულ ველში კოსმოსურმა ხომალდმა სიმძიმის ძალის მოქმედებით  $12 \text{ N/kg}$  აჩქარება შეიძინა. რის ტოლია გრავიტაციული ველის დაძაბულობა?
5. ასტრონავტის მასა დედამინის ზედაპირზე  $85 \text{ kg}$ -ის ტოლია. განსაზღვრეთ სიმძიმის ძალა, რომელიც იმოქმედებს ასტრონავტზე სატურნის ზედაპირზე ( $g_{\text{სატურნ.}} = 11,5 \text{ N/kg}$ ).

## 2.7. დრეკადობის ძალა. ჰუკის კანონი

სიმძიმის ძალის მოქმედებით მოძრავი ბურთის სიჩქარე იცვლება, ის თავისუფალი ვარდნის აჩქარებით ვარდება. დედამიწის ზედაპირთან შეჯახების მომენტში ბურთი ფორმას იცვლის: ჯერ იკუმშება, შემდეგ ფორმას აღიდგენს და ზედაპირიდან აირეკლება.



- რა არის ბურთის ფორმის აღდგენის მიზეზი?

შეგვიძლია თუ არა პლასტილინს ნებისმიერი ფორმა მივცეთ?




- რა თვისებით განსხვავდება პლასტილინი ბურთისაგან?

**კვლევითი სამუშაო. რა აღადგენს სხეულის საწყის ფორმას?**

სამუშაოსთვის საჭიროა: რეზინის აფსკი, სხეულის მოდელი, რომელიც შედგება ერთ-მანეთან ზამბარებით დაკავშირებული ხის ფირფიტებისგან, სახაზავი, მარკერი.

სამუშაოს მსვლელობა: 1. სახაზავის გამოყენებით

რეზინის აფსკზე მარკერით დახაზეთ უჯრები. 2. დაიჭირეთ აფსკი ორივე ხელით და სხვადასხვა მხარეს გაჭიმეთ. დააკვირდით, როგორ იცვლება უჯრების ფორმები და ზომები (ა). 3. დააკვირდით, როგორ იცვლება მოდელის ფირფიტების მდებარეობა ერთმანეთის მიმართ: მოდელის შეკუმშის, გაჭიმვის, მოხრის, დაგრეხის, წანაცვლების დროს და, შესაბამისად, როგორ იცვლება მოდელის ფორმა (ბ).



იმსჯელეთ შედეგებზე: 1. რა დასკვნის გაკეთება შეიძლება უჯრების ფორმისა და ზომის ცვლილების საფუძველზე რეზინის აფსკის სხვადასხვა მიმართულებით გაჭიმვის დროს?

2. რა ცვლილებებს განიცდის მოდელი ფირფიტების ერთმანეთთან მიახლოების, დაშლილების, შემობრუნების, წანაცვლების დროს? რა აღადგენს მოდელის საწყის მდგომარეობას მასზე ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ?

**დეფორმაცია.** ყოველ სხეულს გარკვეული ფორმა აქვს. სხვა სხეულებთან ურთიერთქმედებისას სხეულის ფორმა იცვლება. სხეულის ფორმა იცვლება, როდესაც გარე ძალის მოქმედებით სხეულის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც უძრავი იყო ერთმანეთის მიმართ, გადანაცვლდება.

• სხეულის ზომებისა და ფორმის ცვლილებას გარე ძალის მოქმედებით დეფორმაცია ეწოდება. არსებობს ორი სახის დეფორმაცია: დრეკადი და პლასტიკური.

• დრეკადი დეფორმაციის დროს გარე ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ სხეული საწყის ფორმას აღიდგენს. პლასტიკური დეფორმაციის დროს სხეულს გარე ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგაც არ შეუძლია საწყისი ფორმის აღდგენა. მაგალითად: პლასტილინს, ცომს და სხვ.

სხეული განიცდის სხვადასხვა სახის დეფორმაციას: გაჭიმვას, შეკუმშვას, ღუნვას, გრეხას და წანაცვლებას (იხ. გვ. 45 – ბ).

**დრეკადობის ძალა.** ჰორიზონტალურ ზედაპირზე ვერტიკალურ მდგომარეობაში დევს ზამბარა. თუ ზამბარის თავისუფალ ბოლოს ხელით დავაწვებით, ზამბარის ხევები ერთმანეთს დაუახლოვდება. ზამბარა შეიკუმშება. ამ მომენტში ზამბარაში ალიძვრება შემკუმშვავი ძალის საპირისპირო მიმართულების ძალა. თუ ზამბარას ხელს მოვამორებთ, ეს ძალა ზამბარას საწყის მდგომარეობაში დააბრუნებს (გ). ძალას, რომლითაც ხელი მოქმედებს ზამბარაზე, მადეფორმირებელი ძალა ეწოდება, ხოლო ზამბარაში აღძრულ, საწინააღმდეგოდ მიმართულ ძალას – დრეკადობის ძალა.

- დრეკადობის ძალა არის ძალა, რომელიც ალიძვრება სხეულში მისი დეფორმირების დროს და „ცდილობს“, დაუბრუნოს სხეულს საწყისი ფორმა.

დრეკადობის ძალა ალიძვრება დეფორმირებულ სხეულში და მიმართულია მადეფორმირებელი ძალის საპირისპიროდ.

ინგლისელმა მეცნიერმა რობერტ ჰუკმა განსაზღვრა, როგორ არის დამოკიდებული დრეკადობის ძალის სიდიდე სხეულის სიგრძის ცვლილებაზე მისი წაგრძელების ან შეკუმშვის დროს:


- დეფორმაციის დროს სხეულში აღძრული დრეკადობის ძალა დეფორმაციის სიდიდის პროპორციულია (გ):

$$F_{\text{დრეკ.}} = kx$$

სადაც  $F_{\text{დრეკ.}}$  დრეკადობის ძალაა,  $x$  – წაგრძელების (ან შეკუმშვის) სიდიდე,  $k$  – პროპორციულობის კოეფიციენტი ან სხეულის სიხისტე. სიხისტე დამოკიდებულია სხეულის ზომებსა და ნივთიერებაზე, რომლისგანაც არის სხეული დამზადებული.

ერთეულთა SI სისტემაში სიხისტის საზომი ერთეულია:

$$[k] = \left[ \frac{F_{\text{დრეკ.}}}{x} \right] = \frac{16}{1\theta} = 1\frac{6}{\theta}$$



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

ამოსენით ამოცანა. ზამბარაზე დაკიდებული 6,5 ნ წონის ტვირთი ზამბარას 2 სმ-ით ჭიმავს. განსაზღვრეთ ზამბარის სიხისტე.

### რა შეიტყვეთ

სხეულის ფორმისა და ზომების ცვლილებას გარე ძალის მოქმედებით ეწოდება. არის ძალა, რომელიც ალიძვრება სხეულში დეფორმაციის შედეგად და „ცდილობს“, დაუბრუნოს სხეულს საწყისი მდგომარეობა. დეფორმაციის დროს აღძრული დრეკადობის ძალა პროპორციულია. ეს არის დამოკიდებულია სხეულის ზომებსა და ნივთიერებაზე, რომლისგანაც სხეულია დამზადებული.

**საკანონი ციტაციები**

დრეკადობის ძალა  
ჰუკის კანონი  
წაგრძელება  
სიხისტე  
დეფორმაცია

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. მიუხედავად იმისა, რომ სხეულის სიჩქარე არ იცვლება, რატომ ამბობენ დეფორმაციის დროს, რომ ხდება ურთიერთქმედება?
2. რა არის დრეკადობის ძალა, სად გამოიყენება და როგორია მისი მიმართულება?
3. რაზე დამოკიდებული სხეულის სიხისტე?

### პრაქტიკული სამუშაო


ზამპარის დაგრადუირება და მიღებული დინამომეტრით ძალის გაზომვა.

სამუშაოს მიზანი: ვისწავლოთ დინამომეტრის დაგრადუირება და მისი საშუალებით ძალების გაზომვა.

სელსანყოები და მასალები: საწონების ნაკრები (102 გ), დინამომეტრი, სკალაზე მიმაგრებული თეთრი ფურცლით, სამაგრი, შტატივი ბოსრიალე რგოლით, სახაზავი.

მითითებები:

1. დაამაგრეთ შტატივზე დინამომეტრი ვერტიკალურ მდგომარეობაში. დინამომეტრის ისრის საწყისი მდებარეობა აღნიშნეთ ფურცელზე ციფრით „0“.
2.  $F = mg$  ფორმულით განსაზღვრეთ სიმძიმის ძალა, რომელიც მოქმედებს ერთ ტვირთზე. ტვირთი დინამომეტრის ზამბარას ამ ძალით ჭიმავს. ამ დროს ზამბარაში აღძრული დრეკადობის ძალა აწონასწორებს სიმძიმის ძალას. დინამომეტრის ისრის მდებარეობა აღნიშნეთ ციფრით „1“.
3. დაკიდეთ დინამომეტრზე თანმიმდევრობით მეორე და მესამე ტვირთი. ისრის შესაბამისი მდებარეობები აღნიშნეთ ციფრებით „2“ და „3“. ეს ციფრები გვაჩვენებს, რომ ზამბარაზე მოდებულია, შესაბამისად, 1 6, 2 6 და 3 6 ძალა.
4. დინამომეტრი მოხსენით შტატივიდან. სახაზავის საშუალებით გაზომეთ მანძილები ნიშნულებს შორის. დარწმუნდით, რომ ისინი ტოლია. თუ ისინი განსხვავდება, ყველაფერი გაიმერეთ.
5. სკალის ზედა ნაწილში დაწერეთ ასო „ნ“ (ნიუტონი). თქვენ დაამზადეთ დინამომეტრი.
6. დამზადებულ დინამომეტრზე დაკიდეთ სხვადასხვა ტვირთი და განსაზღვრეთ მათი წონები.




## 2.8. წონა

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოიყენება სიტყვა „წონა“; მაგალითად: „ხილის წონა“, „ჩემი წონა“, „სპორტსმენის წონა“ და სხვ.

- რა არის წონა? რით განსხვავდება წონა მასასგან?
- რას განსაზღვრავს გამყიდველი სასწორზე პროდუქტის ანონის დროს: მასას თუ წონას?



### კვლევითი საუმარ-1. წონა თუ მასა?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** დინამომეტრი, საწონი (102 გ), შტატივი.  
**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დაამაგრეთ დინამომეტრი შტატივზე, დაკიდეთ ტვირთი და აღნიშნეთ დინამომეტრის ჩვენება. 2. სამუშაო რვეულში გააკეთეთ ნახატი და სქემატურად აღნიშნეთ აღძრული ქქედებისა და უკუქმედების ძალების ვექტორები.



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რომელი ძალების მოქმედების გამო არის დინამომეტრზე დაკიდებული ტვირთი უძრავ მდგომარეობაში? რა განსაზღვრეთ დინამომეტრის საშუალებით: ტვირთის მასა თუ წონა?

**რა არის წონა?** თუ ტვირთს მოვათავსებთ ჰედაპირზე, რომელიც დრეკად ფირფიტას წარმოადგენს, ტვირთი მასზე იმძებული ზედაპირის პერპენდიკულარული ძალით, რომელიც სიმძიმის ძალის ტოლია. თავის მხრივ, დეფორმირებული ზედაპირი ტვირთზე საპირისპირო მიმართულების დრეკადობის ძალით იმძებული დარღვევა ამ დრეკადობის ძალას საყრდენის რეაქციის ძალა ეწოდება და აღინიშნება  $\vec{N}$  ასოთი (ა). უძრავ ნერტილზე დამაგრებულ ძაფზე დაკიდებული ტვირთის შემთხვევაში ჩვენ ვერ ვამჩნევთ საკიდის დეფორმაციას, მაგრამ სინამდვილეში ტვირთი საკიდზე სიმძიმის ძალის ტოლი ძალით მოქმედებს, ხოლო საკიდი, თავის მხრივ – საპირისპიროდ მიმართული დრეკადობის ძალით. ხშირად ამ ძალას საკიდის დაჭმულობის ძალას უწოდებენ და აღნიშნავენ  $\vec{P}$  ასოთი (ბ).



**რატომ მოქმედებს სხეული საყრდენსა და საკიდზე?** დედამიწა იზიდავს სხეულებს, მედეგად სხეული ანვება საყრდენს ან ჭიმავს საკიდს სიმძიმის ძალის ტოლი ძალით.

- **წონა** არის ძალა, რომლითაც, დედამიწის მიზიდულობის გამო, სხეული მოქმედებს საყრდენზე ან საკიდზე. წონა აღინიშნება  $\vec{P}$  ასოთი.

**წონის ვექტორი მოდებულია საყრდენზე ან საკიდზე:**

- საყრდენზე მოდებული წონის ვექტორი საყრდენი ზედაპირის მართობულადა მიმართული. თუ ჰეროიზონტალური საყრდენი ან ვერტიკალური საკიდი უძრავია ან დედამიწის მიმართ წრფივად და თანაბრად მოძრაობს, მაშინ სხეულის წონა რიცხობრივად სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალის ტოლია.

$$P = mg.$$

როგორც ირკვევა, სხეულის წონა და მისი მასა სრულიად განსხვავებული სიდიდეებია: წონა არის ძალა, ვექტორული სიდიდე და მისი საზომი ერთეული არის ნიუტონი (ნ). მასა კი სკალარული სიდიდეა.

ყოველთვის ტოლია თუ არა სხეულის წონა და სიმძიმის ძალა? წონაც და სიმძიმის ძალა სრულიად განსხვავებული ძალებია: პირველ რიგში, სიმძიმის ძალა მოდებულია სხეულზე, ხოლო წონა მოდებულია საყრდენზე ან საკიდზე. მეორე, სიმძიმის ძალის მნიშვნელობა, დედამიწის მოცემულ წერტილში, ყოველთვის განისაზღვრება ფორმულით  $F = mg$ , ხოლო წონა შეიძლება იყოს როგორც მეტი, ისე ნაკლები ამ მნიშვნელობაზე. თუ წონა მეტია  $mg$ -ს მნიშვნელობაზე, ამბობენ, რომ სხეული განიცდის ჭარბ დატვირთვას.

ზოგიერთ შემთხვევაში სხეულის წონა ნულის ტოლია: ამ დროს სხეულს არ გააჩნია საყრდენი ან საკიდი და ამბობენ, რომ ის უწონობის მდგომარეობაშია. მაგალითად, წყალში მხოლმელი, იმ მომენტიდან, როცა ტრამპლინს მოსწყდება, წყალთან შეხების მომენტამდე; ასროლილი ქვა, ვიდრე მიწაზე დაეცემა (ჰაერის წინააღმდეგობას არ ვითვალისწინებთ), უწონობის მდგომარეობაშია.

## შეძენილი ცოდნის გამოყენება

კვლევითი სამუშაო-2. რა წონა აქვს ტვირთს?

სამუშაოსთვის საჭიროა: დინამომეტრი, საწონი (200 გ).


**სამუშაოს მსვლელობა:** 1. განსაზღვრეთ დინამომეტრზე დაკიდებული ტვირთის წონა უძრავ მდგომარეობაში. შემდეგ განსაზღვრეთ ტვირთის წონა, როცა ტვირთი დინამომეტრთან ერთად ვერტიკალურად ჯერ ზევით მოძრაობს, შემდეგ – ქვევით (გ). 2. განსაზღვრეთ ტვირთის წონა დინამომეტრთან ერთად ვერტიკალურად ქვევით ზრდადი სიჩქარით მოძრაობის დროს (დ). 3. განსაზღვრეთ ტვირთის წონა დინამომეტრთან ერთად ვერტიკალურად ზევით ზრდადი სიჩქარით მოძრაობის დროს (ე). 4. განსაზღვრეთ ტვირთის წონა დინამომეტრთან ერთად ქვევით მკვეთრი მოძრაობის დროს (ვ).

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რის ტოლია ტვირთის წონა, რომელიც დაკიდებულია დინამომეტრზე და მასთან ერთად უძრავია ან ზევით-ქვევით თანაბრად მოძრაობს? 2. რა ცვლილებას განიცდის ტვირთის წონა, როდესაც დინამომეტრთან ერთად ზრდადი სიჩქარით მოძრაობს ზევით? რა ენდენდა ამ მდგომარეობას? 3. რა ცვლილებას განიცდის ტვირთის წონა, როდესაც დინამომეტრთან ერთად ქვევით ზრდადი სიჩქარით მოძრაობს? 4. რის ტოლია სხეულის წონა დინამომეტრთან ერთად ქვევით მკვეთრი მოძრაობის დროს?

## რა შეიტყვეთ

----- ეს არის ძალა, რომლითაც სხეული, დადამიწის მიზიდულობის გამო, მოქმედებს საყრდენზე ან საკიდზე. წონის მოდების წერტილი არის -----

----- ან -----, თავისი უფლალი ვარდნის დროს სხეული ----- მდგომარეობაშია.



საკვანძო სიფურცე  
საყრდენი  
წონა  
უწონობა  
საკიდი

## შეამოხეთ თქვენი ცოდნა

1. რა განსხვავებაა სხეულის მასას, წონასა და სიმძიმის ძალას შორის? 2. რა შემთხვევაშია სხეულის წონა მასზე მოქმედი სიმძიმის ძალის ტოლი? 3. განგიცდიათ თუ არა უწონობის მდგომარეობა? პასუხი დაასაბუთეთ. 4. სქემატურად გამოსახეთ მაგიდაზე დადებულ წიგნზე მოქმედი სიმძიმის ძალა და წონა. 5. როგორი მოძრაობის დროს განიცდის სხეული ჭარბ დატვირთვა?

## 2.9. სახუნის ძალა

ალბათ, დაკვირვებიხართ, ზამთარში, თოვლიან და ყინვიან ამინდში, როგორ უჭირთ ავტომობილებს თუნდაც უმნიშვნელო აღმართზე მოძრაობა; თოვლით დაფარულ ტროტუარებზე წვალებით გადაადგილდებან ქვეითად მოსიარულებიც. ძნელია სირული მარმარილოს ფილებით დაფარულ გზებზე სკვერში.


- რატომ არის ადამიანისთვის უფრო ადვილი მოძრაობა უსწორმასწორო გზაზე, ვიდრე თოვლით და ყინულით დაფარულ გზაზე?

**კვლევითი სამუშაო-1. რატომ მოძრაობს სხეული თანაბრად?**

სამუშაოსთვის საჭიროა: სწორი ზედაპირი, ძელაკი, დინამომეტრი, ძაფი.

სამუშაოს მსვლელობა: მიაბით ძელაკი დინამომეტრს და თანაბრად აამოძრავეთ ჰორიზონტალურ ზედაპირზე.

დინამომეტრი გვჩრენებს ძელაკზე მოქმედ წევის ძალას ( $F_{\text{ნვ}}$ ).




**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რატომ მოძრაობს ძელაკი თანაბრად, იმის მიუხედავად, რომ მასზე წევის ძალა მოქმედებს? 2. წევის ძალის ტოლი რომელი ძალა უნდეს სხეულს წინააღმდეგობას?

**სახუნის ძალა.** სხეული ჰორიზონტალურ ზედაპირზე წევის ძალის ( $F_{\text{ნვ}}$ ) მოქმედებით წრფივად და თანაბრად მოძრაობს. ამ მოძრაობის დროს სხეულზე წევის ძალის ტოლი და საპირისპიროდ მიმართული სხვა ძალაც მოქმედებს. ამ ძალას ხახუნის ძალა ეწოდება.

ერთი სხეულის მეორე სხეულის ზედაპირზე მოძრაობის დროს აღიძვრება ხახუნის ძალა, რომელიც მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგოდაა მიმართული. ხახუნის ძალის ასოთი აღნიშვნაა  $\vec{F}_{\text{ხახ}}$ , ის მოდებულია სხეულზე და მიმართულია სხეულთან შეხებაში მყოფი ზედაპირის პარალელურად, მოძრაობის საწინააღმდეგოდ. წევის ძალასა და ხახუნის ძალას შორის თანაფარდობა შეიძლება სხვადასხვა იყოს:

- I. წევის ძალისა და ხახუნის ძალის მოდულები ტოლია:  $F_{\text{ნვ}} = F_{\text{ხახ}}$ . ტოლქმედი ძალა ნულის ტოლია:  $F = F_{\text{ნვ}} - F_{\text{ხახ}} = 0$ . სხეული წრფივად და თანაბრად მოძრაობს.



- II. წევის ძალა მეტია ხახუნის ძალაზე:  $F_{\text{წევ.}} > F_{\text{ხახ.}}$ . ტოლქმედი ძალა მიმართულია წევის ძალის მხარეს:  $F = F_{\text{წევ.}} - F_{\text{ხახ.}} \neq 0$ . სხეულის სიჩქარე იზრდება.
- III. ხახუნის ძალა მეტია წევის ძალაზე:  $F_{\text{წევ.}} < F_{\text{ხახ.}}$ . ტოლქმედი ძალა მიმართულია ხახუნის ძალის მხარეს:  $F = F_{\text{ხახ.}} - F_{\text{წევ.}} \neq 0$ . სხეულის სიჩქარე მცირდება.

ხახუნის ძალა სამი სახისაა: გორვის ხახუნის ძალა, სრიალის ხახუნის ძალა და უძრაობის ხახუნის ძალა:

გორვის ხახუნის ძალა	ერთი სხეულის მეორე სხეულის ზედაპირზე გორვისას აღიძვრება	A yellow rectangular block with wheels is moving to the right with velocity vector $\vec{v}$ . A horizontal arrow $F_{\text{ხახ.გორ.}}$ points to the left, opposing the motion.	მიმართულია მოძრაობის საპირისპიროდ
სრიალის ხახუნის ძალა	ერთი სხეულის მეორე სხეულის ზედაპირზე სრიალისას აღიძვრება	A yellow rectangular block is sliding to the right with velocity vector $\vec{v}$ . A horizontal arrow $F_{\text{ხახ.}}$ points to the left, opposing the motion.	მიმართულია მოძრაობის საპირისპიროდ
უძრაობის ხახუნის ძალა	უძრავი სხეულის ამოძრავების მცდელობისას აღიძვრება	A yellow rectangular block with wheels is rolling to the right with velocity vector $\vec{v}$ . Two horizontal arrows point to the left: $F_{\text{ხახ.უძრ.}}$ from the front wheel and $F_{\text{წევ.}}$ from the rear wheel.	მიმართულია ზედაპირის პარალელურად წევის ძალის საპირისპიროდ
	ერთი და იმავე სხეულისთვის $F_{\text{ხახ.უძრ.}} < F_{\text{ხახ.}}$ და $F_{\text{ხახ.}} > F_{\text{ხახ.გორ.}}$ . თუ შეხებაში მყოფ ზედაპირებს შორის ბურთულებია მოთავსებული, ხახუნი მნიშვნელოვნად მცირდება.		

### იცით თუ არა, რომ?

ბურთულა საკისარი და კონუსური საკისარი ფართოდ გამოიყენება ტექნიკაში შეხებაში მყოფ ზედაპირებს შორის ბურთულების მორის ხახუნის შესამცირებლად.



შეხებაში მყოფ ზედაპირებს შორის ხახუნის შესამცირებლად იყენებენ საპოხს. საპოხი აქსებს ზედაპირებზე არსებულ თვალით უხილავ უთანაბრობებს, აგლუვებს და აშორებს ზედაპირებს.

### რაზეა დამოკიდებული ხახუნის ძალა?

სრიალის ხახუნის ძალის მოდული დამოკიდებულია ნნევის ძალაზე, რომლითაც სხეული აწვება ზედაპირს და შეხებაში მყოფი ზედაპირების სიგლუვის ხარისხზე:

$$F_{\text{ხახ.}} = \mu F_{\text{წევ.}}$$

სადაც  $F_{\text{წევ}}$ . წნევის ძალაა. თუ სხეული ჰორიზონტალურ ზედაპირზე სრიალებს, წნევის ძალა სიმძიმის ძალის ტოლია:

$$F_{\text{წევ}} = mg.$$

μ სრიალის ხახუნის კოეფიციენტია, რომელიც დამოკიდებულია შეხებაში მყოფი ზედაპირების მასალის გვარობასა და ზედაპირების სიგლუვის ხარისხზე. სრიალის ხახუნის კოეფიციენტს საზომი ერთეული არ აქვს. ზოგიერთი ნივთიერების ხახუნის კოეფიციენტი მოცემულია ცხრილში (იხ. დანართი, ცხრილი 2).

## შეძენილი ცოდნის გამოყენება


**კვლევითი საშუალო-2. განვსაზღვროთ სრიალის ხახუნის კოეფიციენტი.**

**სამუშაოსთვის საჭიროა:** დინამომეტრი, სასწორი, საწონების ნაკრები, ხის ძელაკი, საწონები (თითოეული 102 გ).

**სამუშაოს მსვლელობა:**

1. სასწორის საშუალებით განსაზღვრეთ ძელაკის მასა ( $m_{\text{ძელ}}$ ); მნიშვნელობა ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში.
2. დინამომეტრზე მიბრული ძელაკი თანაბრად გადაადგილეთ ჰორიზონტალურ ზედაპირზე. ჩაინიშნეთ დინამომეტრის ჩვენება მოძრაობის დროს. დინამომეტრი გვიჩვენებს სრიალის ხახუნის ძალის სიდიდეს.
3. ძელაკზე დამატებით დადეთ ცნობილი მასის ტვირთი და ძელაკის თანაბარი მოძრაობის დროს დინამომეტრით გაზომეთ ხახუნის ძალა.
4. სამუშაო რვეულში ჩაიწერეთ ძელაკისა და ტვირთის საერთო მასა ( $m_{\text{ძელ}} + m_{\text{ტვ}}$ ) და დინამომეტრის ჩვენება.
5. სრიალის ხახუნის კოეფიციენტი გამოითვალეთ ფორმულით:

$$\mu = \frac{F_{\text{ხახ}}}{mg}$$



**იმსჯელეთ შედეგებზე:** რატომ არ შეიცვალა სრიალის ხახუნის კოეფიციენტი ძელაკზე დამატებითი ტვირთის დადების შემდეგ?

## რა შეიტყვეთ

ერთი სხეულის მოძრაობის დროს მეორის ზედაპირზე წარმოიშობა დანართის მოძრაობის საპირისპიროდ არის მიმართული. მოლული დამოკიდებულია წნევის ძალაზე, რომლითაც სხეული აწვება ზედაპირს და შეხებაში მყოფი ზედაპირების სიგლუვის ხარისხზე. დამოკიდებულია შეხებაში მყოფი ზედაპირების სიგლუვის ხარისხსა და ნივთიერებაზე, რომლისგანაც ისინია დამზადებული.

**საკვანძო სიტყვები**


**ხახუნის ძალა**  
**სრიალის ხახუნის კოეფიციენტი**  
**სრიალის ხახუნის ძალა**

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- რომელი სხეულების ურთიერთქმედების გამო ხდება ავტომობილის დამუხრუჭება?
- რა სახის ხახუნის ძალები არსებობს?
- რაზეა დამოკიდებული სრიალის ხახუნის კოეფიციენტი?

### სავარჯიშო – 7

- როგორია დრეკადი ზამპარის სიხისტე, თუ ის 25 ნ ძალის მოქმედებით 25 მმ-ით გაიჭიმა?
- დრეკადი ფირფიტის 40 მმ-ით მოხრიასას აღძრული დრეკადობის ძალა 96 ნ-ის ტოლია. რამდენით უნდა მოვხაროთ ფირფიტა, რომ 132 ნ-ის ტოლი დრეკადობის ძალა აღიძრას?
- ნახატზე მოცემულია სხეული, რომელიც დახრილ სიბრტყეზე მოსრიალებს. როგორ არის მიმართული წნევის ძალა და სრიალის ხახუნის ძალა?



- სხეული თანაბრად მოძრაობს მეორე სხეულის პორიზონტალურ ზედაპირზე. რომელი ფორმულით უნდა გამოვითვალოთ ამ შემთხვევაში სრიალის ხახუნის ძალა?


a)  $F_{ba} = \mu F_{ba\theta d}$ .

b)  $F_{ba} = \mu F_{ba\theta\beta}$ .

c)  $F_{ba} = \mu P$

(სადაც  $\mu$  ხახუნის კოეფიციენტია,  $F_{ba\theta d}$  – სიმძიმის ძალაა,  $F_{ba\theta\beta}$  – წნევის ძალა,  $P$  – წონა)?

- სხეული თანაბრად მოძრაობს ვერტიკალურ სიბრტყეზე. მიწოლის ძალა, რომლითაც სხეული აწვება ვერტიკალურ ზედაპირს, 10 ნ-ის ტოლია. განსაზღვრეთ ხახუნის ძალა, თუ სრიალის ხახუნის კოეფიციენტი 0,1-ია.




## შემაჯამებელი დავალებები

1. ჰორიზონტალურ მოყინულ გზაზე მდგარი ბიჭი 300 გ მასის ქვას ისვრის წინ 25 მ/წმ სიჩქარით. ამ დროს თვითონ უკან მისრიალებს 0,25 მ/წმ სიჩქარით. განსაზღვრეთ ბიჭის მასა.

- ა) 50 კგ
- ბ) 55 კგ
- გ) 30 კგ
- დ) 25 კგ
- ე) 80 კგ

2. ნახატზე ნაჩვენებია ბურთულის სიჩქარისა და აჩქარების ვექტორების მიმართულებები. რომელ ვექტორს ემთხვევა ბურთულაზე მოქმედი ძალების ტოლქმედი ძალის ვექტორი?

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4




3. რა ძალით მიიზიდავს ერთმანეთს ორი მოსწავლე, თუ მათ შორის მანძილი 2 მ-ია, ხოლო მასები, შესაბამისად – 25 კგ და

$$30 \text{ კგ } (G = 6,72 \cdot 10^{-11} \frac{\text{ნ} \cdot \text{მ}^2}{\text{კგ}^2}) ?$$

- ა) 12,6 მკნ
- ბ) 0,0126 მკნ
- გ) 0,126 მკნ
- დ) 1,26 მკნ
- ე) 126 მკნ

4. რომელ ვექტორს ემთხვევა **M** სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა?

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 5



5. ზამბარის 2 სმ-ით შეკუმშვის დროს მასში 72 ნ-ის ტოლი დრეკადობის ძალა აღიძვრება. რამდენით უნდა შეკუმშოთ თავისუფალ მდგომარეობაში მყოფი ზამბარა, რომ მასში 108 ნ-ის ტოლი დრეკადობის ძალა აღიძრა?

- ა) 40 მმ
- ბ) 20 მმ
- გ) 54 მმ
- დ) 36 მმ
- ე) 30 მმ


# მექანიკური მუშაობა და ენერგია

# 3



გვ. 55-74

- 3.1. მექანიკური მუშაობა
- 3.2. სიმძლავრე
- 3.3. ენერგია. პოტენციური და კინეტიკური ენერგია
- 3.4. რაზეა დამოკიდებული პოტენციური ენერგია?
- 3.5. რაზეა დამოკიდებული კინეტიკური ენერგია?
- 3.6. ენერგიის მუდმივობის კანონი
  - შემაჯამებელი დავალებები



### 3.1. მექანიკური მუშაობა


მექანიკური მუშაობას მოსწოდება უფროს ძმას ჰქონდა: „რას აკეთებ?“ „კომპიუტერულ დიზაინზე ვმუშაობ“, – უპასუხა ძმამ. „ესე იგი ეგ მუშაობად ითვლება?“ – გაუკვირდა ფარიდს. შემდეგ ფარიდი დედას მიუბრუნდა: „დედა, შენ რას აკეთებ?“ – „შვილო, მე ოჯახში ვსაქმიანობ“.

- რა მნიშვნელოვანი საერთო აქცის ამ საქმიანობებს?


ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ლაპარაკია სხეულზე ძალის მოქმედებაზე და ამ ძალის მოქმედებით სხეულის გადაადგილებაზე, ანუ მექანიკური მუშაობის შესრულებაზე. მოცემულ განმარტებებში სიტყვები, რომლებიც ძალას გამოხატავენ, **ცისფრიადაა** აღნიშნული, ხოლო სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მოძრაობას ამ ძალის მოქმედებით – **ნითლად**.

#### 1. გარკვეული ძალის


მოქმედებით ჩვენ ავამოძრავებთ ბურთს და ის ზევით მიიჩევს, ნამით ჩერდება და შემდეგ სიმძიმის ძალის მოქმედებით ქვევით ეშვება.




#### 2. დივანს გარკვეული ძალით აწვებიან და კედლის გასწორივ მიასრიიალებენ.



#### 3. გაჭერებული ცხენი მიწიდან ირეკლება და მხედარს ფინიშისკენ მიაქანებს.



#### 4. სპორტსმენი ძალისხმევით სწევს შტანგას.



ყველა მოყვანილ შემთხვევაში ლაპარაკია სხეულზე მოქმედ ძალაზე და ძალის მოქმედებით სხეულის გადაადგილებაზე. ეს ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში მექანიკური მუშაობა სრულდება.

- ძალა ასრულებს მუშაობას, როდესაც ამ ძალის მოქმედებით სხეული გარკვეულ მანძილზე გადაადგილდება.

- მექანიკური მუშაობა ფიზიკური სიდიდეა, რომელიც სხეულზე მოქმედი ძალების ტოლქმედი ძალის მოდულისა და ძალის მოქმედების მიმართულებით სხეულის მიერ გავლილი მანძილის ნამრავლის ტოლია:

$$A = F \cdot s$$

სადაც  $A$  მექანიკური მუშაობაა,  $F$  – სხეულზე მოქმედი ძალების ტოლქმედი ძალის მოდული,  $s$  კი – გავლილი მანძილი. მექანიკური მუშაობა სკალარული სიდიდეა. მის საზომ ერთეულად SI სისტემაში მიღებულია ჯოული (1 ჯ), ინგლისელი მეცნიერის ჯ. ჯოულის (1818 – 1889) პატიოსაცემად.

- 1 ჯ არის მუშაობა, რომელსაც 1 ნ ძალა 1 მ მანძილზე სხეულის გადაადგილების დროს ასრულებს:

$$[A] = [F] [s] = 1 \text{ N} \cdot 1 \text{ m} = 1 \text{ N m} = 1 \text{ J}.$$







მექანიკური მუშაობა შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნულის ტოლი:

- თუ ტოლქმედი ძალის მიმართულება სხეულის მოძრაობის მიმართულებას ემთხვევა, მუშაობა დადებითია;
- თუ ტოლქმედი ძალის მიმართულება სხეულის მოძრაობის მიმართულების სანინააღმდეგოა, მუშაობა უარყოფითია;
- თუ ტოლქმედი ძალის მიმართულება სხეულის მოძრაობის მიმართულების მართობულია, მექანიკური მუშაობა ნულია, ანუ მუშაობა არ სრულდება.

### კვლევითი სამუშაო-1. რაზეა დამოკიდებული მექანიკური მუშაობა?

სამუშაოსთვის საჭიროა: დინამომეტრი, ძელაკი (3 ცალი), ძაფი, სახაზავი.

სამუშაოს მსვლელობა: 1. დინამომეტრის საშუალებით ერთსა და იმავე მანძილზე თანაბრად გადაადგილეთ ჯერ ერთი, მერე ერთმანეთზე დადებული ორი და შემდეგ ერთმანეთზე დადებული სამი ძელაკი (ა). 2. სამივე შემთხვევაში დინამომეტრის ჩვენება ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში (ცხრილი 1) და გამოთვალეთ შესრულებული მუშაობა. 3. გაიმეორეთ ცდა, გადაადგილეთ ძელაკი თანაბრად სხვადასხვა მანძილზე (ბ). 4. გამოთვალეთ სხვადასხვა მანძილზე შესრულებული მუშაობა. შედეგი ჩაწერეთ მე-2 ცხრილში.



### ცხრილი 1.


ძელაკების რაოდენობა	გავლილი მანძილი (მ)	ძალა (ნ)	შესრულებული მუშაობა (ჯ) $A = F \cdot s$
1	0,1	...	...
2	0,1	...	...
3	0,1	...	...

### ცხრილი 2.

ძელაკების რაოდენობა	გავლილი მანძილი (მ)	ძალა (ნ)	შესრულებული მუშაობა (ჯ) $A = F \cdot s$
1	0,1	...	...
2	0,2	...	...
3	0,3	...	...

იმსჯელეთ შედეგებზე:

- რომელ სიდიდეებზეა დამოკიდებული შესრულებული მუშაობის სიდიდე?
- გრაფიკულად გამოსახული ეს დამოკიდებულება:



### შეძენილი ცოდნის გამოყენება

კვლევითი სამუშაო-2. რა შემთხვევაში არ სრულდება მექანიკური მუშაობა?

შეისწავლეთ ნახატზე მოცემული მოქმედებები: 1. ბიჭი ცდილობს, გადააადგილოს კარადა, მაგრამ უშედეგოდ. 2. მუშამ ტვირთი ასწია. 3. ოსტატი კედელს აწვება, მაგრამ კედელი არ ინძრევა.



იმსჯელეთ შედეგებზე: რა შემთხვევაში არ სრულდება მექანიკური მუშაობა? რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

### რა შეიტყვეთ?

ძალა ————— ასრულებს მაშინ, როცა სხეული ამ ძალის მოქმედებით გარკვეულ მანძილს გაივლის. თუ სხეული ————— მოქმედებით არ გადაადგილდება, მექანიკური მუშაობა არ სრულდება. მექანიკური მუშაობის საზომი ერთეული SI სისტემაში არის —————.

სავანო სიტყვები


ჯოული  
მანძილი  
მექანიკური მუშაობა  
ძალა

### შეამოწმეთ ოქვენი ცოდნა

1. ფარიდის მასა 35 კგ-ია. რა მუშაობას ასრულებს იგი ერთი სართულით მაღლა ასვლის დროს, თუ სიმაღლე სართულებს შორის 3,5 მ-ია? 2. ძალა, რომელიც სხეულს 2 მ მანძილზე გადააადგილდებს, 50 კჯ მუშაობას ასრულებს. განსაზღვრეთ ეს ძალა. 3. ავტომობილი ჰორიზონტალურ გზაზე მოძრაობს. რა მუშაობას ასრულებს მასზე მოქმედი სიმძიმის ძალა?

### 3.2. სიმძლავრე

- ერთნაირ მუშაობას ასრულებენ თუ არა მუშა და ამწე მესამე სართულზე 300 აგურის ატანის დროს? რით განსხვავდება მათ მიერ შესრულებული მუშაობა?



- ერთნაირ მუშაობას ასრულებენ თუ არა ცხენი და ტრაქტორი მინდვრის მოხვის დროს? რით განსხვავდება მათ მიერ შესრულებული მუშაობა?



**კვლევითი სამუშაო. რომელი მუშაობა სრულდება უფრო სწრაფად?**

სამუშაოსთვის საჭიროა: 3 ტვირთი, თითოეული მასით 102 გ, დინამომეტრი, წამმზომი, სახაზავი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დაკიდეთ სამივე ტვირთი დინამომეტრზე, ჩართეთ წამმზომი და ტვირთები იატაკიდან მაგიდის ზედაპირზე აიტანეთ (ა). წამმზომი გამორთეთ, როცა ტვირთები მაგიდის ზედაპირს მიაღწევს. განსაზღვრეთ მოძრაობაზე დახარჯული დრო.

2. ცდა გაიმეორეთ თითოეული ტვირთისთვის ცალ-ცალკე, ჩანინიშნეთ წამმზომის ჩვენებები (ბ).

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. ერთნაირი მუშაობა სრულდება თუ არა ერთსა და იმავე სიმაღლეზე სამივე ტვირთის ერთად და ცალ-ცალკე ანევის შემთხვევაში? 2. განსხვავდება თუ არა დრო, რომელიც ამ მუშაობის შესრულებაზე დაიხარჯა?

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამწე უფრო სწრაფად ასრულებს იმავე სამუშაოს, ვიდრე მუშა, ისევე როგორც ტრაქტორია სწრაფი ცხენთან შედარებით. მუშაობის შესრულების სისწრაფეს განსაზღვრავს სიდიდე, რომელსაც სიმძლავრე ეწოდება.


- სიმძლავრე ეწოდება სიდიდეს, რომელიც ტოლია შესრულებული მუშაობის შეფარდებისა იმ დროსთან, რომელიც მის შესრულებაზე დაიხარჯა:

$$N = \frac{A}{t}$$

სადაც  $N$  სიმძლავრეა,  $A$  – მუშაობა,  $t$  კი – დრო, რომელიც მუშაობის შესრულებაზე დაიხარჯა. სიმძლავრე სკალარული სიდიდეა. სიმძლავრის საზომი ერთეული SI სისტემაში არის ვატი (ვტ), რომელსაც ასე ინგლისელი მეცნიერის ჯ. ვატის (1736 – 1819) პატივსაცემად უწოდეს.

$$[N] = [A]/[t] = 1 \frac{\text{მ}}{\text{გ}} = 1 \text{ ვტ.}$$

ზოგჯერ ტექნიკური სიმძლავრის საზომ ერთეულად გამოიყენება ცხენის ძალა (ცხ.ძ.):



$$1 \text{ ც.b.d.} = 736 \text{ ვტ.}$$

არსებობს სიმძლავრის საზომი სხვა ერთეულებიც: მიკროვატი (1 მკვტ), მილივატი (1 მგტ), კილოვატი (1 კვტ), მეგავატი (1 მეგავტ):  
 $1 \text{ მკვტ} = 10^{-6} \text{ ვტ}; 1 \text{ მგტ} = 10^{-3} \text{ ვტ}; 1 \text{ კვტ} = 10^3 \text{ ვტ}; 1 \text{ მეგავტ} = 10^6 \text{ ვტ.}$

## შექენილი ცოდნის გამოყენება

**ამოხსენით ამოცანა:** 1. ძალისასნ შტანგის ასაწევად 4 ნმ სჭირდება და ამ დროს ის 3800 კ მუშაობას ასრულებს. გამოთვალეთ მისი სიმძლავრე. 2. ტრაქტორი თვას, რომლის მასა 120 კგ-ია, 5 მ სიმაღლეზე 6 ნმ-ში სწორს. გამოთვალეთ ტრაქტორის სიმძლავრე ( $g = 10 \text{ m/s}^2$ -ს).


## რა შეიტყვეთ

მუშაობის შესრულების სისწრაფეს განსაზღვრავს სიდიდე, რომელსაც ————— ეწოდება. სიმძლავრის საზომ ერთეულად SI სისტემაში მიღებულია —————. ზოგჯერ ტექნიკაში სიმძლავრის საზომ ერთეულად იყენებენ —————.

სავარჯიშო სიჰიპოვაზი  
ცხენის ძალა  
სიმძლავრე  
ვატი


## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- როგორ გამოითვლება სიმძლავრე?
- გამოსახეთ ვატებით: 0,245 კვტ; 15 მეგავტ; 75 ც.b.d.; 300 ც.b.d.
- ნახატზე მოცემულია ძრავას სიმძლავრის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი ( $g$ ). რა მუშაობას ასრულებს ძრავა 10 წთ-ში?




## სავარჯიშო – 8.

- ნახატზე გამოსახულ სხეულზე ხუთი ძალა მოქმედებს. რომელი ძალების მუშაობაა:
  - უარყოფითი;
  - დადებითი;
  - ნულის ტოლი?




- სხეული 3 ნ ძალის მოქმედებით 150 სმ-ზე გადაადგილდება. გამოთვალეთ ამ ძალის მუშაობა.
- სხეული 4 ნ და 6 ნ ძალების მოქმედებით x ღერძის გასწვრივ გადაადგილდება. რა მუშაობას შესრულებენ ეს ძალები სხეულის 10 მ მანძილზე გადაადგილებისას?



- 600 კგ მასის ტენის 20 მ სიმაღლეზე ასაწევად ამწეს 30 ნმ სჭირდება. გამოთვალეთ ამწის ძრავას სიმძლავრე ( $g = 10 \frac{\text{მ}}{\text{ს}^2}$ ).
  - რომელი სიდიდის საზომი ერთეულია 6 მ/წმ?


### 3.3. ენერგია. პოტენციური და კინეტიკური ენერგია

- რომელ შემთხვევაში სრულდება მექანიკური მუშაობა: მშენების მოზიდვის დროს, ისრის გასროლისას თუ მიზნისკენ ისრის მოძრაობის დროს (ა)?
- რომელი ძალის მიერ შესრულებული მუშაობის შედეგად მოძრაობს ისარი?
- როდის სრულდება მუშაობა: როდესაც ბურთი დარის ზედა წერტილშია თუ როდესაც ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მიგორავს (ბ)?




#### კვლევითი სამუშაო-1. როდის შეუძლია სხეულს მუშაობის შესრულება?

სამუშაოსთვის საჭიროა: ჰორიზონტალურ და მაგრებული ზამბარების სისტემა (გ), ძაფი, მაკრატელი.



#### სამუშაოს მსვლელობა:

- გადაადგილეთ ბურთულა ისე, რომ შეკუმშოთ მარჯვენა (ან მარცხენა) ზამბარა და გაუშვით ხელი.
- იმსჯელეთ მეგობრებთან ერთად, რომელმა სხეულებმა და რომელმა ძალებმა შეასრულეს ამ დროს მუშაობა.
- შეკუმშეთ ერთ-ერთი ზამბარა და შეკარით ძაფით. რატომ ასრულებს ბურთულა მუშაობას ძაფის გადაჭრის შემდეგ (დ)?



#### იმსჯელეთ შედეგებზე:

- შესრულდა თუ არა მექანიკური მუშაობა ზამბარის შეკუმშვის დროს? რატომ?
- რომელი ძალის მოქმედებით სრულდება მუშაობა ბურთულის თავისუფალი მოძრაობის დროს?
- რომელი სხეული ან სხეულები ასრულებენ მუშაობას ბურთულის მარჯვენივ ან მარცხნივ გადაადგილების დროს? სრულდება თუ არა მუშაობა, როდესაც ზამბარა ძაფითაა შეკრული?

თუ სხეული ძალის მოქმედებით მოძრაობს, სრულდება მექანიკური მუშაობა. განხილულ მაგალითებში მუშაობის შედეგად სხეული (მოზიდული

მშვილდი, შეკუმშული ზამპარა) დეფორმაციას განიცდის. დეფორმირებული სხეული, მაგ. ზამპარა, მასზე ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ საწყის ფორმას აღიდგენს და ამავე დროს მოძრაობაში მოჰყავს ტვირთი (მშვილდიდან გასროლილი ისარი), ანუ დრეკადი ზამპარა ასრულებს მუშაობას.

ამგვარად, დეფორმირებულ სხეულს შეუძლია მუშაობის შესრულება:

- ფიზიკურ სიდიდეს, რომელიც გამოხატავს სხეულის მიერ მუშაობის შესრულების უნარს, **ენერგია** ეწოდება. შეკუმშულ და ძაფით შეკრულ ზამპარას და გაჭიმულ ზამპარას (დ) არ შეუძლიათ საწყისი ფორმის აღდგენა, ანუ ისინი დეფორმირებულ მდგომარეობაში რჩებიან. ზამპარის დეფორმაციის დროს მის ცალკეულ ნაწილებს შორის ურთიერთექმედება იზრდება.

- ენერგიას, რომლის მიზეზია სხეულების ან ერთი სხეულის შემადგენელი ნანილების ურთიერთედებარეობა, **პოტენციური ენერგია** ეწოდება (*ლათინურად potentia უნარს, სიმძლავრეს ნიშნავს*).

შეკუმშული ზამპარა ძაფის გადაჭრის შემდეგ და გაჭიმული ზამპარა გათავისუფლების შემდეგ მუშაობას ასრულებენ. მათში დაგროვილი პოტენციური ენერგია ბურთულას გადაეცემა. შედეგად ბურთულა ზრდადი სიჩქარით იწყებს მოძრაობას გაჭიმული ზამპარის მოქმედების მიმართულებით. ზამპარების პოტენციური ენერგია ბურთულის მოძრაობის ენერგიაში გადადის.

- ენერგიას, რომელიც სხეულს აქვს მოძრაობის შედეგად, **კინეტიკური ენერგია** ეწოდება (*kinetikos ლათინურად ნიშნავს მამოძრავებელს*). ენერგია სკალარული ფიზიკური სიდიდეა, აღინიშნება E ასოთი და ერთეულთა SI სისტემაში მისი საზომი ერთეულია ჯოული:


$$[E] = 1 \text{ J}.$$

## შეძენილი ცოდნის გამოყენება



**კვლევითი საშუალ-2. რომელი ენერგია აქვთ?**

ყურადღებით დაკვირდით ნახატებს და განსაზღვრეთ:

1. რომელი ენერგია აქვს მთის მწვერვალზე დაგროვილ თოვლს (1)? რომელი ენერგია აქვს ზვავს (2)?



2. რომელი ენერგია აქვს კაშხალზე დაგროვილ წყალს (3)?
3. რომელი ენერგია აქვს წყალს, რომელიც გახსნლი კაშხლიდან მოედინება?
4. რომელ ენერგიას შეიძენს ქვემეხიდან გასროლილი ჭურვი (4)?



**იმსჯელეთ შედეგებზე.** პასუხები დაასაბუთეთ და ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში.


### რა შეიტყვეთ

სხვეულის უნარს, შეასრულოს მუშაობა, ----- ეწოდება. ენერგიას, რომელიც განპირობებულია სხეულების ან ერთი სხეული ცალკეული ნაწილების ურთიერთმდებარეობით, ----- ენერგია ეწოდება. ენერგიას, რომელიც სხეულს აქვს მოძრაობის გამო, ----- ეწოდება. ენერგიის საზომი ერთეული SI სისტემაში არის -----.

**საკვანძო სიტყვები**  
პოტენციური ენერგია  
კინეტიკური ენერგია  
ჯოული  
ენერგია

### შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. თუ მეტალის ბურთულას ავწევთ და დედამიწის ზედაპირიდან გარკვეულ სიმაღლეზე გაგაჩერებთ (1):
  - ა) შესრულდა თუ არა მექანიკური მუშაობა?
  - ბ) რომელი ენერგია აქვს ამ დროს ბურთულას?
2. თუ მეტალის ბურთულა თავისუფლად ვარდება გარკვეული სიმაღლიდან (2):
  - ა) რომელი ძალა ასრულებს მუშაობას?
  - ბ) რომელი ენერგია აქვს ბურთულას დედამიწაზე დაცემის მომენტში?



### 3.4. რაზეა დამოკიდებული პოტენციური ენერგია?

ნახატზე წარმოდგენილია ორი ერთნაირი დრეკადი ზამბარა. ერთი ზამბარა შეკუმშულია  $x$  სიგრძით, მეორე გაჭიმულია  $x$  სიგრძით.

- რომელ ზამბარას აქვს მეტი პოტენციური ენერგია იატაკის მიმართ:

მაგიდის ზედაპირზე სამი აგურია. მათგან ორი ერთმანეთზე დევს.

- რომელ აგურს აქვს მეტი პოტენციური ენერგია იატაკის მიმართ:

**კვლევითი სამუშაო. რაზეა დამოკიდებული, დედამიწის ზედაპირიდან გარკვეულ სიმაღლეზე აწეული სხეულის ენერგია?**

**სამუშაოსთვის საჭიროა:** საწონები ( $0,5$  კგ და  $1$  კგ), დინამომეტრი, სახაზავი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. გაზომეთ სიმაღლე  $h$  იატაკიდან მაგიდის ზედაპირამდე და მიღებული შედეგი ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში.

2. დაკიდეთ  $0,5$  კგ-იანი საწონი დინამომეტრზე და თანაბრად ასწიეთ იატაკიდან მაგიდის ზედაპირამდე. დინამომეტრის ჩვენების მიხედვით განსაზღვრეთ და ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში საწონზე მოქმედი  $F$  ძალის მნიშვნელობა.
3. ფორმულით  $A = Fh$  გამოთვალეთ და ჩაწერეთ სამუშაო რვეულში იატაკიდან მაგიდის ზედაპირამდე საწონის ასაწევად შესრულებული მუშაობის სიდიდე.
4. გაიმორეთ ცდა  $1$  კგ მასის საწონისთვის. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ რვეულში საწონზე მოქმედი ძალისა და შესრულებული მუშაობის სიდიდე.

სხეული	მასა, გ	სიმაღლე, მ	მოქმედი ძალა, ნ	შესრულებული მუშობა, ჯ
საწონი	0,5	0,9	—	...
საწონი	1	0,9		...

**იმსჯელეთ შედეგებზე:**


1. რომელ ენერგიას იძენენ საწონები მაგიდის ზედაპირზე ატანის დროს?
2. როდის აქვთ საწონებს მეტი პოტენციური ენერგია იატაკის მიმართ: იატაკზე თუ მაგიდის ზედაპირზე? რატომ?
3. რომელ საწონს აქვს მეტი პოტენციური ენერგია? რატომ?
4. რაზეა დამოკიდებული გარკვეულ სიმაღლეზე აწეული სხეულის პოტენციური ენერგია?

**სიდიდეები, რომლებზეც არის დამოკიდებული პოტენციური ენერგია.** მუშაობა, რომელსაც სიმძიმის ძალა ასრულებს სხეულის დედამიწის ზედაპირიდან ნებისმიერ  $h$  სიმაღლეზე აწევის დროს, ტოლია:

$$A = F \cdot h = mgh$$

ამ მუშაობის შედეგად დედამიწასთან სხეულის ურთიერთქმედების პოტენციური ენერგია ( $E_{\text{პტ.}}$ ) იზრდება. დედამიწის მიმართ სხეულის პოტენციური ენერგია მაგიდის ზედაპირზე  $mgh$  სიდიდით მეტია, ვიდრე ამავე სხეულის პოტენციური ენერგია იატაკზე (ა):

$$E_{\text{პტ.}} = mgh.$$




ფორმულიდან ჩანს, რომ სხეულის პოტენციური ენერგია დამოკიდებულია მის მასაზე, სიმაღლეზე დედამიწის ზედაპირის მიმართ და თავისუფალი ვარდნის აჩქარებაზე. რაც მეტია სხეულის მასა ერთსა და იმავე სიმაღლეზე, მით მეტია მისი პოტენციური ენერგია. დედამიწის ზედაპირიდან სხეულის აწევის დროს მისი პოტენციური ენერგია იზრდება, ხოლო დაწევის დროს მკირდება.

შეკუმშული ან გაჭიმული ზამბარის პოტენციური ენერგია მისი შემადგენელი ნაწილაკების ურთიერთქმედების ენერგიაა. ამ შემთხვევაში ნაწილაკების ურთიერთქმედების ძალა ზამბარის დრეკადობის ძალაა ( $F_{\text{დრე.}} = kx$ ).

- გაჭიმული დრეკადი ზამბარის პოტენციური ენერგია მისი სიხისტისა ( $k$ ) და ნაგრძელების კვადრატის ნამრავლის ნახევრის ტოლია (ბ):

$$E_{\text{პტ.}} = \frac{kx^2}{2}.$$




## შეძენილი ცოდნის გამოყენება

ამოცანა. ალპინისტის მასა 90 კგ-ია. იგი დედამიწის ზედაპირიდან 3000 მ სიმაღლეზე ავიდა, დაისვენა და კიდევ 1800 მ-ით მაღლა ავიდა. განსაზღვრეთ ალპინისტის პოტენციური ენერგია დედამიწის ზედაპირის მიმართ ამ ორ სიმაღლეზე ( $g = 10 \text{ N/kg}$ ). რომელ სიმაღლეზე აქვს ალპინისტს მეტი პოტენციური ენერგია?

$$E_{z1} = \boxed{\phantom{000}} \cdot \boxed{\phantom{000}} \cdot \boxed{\phantom{000}} \quad g \cdot \frac{6}{5} \cdot M = \boxed{\phantom{000}} \text{ C.}$$

$$E_{z2} = \boxed{\phantom{000}} \cdot \boxed{\phantom{000}} \cdot \boxed{\phantom{000}} \quad g \cdot \frac{6}{5} \cdot M = \boxed{\phantom{000}} \text{ C.}$$



## რა შეიტყვეთ

სხეულის ----- დედამიწის ზედაპირის მიმართ დამოკიდებულია სხეულის მასაზე, დედამიწის ზედაპირიდან ----- და თავისუფალი ვარდნის აჩქარებაზე. დროკადი ზამბარის პოტენციური ენერგია დამოკიდებულია მის ----- და ----- კვადრატზე.

საკვანძო სიტყვები  
ნაგრძელება  
პოტენციური ენერგია  
სიმაღლე  
სიხისფე

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- ნახატზე წარმოდგენილია ჩანჩქერები ანხელი და კატები. განსაზღვრეთ ვარდნამდე 1 კგ წყლის პოტენციური ენერგიების სხვაობა.
- მდინარის რომელ ნაწილში აქვს წყალს მეტი პოტენციური ენერგია: სათავეში თუ შესართავთან? რატომ?


ჩანჩქერი  
ანხელი  
979 მ



ჩანჩქერი  
კატები  
25 მ

### 3.5. რაზეა დამოკიდებული კინეტიკური ენერგია?

დატვირთული და დაუტვირთავი ავტომობილები ერთნაირი სიჩქარით მოძრაობენ. მკვეთრი დამუხრუჭების შემდეგ გაჩერებისთვის მათ სხვადასხვა დრო დასჭირდათ.




- რატომ ჩერდება დატვირთული ავტომობილი დაუტვირთავთან შედარებით უფრო გვიან?

**კვლევითი სამუშაო. რაზე დამოკიდებული მოძრავი სხეულის ენერგია?**

**სამუშაოსთვის საჭიროა:** ღარი, შტატივი, ერთნაირი ზომის ფოლადისა და ალუმინის ბურთულები, ფანჯარი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დაამაგრეთ ღარი შტატივზე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები. 2. უბიძებეთ ფოლადის ბურთულას ღარის ჰორიზონტალური ნაწილის მხრიდან და ფანჯრით აღნიშნეთ სიმაღლე, რომელსაც ბურთულა მიაღწევს. 3. გაიმეორეთ ცდა, მიანიჭეთ ბურთულას უფრო მეტი საწყისი სიჩქარე და აღნიშნეთ სიმაღლე, რომელსაც ბურთულა მიაღწევს. 4. ჩაატარეთ იგივე ცდა ალუმინის ბურთულისთვის.




**იმსჯელეთ შედეგებზე:**

- როგორ შეიცვალა ბურთულის „აწევის“ სიმაღლე მეტი საწყისი სიჩქარის შემთხვევაში?
- როდის შეასრულებს ბურთულა მეტ მუშაობას – მეტი თუ ნაკლები საწყისი სიჩქარის შემთხვევაში?
- ფოლადისა და ალუმინის ბურთულებიდან, რომელსაც განსხვავებული მასა აქვთ, რომელი შეასრულებს მეტ მუშაობას ერთნაირ სიმაღლეზე ასვლის მომენტამდე, თუ მათი საწყისი სიჩქარეები ტოლია? რატომ?

დასახლებულ პუნქტში მოძრავი ავტომობილის სიჩქარე შეზღუდულია, რადგან მას არ შეუძლია, დამუხრუჭების შემდეგ მკვეთრად გაჩერდეს. ამას ორი მიზეზი აქვს:

1. ორი ერთნაირი მასის ავტომობილიდან მეტი სიჩქარით მოძრავი ავტომობილის გაჩერება უფრო ძნელია, ვიდრე ნაკლები სიჩქარით მოძრავი ავტომობილისა. ტოლი მასის ავტომობილებიდან მეტი სიჩქარით მოძრავ ავტომობილს მეტი ენერგია აქვს (ა): მის გასაჩერებლად ხახუნის ძალა ასრულებს მუშაობას  $A = F_{\text{ს}} s$ , რომელიც მოძრავი ავტომობილის კინეტიკური ენერგიის ( $E_{\text{კნ}}$ ) ტოლია.

ე. ი. სხეულის (მაგ., ავტომობილის ან ბურთულის) კინეტიკური ენერგია დამოკიდებულია მის სიჩქარეზე.




2. ერთნაირი სიჩქარით მოძრავი ავტომობილებიდან მეტი მასის (დატვირთული) ავტომობილის გაჩერება უფრო ძნელია, ვიდრე ნაკლები მასის (დაუტვირთავი) ავტომობილის გაჩერება. ერთნაირი სიჩქარით მოძრავი ავტომობილებიდან მეტი მასის (დატვირთულ) ავტომობილს მეტი ენერგია აქვს, ვიდრე ნაკლები მასის (დაუტვირთავ) ავტომობილს (ბ).

ეს ნიშნავს, რომ დიდი მასის ავტომობილის კინეტიკური ენერგია მეტია, ვიდრე მცირე მასის ავტომობილისა, ანუ კინეტიკური ენერგია დამოკიდებულია მასაზე.


• სხეულის კინეტიკური ენერგია სხეულის მასისა და მისი სიჩქარის კვადრატის ნამრავლის ნახევრის ტოლია:

$$E_{\text{კნ}} = \frac{mv^2}{2}$$



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

ამოცანა. სამგზავრო თვითმფრინავი, რომლის მასაა 100 ტ, 9000 მ სიმაღლეზე 250 მ/წმ სიჩქარით მიფრინავს. ჩანერეთ მონაცემები შესაბამის უჯრებში და განსაზღვრეთ თვითმფრინავის კინეტიკური და პოტენციური ენერგიები დედა-მიწის ზედაპირის მიმართ ( $g = 10 \text{ მ/წმ}^2$ ).



$$E_{\text{კინ}} = \frac{\boxed{\phantom{00}} \cdot \boxed{\phantom{00}}}{\boxed{\phantom{00}}} \text{ კგ} \cdot \frac{\partial^2}{\text{წმ}^2} = \frac{\boxed{\phantom{00}}}{\boxed{\phantom{00}}} \text{ კგ} \cdot \frac{\partial^2}{\text{წმ}^2} = \boxed{\phantom{00}} \text{ მგკ.}$$

$$E_{\text{კინ}} = \boxed{\phantom{00}} \cdot \boxed{\phantom{00}} \cdot \boxed{\phantom{00}} \text{ კგ} \cdot \frac{\partial}{\text{წმ}^2} \cdot \partial = \boxed{\phantom{00}} \text{ მგკ.}$$

## რა შეიტყვეთ

მოძრაობის დროს სხეულს აქვს ----- . სხეულის კინეტიკური ენერგია სხეულის ----- და მისი სიჩქარის კვადრატის ნამრავლის ნახევრის ტოლია.


**საკვანძო სიტყვაზი  
მასა  
კინეტიკური ენერგია**

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

კინეტიკური ენერგია მოცემულია ფორმულით:


$$E_{\text{კინ}} = \frac{g}{2} m$$

ააგეთ კინეტიკური ენერგიის მასაზე დამოკიდებულების გრაფიკი.



### სავარჯიშო – 9

1. შეადარეთ ნახატზე წარმოდგენილი სხეულების პოტენციური ენერგიები.




2. გამოთვალეთ ზამბარის სიხისტე, თუ ის გაჭიმულია 4 სმ-ით და მისი ენერგიაა 4 კ.
3. როგორია სხეულის მასა, თუ მისი პოტენციური ენერგია 20 მ სიმაღლეზე 300 ჯ-ია ( $g = 10 \text{ N/kg}$ )?
4. შეადარეთ ბურთულების კინეტიკური ენერგიები, თუ მათი მასებია:

$$m_1 = 4m$$


$$m_2 = 2m$$

$$m_3 = m$$




### 3.6. ენერგიის მუდმივობის კანონი

ბიჭი ერთი ხელით აგდებულ ბურთს მეორე ხელით იჭერს.



ველომრბოლელი შეჯიბრის დროს სხვადასხვა სიმაღლეს გადალახავს.



- მექანიკური ენერგიის რა გარდაქმნები ხდება ბურთის მოძრაობის დროს?

- ველომრბოლელის მექანიკური ენერგიის რა გარდაქმნები ხდება მოძრაობის დროს?
- რომელი მექანიკური ენერგია აქვს ველომრბოლელს მოძრაობის 1 და 3 წერტილებში?

#### პალევითი სამუშაო-1. იცვლება თუ არა მექანიკური ენერგია?


**სამუშაოსთვის საჭიროა:** ლერძზე  
ძაფებით დაკიდებული დისკო (მაქს-  
ველის ქანქარა), შტატივი.

**სამუშაოს მსვლელობა:**

1. დაკიდეთ დისკო შტატივზე, როგორც ეს ნაჩვენებია ნახატზე (ა).
2. დაახვიეთ ძაფები დისკოს ლერძზე და გაუშვით ხელი. გაარკვით, მექანიკური ენერგიის რა ცვლილებები მოხდება ამ დროს (ბ).

**იმსჯელეთ შედეგებზე:**

1. რა ენერგია აქვს დისკოს უმაღლეს წერტილში?
2. ენერგიის რა გარდაქმნები მოხდება, თუ დისკოს მივცემთ თავი-სუფლად მოძრაობის საშუალებას?
3. როგორ იცვლება დისკოს მექანიკური ენერგია მისი ზევით ქვეით მოძრაობის დროს?



მოძრავ სხეულს ერთდროულად შეიძლება ჰქონდეს როგორც პოტენციური, ისე კინეტიკური ენერგია. ასეთ შემთხვევაში სხეულს აქვს ენერგია, რომელსაც სრული მექანიკური ენერგია ეწოდება. სხეულის სრული მექანიკური ენერგია მისი პოტენციური და კინეტიკური ენერგიების ჯამია:

$$E = E_{\text{პოტ.}} + E_{\text{კინ.}}$$

კვლევით სამუშაოში თქვენ დააკვირდით პოტენციური ენერგიის გარდაქმნას კინეტიკურ ენერგიად და, პირიქით, კინეტიკური ენერგიის გარდაქმნას პოტენციურად.

### იცვლება თუ არა მოძრავი სხეულის სრული მექანიკური ენერგია?


დავუშვათ, თ მასის ბურთი  $v$  სიჩქარით აისროლეს დედამიწის ზედაპირიდან ვერტიკალურად ზევით. ასროლის მომენტში დედამიწის ზედაპირთან ახლოს ბურთს მაქსიმალური კინეტიკური ენერგია აქვს, ხოლო პოტენციური ენერგია ნულის ტოლია. დედამიწის ზედაპირიდან ვეტიკალურად ზევით ასროლილი ბურთის სრული მექანიკური ენერგია ასროლის მომენტში მისი კინეტიკური ენერგიის მაქსიმალური მნიშვნელობის ტოლია:

$$E = E_{\text{ფიზ.მაქ.}} = \frac{mv^2}{2}$$

ზევით მოძრაობის დროს ბურთის სიჩქარე მცირდება, ხოლო სიმაღლე დედამიწის ზედაპირიდან იზრდება. მაქსიმალურ  $h$  სიმაღლეზე ბურთი წამით ჩერდება ( $v = 0$ ). თუ ჰაერის წინააღმდეგობას არ გავითვალისწინებთ, მაქსიმალურ სიმაღლეზე ბურთის საწყისი კინეტიკური ენერგია მთლიანად ბურთის პოტენციურ ენერგიად გარდაიქმნება (გ).

ბურთის სრული მექანიკური ენერგია მაქსიმალურ სიმაღლეზე მისი პოტენციური ენერგიის ტოლია:

$$E = E_{\text{პოტ.მაქ.}} = mgh.$$



წამიერი გაჩერების შემდეგ ბურთი ვარდნას იწყებს. ვარდნის დროს მისი სიჩქარე და კინეტიკური ენერგია იზრდება, პოტენციური ენერგია კი მცირდება. დედამიწის ზედაპირთან ( $h = 0$ ) ბურთის სიჩქარე და კინეტიკური ენერგია მაქსიმალურია, ხოლო პოტენციური ენერგია ნულის ტოლია.

ამრიგად, ბურთის მაქსიმალური პოტენციური ენერგია  $h$  სიმაღლეზე ბურთის დედამიწაზე დაცემის მომენტში კინეტიკურ ენერგიად გარდაქმნება და ბურთის სრული მექანიკური ენერგია მაქსიმალური კინეტიკური ენერგიის ტოლი გახდება.

დედამიწასთან დრეკადი დაჯახების შემდეგ ბურთი ვერტიკალურად ზევით აირევლება და მექანიკური ენერგიის გამორდება. თუ არ გავითვალისწინებთ დანაკარგებს ხახუნის დაძლევაზე, სრული მექანიკური ენერგია უცვლელია:

$$E = \text{const}; E = E_{\text{ფიზ.მაქ.}} = E_{\text{პოტ.მაქ.}} = \text{const};$$

$$E = \frac{mv^2}{2} + mgh = \text{const}$$

ამრიგად, ხახუნის არარსებობის შემთხვევაში მოძრავი სხეულის სრული მექანიკური ენერგია არ იცვლება, ის ერთი სახის ენერგიიდან მეორე სახის ენერგიად გარდაიქმნება.

ამ კანონს ფიზიკამი სრული მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონი ეწოდება.


## შეძენილი ცოდნის გამოყენება

### კვლევითი სამუშაო-2. შეიცვალა თუ არა ენერგია?

სამუშაოსთვის საჭიროა: ურიკა, ტრიბომეტრი, დახრილი სიბრტყე, სახაზავი, წამ-მზომი, სასწორი, საწონება.

#### სამუშაოს მსვლელობა:

1. სასწორის საშუალებით აწონეთ ურიკა, შედეგი ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში. მოათავსეთ ურიკა დახრილ სიბრტყეზე, 20 სმ სიმაღლეზე.
2. გაუშვით ურიკას ხელი და წამზომით განსაზღვრეთ დრო, რომელიც დასტირდება ურიკას ტრიბომეტრის ჰორიზონტალურ ზედაპირზე 150 სმ მანძილის გასავლელად. გავლილი მანძილისა და დახარჯული დროის მიხედვით გამოთვალეთ ურიკის სიჩქარე.



#### იმსჯელეთ შედეგებზე:

1. რის ტოლია ურიკის სრული მექანიკური ენერგია დახრილ სიბრტყეზე 20 სმ სიმაღლეზე?
2. რის ტოლია ურიკის სრული მექანიკური ენერგია ტრიბომეტრის ზედაპირზე მისი მოძრაობის დროს?
3. რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ ექსპერიმენტიდან?

## რა შეიტყვეთ

კინეტიკური და პოტენციური ენერგიის ჯამს ეწოდება ----- . ხახუნის არარსებობის დროს მოძრავი სხეულის ----- . ეს არის ----- კანონი.

საკვანო სიტყვები  
ენერგიის მუდმივობა  
სრული მექანიკური ენერგია  
ენერგია უცვლელია

## შეამონეთ თქვენი ცოდნა

1. სხეული, რომლის მასაა 100 გ, 6 მ სიმაღლეზე 10 მ/წმ სიჩქარით მოძრაობს. განსაზღვრეთ სხეულის სრული მექანიკური ენერგია.
2. რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ენერგიის მუდმივობის კანონიდან?




## შემაჯამებელი დავალებები

1. სხეული 25 ნ ძალის მოქმედებით 18 სმ მანძილზე გადაადგილდება. განსაზღვრეთ ამ ძალის მიერ შესრულებული მუშაობა.

- ა) 72 კ. ბ) 0,45 კ. გ) 450 კ. დ) 4,5. კ ე) 7,2 კ.


2. ნახატზე წარმოდგენილი სხეულები ერთნაირ გადაადგილებებს ასრულებენ. შეადარეთ მითითებული ძალების მიერ შესრულებული მუშაობა:

- ა)  $A_1 = A_2 > A_3$  ბ)  $A_1 = A_2 < A_3$  გ)  $A_2 > A_1 > A_3$  დ)  $A_1 > A_2 = A_3$  ე)  $A_1 < A_2 = A_3$



3. ნახატზე მოცემულია ძრავას მიერ შესრულებული მუშაობის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. გამოთვალით ძრავას სიმძლავრე.

- ა) 2000 ვტ. ბ) 8000 ვტ. გ) 1200 ვტ. დ) 1800 ვტ. ე) 80 ვტ.



4. როგორია სხეულის მასა, თუ მას 80 მ სიმაღლეზე 400 კ პოტენციური ენერგია აქვს ( $g = 10 \text{ მ/ს}^2$ )?

- ა) 2 კგ. ბ) 20 კგ. გ) 5 კგ. დ) 0,5 კგ. ე) 50 კგ.

5. სხეული, რომლის მასაა 1,5 კგ, თავისუფლად ვარდება 100 მ სიმაღლიდან. როგორია მისი კინეტიკური ენერგია დედამიწაზე დაცემის მომენტში? ( $g = 10 \text{ მ/ს}^2$ )?

- ა) 15 კ. ბ) 100 კ. გ) 1500 კ. დ) 150 კ. ე) 1,5 კ.

# ԾԵՐԸ

# 4

ՀՅ. 75-102

- 4.1. միարո սեղանու նեցա
  - 4.2. արյօնու նեցա
  - 4.3. սոտենու նեցա
  - 4.4. նեցու գաճապեմա սոտեղեծսա դա  
արյօնի
  - 4.5. ջուրի կաթու կաթու
  - 4.6. գումարու մանեանա
  - 4.7. ագմուսու կաթու
  - 4.8. ագմուսու նեցու գաճոմզա
  - 4.9. արյօնի կանոնո
  - 4.10. սեղանու պահու պահու
- Շեմաչամեծու դաշտու կաթու



## 4.1. მყარი სხეულის წევა

თქვენ იცით, რომ ტრაქტორი თავისუფლად მოძრაობს ქვიშიან და გრუნტის სველ გზაზე, ხოლო მსუბუქი ავტომობილისთვის ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია; ფურცელს დაფაზე საკანცელარიო ჭიკარტით ამაგრებენ; თხილამურების გარეშე ადამიანი თოვლში ეფლობა, თხილამურებით კი თავისუფლად გადაადგილდება.




- რატომ შეუძლია ტრაქტორს თავისუფლად გადაადგილდება ქვიშიან და გრუნტის გზაზე, ხოლო მსუბუქ ავტომობილს არ?
- რატომ არ ეფლობა თოვლში თხილამურებზე მდგომი ადამიანი?


### კვლევითი სამუშაო-1. რა დამოკიდებულებაა სხეულის მიერ შექმნილ წნევასა და შეხების ზედაპირის ფართობს შორის?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** 1. ღრუბელი, აგური.


**სამუშაოს მსვლელობა:** 1. მოათავსეთ აგური ღრუბელზე ვერტიკალურ მდგომარეობაში. დააკვირდით ღრუბელში აგურის ჩაძირვის სილრმეს. 2. მოათავსეთ აგური ღრუბელზე ჰორიზონტალურად, დიდი ფართობის ზედაპირით. დააკვირდით მისი ჩაძირვის სილრმეს.



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რომელ შემთხვევაში ჩაძიროა აგური უფრო მეტად? 2. იცვლება თუ არა აგურის მხრიდან ღრუბელზე მოქმედი ძალა? 3. როგორ არის დამოკიდებული ღრუბელზე მოქმედი ძალა აგურის ზედაპირის ფართობზე?



თქვენ იცით, რომ სხეულები, მათზე მოქმედი სიმძიმის ძალის გამო, თავისი წონით საყრდენზე მოქმედებენ. ეს მოქმედება, რომელსაც პირობითად წნევის ძალა ეწოდება, ყოველთვის ზედაპირის პერპენდიკულარულადაა მიმართული. მყარი სხეულს დამახასიათებელი თვისებაა მასზე მოქმედი წნევის ძალის გადაცემა მიმართულების შეუცვლელად (ა). კვლევებით დადგინდა, რომ წნევის ძალის მოქმედების შედეგი დამოკიდებულია ამ ძალის სიდიდეზე, მის მიმართულებასა და მოდების წერტილზე, ასევე ზედაპირის ფართობზე, რომელზეც ის მართოსულად მოქმედებს.



- წნევა ეწოდება ფიზიკურ სიდიდეს, რომელიც ტოლია ზედაპირის პერპენდიკულარულად მოქმედი წნევის ძალის შეფარდებისა იმ ზედაპირის ფართობთან, რომელზეც მოქმედებს.

წნევა აღინიშნება პატარა  $p$  ასოთი. თუ წნევის ძალას აღვნიშნავთ  $F$ -ით, ზედაპირის ფართობს  $S$ -ით, მაშინ წნევა შეგვიძლია გამოვთვალოთ ფორმულით:

$$p = \frac{F}{S}.$$

როგორც ფორმულიდან ჩანს, წნევა ზედაპირის ფართობის უკუპროპორციულია, ანუ თუ წნევის ძალა არ იცვლება, რამდენჯერაც გაიზრდება ზედაპირის ფართობი, იმდენჯერ შემცირდება წნევა.

ერთეულთა SI სიტემაში წნევის საზომი ერთეულად მიღებულია ნიუტონი შეფარდებული კვადრატულ მეტრთან, ანუ პასკალი (პა), რომელიც ერთეულს ფრანგი მეცნიერის ბლეზ პასკალის პატივსაცემად ეწოდა:

$$[P] = \frac{[F]}{[S]} = 1 \frac{\text{ნ}}{\text{მ}^2} = 1 \text{ პა}.$$

გამოიყენება წნევის საზომი სხვა ერთეულებიც:

$$1 \text{ კპა} = 1000 \text{ პა}; 1 \text{ პა} = 0,001 \text{ კპა}; 1 \text{ ჰექ} = 100 \text{ პა}; 1 \text{ პა} = 0,01 \text{ ჰექ}.$$

## შეძენილი ცოდნის გამოყენება

**კვლევითი სამუშაო-2. წნევის დამოკიდებულება წნევის ძალაზე.**

სამუშაოსთვის საჭიროა: 1. ღრუბელი, 2-3 ტვირთი, თითოეული წონით 1 ნ.

სამუშაოს მსვლელობა: 1. მოათავსეთ ღრუბელზე 1 ნ წონის ტვირთი. აღნიშნეთ ღრუბელში ტვირთის ჩაძირვის სიღრმე. 2. ამ ტვირთს სათითაოდ დაამატეთ დარჩენილი ტვირთები და აღნიშნეთ, როგორ იცვლება ღრუბელში ჩაძირვის სიღრმე.

**იმსჯელეთ შედეგებზე:** წნევის ძალის ზრდასთან ერთად როგორ იცვლება ღრუბელზე მოქმედი წნევა?

### რა შეიტყვეთ

----- ენოდება ფიზიკურ სიდიდეს, რომელიც ტოლია ზედაპირის მართობულად მოქმედი ----- შეფარდებისა -----.

----- ერთეულთა SI სისტემაში არის ნიუტონი შეფარდებული კვადრატულ მეტრთან.

**საქანქო ციტყვები**

წნევა

წნევის ძალა


ზედაპირის ფართობი

წნევის საზომი ერთეული


## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. გამოთვალეთ წნევა, რომელიც მოქმედებს ლურსმნის თითოეულ ბოლოზე.

$$F_1=20 \text{ ნ} \quad F_2=20 \text{ ნ} \quad S_1=1 \text{ სმ}^2 \quad S_2=0,1 \text{ სმ}^2$$



4. ორი ადამიანი სხვადასხვა ფორმის ნიჩბებით თხრის მინას. რომელს უფრო უადვილდება? ამ სამუშაოს შესრულება? რატომ?



2. ჩატარებული 1 კვლევითი სამუშაოს მიხედვით გამოთვალეთ წნევა, რომელსაც აგური აწარმოებს ზედაპირზე, როდესაც ის ვერტიკალურ და პორიტონტალურ მდგომარეობაშია.

3. როგორ გამოითვლება წნევის ძალა?

## 4.2. აირების წევა

ადამიანი თავისი წონით ქმნის იატაკზე წნევას; წიგნი ქმნის წნევას მაგიდაზე. ასევე აირი, რომელიც მოთავსებულია ჭურჭელში, ქმნის წნევას ჭურჭლის კედლებზე.

- როგორ წარმოქმნის აირი წნევას ჭურჭლის კედლებზე, რომელშიც არის მოთავსებული ან სხვა სხეულებზე, რომელიც მასთან კონტაქტშია?
- რა როლს ასრულებს სიმძიმის ძალა აირის წნევის წარმოქმნაში?
- შესაძლებელია თუ არა აირის წნევის გაზომვა?

### კვლევითი სამუშაო-1. აირის წნევის დამოკიდებულება სიმძიმის ძალაზე.

მითითებული მონაცემების მიხედვით, გამოთვალეთ კამერის რომელიმე  $S$  ზედაპირზე მოქმედი წნევის ძალა და მიღებული მნიშვნელობა შეადარეთ სიმძიმის ძალის მნიშვნელობას.

**იმსჯელეთ შედეგებზე.** ტოლია თუ არა წნევის ძალა და სიმძიმის ძალა?


ვიცით, რომ აირი, მყარი სხეულისა და სითხისაგან განსხვავებით, მთლიანად ავსებს მოცულობას, რომელშიც არის მოთავსებული. ამასთან, აირი წნევას ჭურჭლის მთელ შიდა ზედაპირზე წარმოქმნის. როგორც ჩანს, აირის წნევის წარმოქმნა სხვა მიზეზებითაა განპირობებული, ვიდრე მყარი სხეულისა და სითხის შემთხვევაში.

ჭურჭელში მოთავსებული აირის მოლეკულები ქაოსური მოძრაობის გამო ერთმანეთს და ჭურჭლის კედლებს ეჯახებან. იმის გამო, რომ აირში მოლეკულების დიდი რაოდენობაა, დიდია დაჯახებათა რიცხვიც. აირის მოლეკულების მოქმედება ჭურჭლის კედლებზე ქმნის აირის წნევას.

- წნევა, რომლითაც აირი მოქმედებს ჭურჭლის კედლებზე, აირის მოლეკულების ჭურჭლის კედლებთან შეჯახების შედეგად წარმოიქმნება.


აირებისა და სითხეების წნევა შეიძლება გავზომოთ ხელსაწყოს საშუალებით, რომელსაც მანომეტრი ეწოდება. მეტალის მანომეტრის მოქმედების პრიციპი „სათამაშო ენის“ მოქმედების პრიციპის მსგავსია. „სათამაშო ენა“ გაბერვის დროს ჰაერის წნევის მოქმედებით სწორდება. მანომეტრის ძირითადი ნაწილი, „სათამაშო ენის“ მსგავსად, წარმოადგენს დრევადი მეტალის მორკალულ მილს, რომლის ერთი ბოლო დარჩილულია, მეორე, ლია ბოლოს კი აერთებენ ჭურჭელთან, რომელშიც საჭიროა წნევის გაზომვა.

წნევის ზრდასთან ერთად მილი იწყებს გასწორებას, ხოლო მის დარჩილულ ბოლოზე მიმაგრებული ისარი – შემობრუნებას (ა). წნევის გასაზომად გამოიყენება სითხიანი მანომეტრიც. ეს მანომეტრი U-ს ფორმის მინის წვრილი მილია. მილში წყალი ან რომელიმე



$$S = 10 \text{ cm}^2 = 0.001 \text{ m}^2$$

წნევა კამერაში:  $p = 2 \cdot 10^5 \text{ Pa}$



სხვა სითხეა. აირის წნევის გასაზომად მანომეტრის მილის ერთ მუხლს რეზინის მილით უერთებენ ჭურჭელს, რომელშიც უნდა გაიზომოს წნევა, მაგ., ძაბრს, რომელსაც გადაკრული აქვს რეზინის აფსკი. მანომეტრის მეორე მუხლი ღია რჩება. რეზინის აფსკზე თითის დაჭერის დროს მანომეტრის მუხლებში წარმოიქმნება სითხის დონეთა შორის სხვაობა. U-ს ფორმის მილის მარცხენა მუხლში სითხის დონე დაინტევს, მარჯვენა მუხლში – აინტევს. წნევის მომატებით დონეთა შორის სხვაობა იზრდება (გ).

## შეძენილი ცოდნის გამოყენება


**პლავილი სამუშაო-2. როგორ არის დამოკიდებული აირის წნევა მის მოცულობაზე?**

**სამუშაოსთვის საჭიროა:** სითხიანი მანომეტრი, შპრიცი (20 მლ).

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. ამოსწიეთ ცარიელი შპრიცის დგუში და ამ მდგომარეობაში მიაერთეთ მანომეტრის მილს. 2. დააწევით შპრიცის დგუშს და თანდათან შეამცირეთ შპრიცი ჰაერის მოცულობა; ყურადღება მიაქციეთ მანომეტრის მუხლებში სითხის დონეთა ცვლილებას. 3. დგუშის საწყის მდგომარეობაში დაბრუნების დროს ჰაერის მოცულობა შპრიცში იზრდება.

დააკვირდით, რა ცვლილებები ხდება ამ დროს მანომეტრში.

**იმჯელებ შედეგებზე:** 1. შპრიცში ჰაერის მოცულობის შემცირების დროს მანომეტრის რომელ მუხლში იკლებს სითხის დონე? რატომ? 2. როგორ იცვლება წნევა აირის მოცულობის შემცირების დროს? 3. როგორ იცვლება სითხის დონეები მანომეტრში შპრიცში ჰაერის მოცულობის გაზრდის დროს? რატომ? 4. როგორ იცვლება აირის წნევა მისი მოცულობის გაზრდის დროს?



## რა შეიტყვეთ

ჭურჭლის კედლებზე აირის მოლეკულების დაჯახება ქმნის ----- . აირისა და სითხის წნევა შეიძლება გაიზომოს ხელსაწყოს საშუალებით, რომელსაც ----- ეწოდება. გარდა ამისა, აირის წნევის გაზომვა შესაძლებელია ----- , რომელიც წარმოადგენს U-ს ფორმის მინის მილს.

**საკანონი სიტყვები**  
სითხიანი მანომეტრი  
აირის წნევა  
მეტალის მანომეტრი

## შეამოწეთ თქვენი ცოდნა

1. რატომ არ შეიძლება ავტომობილის საბურავების ნორმაზე მეტად გაბერვა?
2. რატომ ინახება შეკუმშული აირი სპეციალურ ბალონებში?
3. რა შემთხვევაში წარმოქმნის აირი მეტ წნევას: ცხელ თუ ცივ მდგომარეობაში?
4. რა მოხდება, თუ მაგიდის ჩოგბურთის დეფორმირებულ ბურთს თბილ წყალში მოვათავსებთ?
5. როგორი დამოკიდებულებაა აირის წნევასა და მის მოცულობას შორის?

### 4.3. სითხეების ნევრა

მყვინთავები, რომლებიც დიდ სიღრმე-ებზე მუშაობენ, სპეციალურ ფორმას – სკაფანდრს – იყენებენ.



- რატომ იცვამენ დიდ სიღრმეებზე მომუშავე მყვინთავები სკაფანდრს?
- როგორ იცვლება წნევა წყალში ჩაყვინთვის სიღრმის ზრდასთან ერთად?
- რაზეა დამოკიდებული წნევა წყლის სიღრმეში?

#### კვლევითი სამუშაო-1. რაზეა დამოკიდებული სითხის წნევა?


**სამუშაოსთვის საჭიროა:** სითხიანი მანომეტრი, რეზინისაფსკიანი ძაბრი, სითხიანი ჭურჭელი, მარილი (100-150 გ), სუფრის კოვზი, რეზინის მილი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. რეზინის მი-

ლით შეაერთეთ ძაბრი და მანომეტრი.

რეზინისაფსკიანი ძაბრი სხვადასხვა სიღრმეზე ჩაუშვით წყალში. ჩაინტერეტ სამუშაო რვეულში მანომეტრის მუხლის სითხის დონის მნიშვნელობები. 2. შეცვალეთ ძაბრის მდგომარეობა წყალში ერთსა და იმავე სიღრმეზე. დააკვირდით ამ დროს მანომეტრის ჩვენებას. 3. ამოილეთ ძაბრი წყლიდან და გაათანაბრეთ სითხის სვეტის სიმაღლეები მანომეტრში (ამის-

თვის მოხსენით ძაბრს რეზინის მილი და ისევ მიუერთეთ). 4. დაუმატეთ წყალს ჭურჭელში რამდენიმე სუფრის კოვზი მარილი, მოურიეთ და გაიმეორეთ ცდა.



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. როგორ შეიცვალა სითხის დონეები მანომეტრის მუხლებში ძაბრის ჩაძირვის სიღრმის ზრდასთან ერთად? 2. იცვლება თუ არა მანომეტრის ჩვენება ძაბრის მდგომარეობის ცვლილების დროს ერთსა და იმავე სიღრმეზე? 3. როგორ შეიცვალა სითხის დონეთა სხვაობა მანომეტრის მუხლებში მარილიანი წყლით ცდის ჩატარების დროს?

სითხე ცალკეული ფენებისგან შედგება, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ გადაადგილება შეუძლია. სითხის ყოველი ფენა თავისი წონით ქვედა ფენებს აწვება. ამიტომ რაც მეტია ჭურჭელში სითხის სვეტის სიმაღლე, მით მეტი იქნება სითხის წნევა.

• ერთსა და იმავე სიღრმეზე სითხის წნევა ერთნაირია ყველა მიმართულებით. სიღრმის ზრდასთან ერთად სითხის წნევა იზრდება.

• სითხის წნევა დამოკიდებულია სითხის სვეტის სიმაღლესა და სითხის სიმკვრივეზე:

$$p = \rho gh.$$

სადაც  $p$  წნევაა,  $h$  – სითხის სვეტის სიმაღლე,  $\rho$  – სითხის სიმკვრივე, ხოლო  $g$  – თავისუფალი ვარდნის აწესარება.


თუ წარმოვიდგენთ პრიზმის ფორმის სითხის სვეტს და დავიცავთ ქვემოთ მოყვანილი ნაბიჯების თანამდევრობას, შევძლებთ მივიღოთ სითხის წნევის გამოსათვლელი ფორმულა:

ნაბიჯი – 1: პრიზმის ფორმის სითხის სვეტის წნევა გამოითვლება ფორმულით:  $p = \frac{F}{S}$ , სადაც  $F$  სიმძიმის ძალაა, რომელიც პრიზმის ფორმის წყლის სვეტზე მოქმედებს,  $S$  კი პრიზმის ფუძის ფართობია.

ნაბიჯი – 2: სიმძიმის ძალა გამოითვლება ფორმულით  $F_{\text{ნძ}} = mg$ ,  
სადაც  $m$  სითხის მასაა.

ნაბიჯი – 3: სითხის სვეტის მასა გამოითვლება ფორმულით  $m = \rho V$ ,  
სადაც  $\rho$  სითხის სიმკვრივეა,  $V$  – მისი მოცულობა.

ნაბიჯი – 4: სითხის სვეტის მოცულობა გამოითვლება ფორმულით  
 $V = Sh$ , სადაც  $S$  პრიზმის ფუძის ფართობია,  $h$  – სითხის სვეტის სიმაღლე.




## შეძენილი ცოდნის გამოყენება

**კვლევითი სამუშაო-2. სითხიანი მანომეტრის გამოყენება.**

სამუშაოსთვის საჭიროა: სინჯარა, სითხეები, რომელთა სიმკვრივე წყალია (წყალი, მზესუმზირას ზეთი), სითხიანი მანომეტრი, შტატივი, სახაზავი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დაამაგრეთ სინჯარა შტატივზე, ჩაასხით წყალი (ნახევარზე მეტი). 2. ჩაუშვით მანომეტრის მუხლზე მიერთებული რეზინის მილი სინჯარაში. 3. სახაზავით გაზომეთ მანომეტრის მუხლებში წყლის დონეთა სხვაობა. 4. შეცვალეთ წყალი სინჯარაში სხვა სითხით, გაიმეორეთ ცდა. მიღებული შედეგები ჩანერეთ ცხრილში.



სითხე	სიღრმე (სმ)	სითხის დონეთა სხვაობა მანომეტრის მუხლებში (სმ)
წყალი		
მზესუმზირას ზეთი		

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. როგორ იცვლება წნევა სიღრმის მატებასთან ერთად? 2. როგორ არის სითხის წნევა დამოკიდებული მის სიმკვრივეზე, თუ სითხის სვეტის სიმაღლე ერთნაირია?


## რა შეიტყვეთ

----- დამოკიდებულია სითხის სვეტის სიმაღლეზე და  
სითხის ----- . რაც უფრო მაღალია ----- ჭურჭელში,  
მით მეტია სითხის წნევა.

**სამუშაო** სიმკვრივე  
სითხის წნევა  
სითხის სვეტი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- რაზეა დამოკიდებული სითხის წნევა?
- ერთ ჭიქაში წყალია, მეორეში – გლიცერინი. სითხის სვეტის სიმაღლე ორივე ჭიქაში 6 სმ-ია. გამოთვალეთ წნევათა სხვაობა, რომელსაც სითხეები ქმნიან ჭიქის ფსკერზე  
( $\rho_{\text{წყლი}} = 1000 \text{ კგ}/\text{მ}^3$ ,  $\rho_{\text{გლ}} = 1260 \text{ კგ}/\text{მ}^3$ ,  $g = 10 \text{ მ}/\text{წ}^2$ ).
- როგორი წნევაა კასპიის ზღვაში 1 კმ სიღრმეზე (ატმოსფერული წნევაა არ გაითვალისწინოთ)? ( $\rho_{\text{ზღვი}} = 1030 \text{ კგ}/\text{მ}^3$ ,  $g = 10 \text{ ნ}/\text{კგ}$ )
- რა წნევით დაიწყებს გამოდინებას წყალი ბაკის ღია ონკანიდან?  
( $g = 10 \text{ ნ}/\text{კგ}$ )



#### 4.4. წევის გადაცემა სითხეებსა და აირებში

თუ პარენტ გაბერილ ქაღალდის პაკეტს ხელს დავარტყამთ, ის გასკდება. სითხეების შემთხვევაშიც ასეა: თუ სითხით სავსე თავ-მოკრულ პლიეტილენს პაკეტს თითოთ შევეხებით, ის ფორმას შეიცვლის, ხოლო თუ ხელით დავაწვებით, გასკდება.



- რატომ არ სკდება პაკეტი იქ, სადაც ვაწვებით, არამედ სრულიად სხვა ადგილას?

#### კვლევითი სამუშაო-1. რა მიმართულებით გადაეცემა წნევა სითხეში?

**კვლევისთვის საჭიროა:** პლასტიმასის ბოთლი, წყლით სავსე აკვარიუმი, მსხვილი ნებსი.


**სამუშაოს მსვლელობა:** 1. ნებსის საშუალებით ყველა მხრიდან გახვრიტეთ ბოთლი. 2. ბოთლი ჩაძირეთ წყლიან აკვარიუმში, აავსეთ, დააზურეთ თავსახური და ამოიღეთ. 3. ფრთხილად მოუჭირეთ ბოთლს ხელი.

**იმსჯელეთ შედეგებზე:** ხელის მოჭირისას რატომ გამოედინება წყალი ბოთლის ყველა ნახვრეტიდან?



მყარი სხეულის ზედაპირზე შექმნილი წნევა სხეულის შემადგენელ ნაწილაკებს ერთი მიმართულებით – ძალის მოქმედების მიმართულებით გადაადგილებს. ზედა ფენის ნაწილაკები ქეებით გადაადგილდება, რაც შემდეგი ფენის ნაწილაკების გადაადგილების მიზეზი ხდება. მყარი სხეულის ნაწილაკების გვერდითი გადაადგილება ძალიან მცირეა, ამიტომ გვერდითი მიმართულებით წნევა არ გადაეცემა.

ჭურჭელში მოთავსებულ სითხეზე (ან აირზე) მოქმედი გარე ძალა მოლეკულებს ყველა მიმართულებით გადაადგილებს. შედეგად იზრდება სითხის (ან აირის) სიმკვრივე და მისი წნევა ჭურჭლის კედლებზე.



ჭურჭელში მოთავსებულ სითხეზე (ან აირზე) მოქმედი წნევა ყველა მიმართულებით გადაეცემა. დახშულ ჭურჭელში მოთავსებული სითხეები და აირები მათზე მოქმედ გარე წნევას უცვლელად გადასცემენ ყველა მიმართულებით. ეს არის პასკალის კანონი სითხეებისა და აირებისთვის.



**ბერძნი პასკალი**  
(1623 – 1662)


ფრანგი მეცნიერი, რომელმაც აღმოაჩინა სითხეებისა და აირების მნიშვნელოვანი თვისებები.

## შექენილი ცოდნის გამოყენება

კვლევითი სამუშაო-2. პასკალის კანონი აირებისთვის.

სამუშაოსთვის საჭიროა: რეზინის ბუშტი, წებოვანი ლენტი, მსხვილი ნემისი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. გაბერეთ ბუშტი და ძაფით მოუკარით თავი. 5-6 ადგილზე დააკარით წებოვანი ლენტის ნაჭრები. 2. ნემისით გახვრიტეთ ლენტის მიწებების ადგილები (ამით თავიდან აიცილებთ ბუშტის გასკედომას). მოუჭირეთ ბუშტს ხელი. მიიტანეთ ბუშტი სახესთან და შეადარეთ ნახვრეტებიდან გამომავალი ჰაერის ნაკადები. იმსჯელეთ შედეგებზე: 1. რატომ გამოდის ჰაერი ბუშტის ყველა ნახვრეტიდან? 2. რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ჰაერის ნაკადებზე დაკვირვებიდან პასკალის კანონის მართებულობის შესახებ აირებისთვის?




## რა შეიტყვეთ

სითხის (ან აირის) სიმკვრივის მატებასთან ერთად იზრდება მისი -----. დახშულ ჭურჭელში მოთავსებული სითხეები (ან აირები) მათზე მოქმედ გარე წნევას ყველა ----- უცვლელად გადასცემენ. ეს არის ----- სითხეებისა და აირებისთვის.

**საკვანძო სიტყვები**  
პასკალის კანონი  
მიმართულება  
წნევა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. როგორ გადაეცემა წნევა სითხეებსა და აირებში?
2. ჩამოაყალიბეთ პასკალის კანონი სითხეებისა და აირებისთვის.
3. რატომ ვრცელდება ლრმანყლოვანი ჭურვის აფეთქების მომაკვდინებელი მოქმედება წყალში დიდ მანძილზე?
4. რომელი მიმართულებით გადაეცემა ჭურჭელში მოთავსებულ აირზე დგუმის მოქმედებით გამოწვეული წნევა?



## 4.5. ზიარშურჭელი

წყლის დონე ჩაიდანში და ჩაიდნის ცხვირში ერთნაირია. ქარბი წყალი გადმოიღვრება როგორც ჩაიდნის პირიდან, ისე ცხვირიდან.




- რატომ არის წყლის დონე ერთნაირი ჩაიდანში და ჩაიდნის ცხვირში?

### კვლევითი სამუშაო: რატომ არ შეიცვალა დონეები?


**სამუშაოსთვის საჭიროა:** მინის ორი ლაბოლოგიანი მილი; რეზინის მილი, წყალი, შტატივი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. მინის მილები დააკავშირეთ რეზინის მილით. მინის ერთი მილი შტატივზე დაამაგრეთ და დააკვირდით მოვლენებს მისი წყლით შევსების პროცესში (ა). 2. მეორე მინის მილი სხვადასხვა მიმართულებით (მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, ქვევით) გადაადგილეთ ისე, რომ წყალი არ გადმოიღვაროს. ყურადღება მიაქციეთ წყლის დონეს ორივე მილში (ბ). 3. დააკვირდით, როგორ შეიცვლება წყლის დონე მილებში, თუ ერთ-ერთ მილში წყლს დავამატებთ. 4. დახატეთ სამუშაო რვეულში ცდის შესაბამისი გამოსახულებები.



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. იცვლება თუ არა წყლის დონე ორივე მილში ერთ-ერთი მილის მუხლებში შეცვლის (მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, ქვევით გადაადგილების) დროს? რატომ? 2. როგორ შეიცვალა წყლის დონეები ერთ-ერთ მილში წყლის დამატების შემდეგ?


- ერთმანეთთან დაკავშირებულ ღია ჭურჭლებს ზიარჭურჭელი ეწოდება.



თუ ზიარჭურჭლის სხვადასხვა ფორმისა და განივ-კვეთის მუხლებში ერთგვაროვანი სითხეა, ნებისმიერი ჰორიზონტალური დონის არჩევისას აღმოჩნდება, რომ ამ დონეზე თითოეულ მუხლში წნევა ერთნაირია (გ).

$$p_1 = p_2 \rightarrow \rho g h_1 = \rho g h_2 \rightarrow h_1 = h_2$$

- ზიარჭურჭელში ერთგვაროვანი სითხის თავისუფა-ლი ზედაპირი ერთ დონეზე დგება. ეს ზიარჭურჭლის კანონია.



თუ ზიარჭურჭლის მუხლებში სხვადასხვა სითხეს ჩავასხამთ, რომლებიც ერთმანეთს არ ერევა, მაგ. წყალსა და ნავთს, მათი სვეტების სიმაღლე გამყოფი საზღვრის ზევით სხვადასხვა იქნება. მეტი სიმკვრივის სითხის დონე ნაკლები სიმკვრივის სითხის დონესთან შედარებით დაბალი იქნება (დ):

$$p_1 = p_2 \Rightarrow \rho_1 g h_1 = \rho_2 g h_2 \Rightarrow \frac{h_2}{h_1} = \frac{\rho_1}{\rho_2}.$$

სადაც  $h_1$  და  $\rho_1$  ერთ-ერთ მუხლში სითხის სვეტის სიმაღლე და მისი სიმკვრივეა, ხოლო  $h_2$  და  $\rho_2$  სითხის სვეტის სიმაღლე და მისი სიმკვრივეა ზიარჭურჭლის მეორე მუხლში.

- ზიარჭურჭელში ჩასხმული სხვადასხვა სითხის სვეტების სიმაღლე მათი სიმკვრივეების უკუპროპორციულია.


## შეძენილი ცოდნის გამოყენება

ამოხსენით ტესტები: 1. რომელ ნახატებზეა სწორად ნაჩვენები სპირტის დონეები სხვადასხვა ფორმის ზიარჭურჭელში?



2. ნახატზე წარმოდგენილ ჩაიდნებს ფუძის ერთ-ნაირი ფართობი აქვთ. რომელ ჩაიდანს აქვს მეტი მოცულობა?

- ა)  $V_1 > V_2 > V_3$ ;    ბ)  $V_1 > V_2 = V_3$ ;    გ)  $V_1 = V_2 = V_3$ ;  
დ)  $V_1 = V_2 > V_3$ ;    ე)  $V_1 = V_2 < V_3$ .



## რა შეიტყვეთ

ერთმანეთთან დაკავშირებულ რამდენიმე ლიაჭურჭელს ----- ეწოდება. ასეთ ჭურჭელში ერთ-გვაროვანი სითხის ----- ნებისმიერ დონეზე ერთნაირია. ზიარჭურჭელში სხვადასხვა ----- მათი სიმკვრივეების უკუპროპორციულია.

### საჯარო სიტყვები

სითხის სვეტის სიმაღლე  
ზიარჭურჭელი  
წნევა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- რატომ აქვს ერთგვაროვან სითხეს სხვადასხვა ფორმის ზიარჭურჭელში ერთ-ნარი სიმაღლე?
- სამართლიანია თუ არა ზიარჭურჭლის კანონი უწონობის მდგომარეობაში? პასუხი დაასაბუთეთ.
- რატომ აქვს სხვადასხვა სიმაღლე ზიარჭურჭელში ჩასხმულ სხვადასხვა სითხეს?

## 4.6. ჰიდრაულიკური განეანა

ზეთის სახდელ ქარხნებში ზეთის გამოსაწურად, აგრეთვე თივის, მუქაოსა და ფანერის დასაწეხად გამოიყენება სპეციალური მოწყობილობა, რომელსაც ჰიდრაულიკური მანქანა ეწოდება.

- როგორ ასრულებს ჰიდრაულიკური მანქანა ამ სამუშაოს?

ჰიდრაულიკური მანქანა შედგება ორი, სხვადასხვა დამეტრის, ერთმანეთთან დაკავშირებული ცილინდრისგან. ცილინდრებში ჩასხმულია ზეთი და აქვთ დგუშები. პასკალის კანონი იძლევა საშუალებას, ავსენათ ჰიდრაულიკური მანქანის მუშაობის პრინციპს. პასკალის კანონის მიხედვით, ჰიდრაულიკური მანქანის ორივე დგუშის ქვემოთ ზეთის წნევა ერთნაირია:  $p_1 = p_2$ .

წნევების ტოლობიდან მივიღებთ:

$$\frac{F_1}{S_1} = \frac{F_2}{S_2} \text{ ან } \frac{F_2}{F_1} = \frac{S_2}{S_1}.$$



სადაც  $S_1$  – პატარა დგუშის ზედაპირის ფართობია,  $S_2$  – დიდი დგუშის ზედაპირის ფართობი,  $F_1$  – პატარა დგუშზე მოქმედი ძალის მოდული,  $F_2$  კი – დიდ დგუშზე მოქმედი ძალის მოდული.

• ჰიდრავლიკური მანქანის დგუშებზე ზეთი მოქმედებს ძალებით, რომლებიც დგუშების ზედაპირის ფართობების პროპორციულია.

ამგვარად, ჰიდრავლიკური მანქანით შეგვიძლია მივიღოთ ძალაში მოგება  $\frac{S_2}{S_1}$ -ჯერ:  $F_2 = F_1 \frac{S_2}{S_1}$ .

### კვლევითი სამუშაო. როგორია ძალაში მოგება?


ნახაზზე აღნიშნულია ჰიდრავლიკური მანქანის დგუშების ზედაპირის ფართობები და ძალა, რომელიც პატარა დგუშზე მოქმედებს. როგორია ძალაში მოგება ამ მანქანით?

მოცემულია:  $S_1 = 0,1 \text{ dm}^2$ ;  $S_2 = 0,4 \text{ dm}^2$ ;  $F_1 = 100 \text{ N}$ ;  $F_2 = ?$

$$F_2 = \boxed{\phantom{00}} \cdot \frac{\boxed{\phantom{00}}}{\boxed{\phantom{00}}} \quad \boxed{6} = \boxed{\phantom{00}} \quad \boxed{6}$$

$$S_1 = 0,1 \text{ dm}^2$$

$$S_2 = 0,4 \text{ dm}^2$$




ამგვარად, ჰიდრავლიკური მანქანის დახმარებით შეგვიძლია პატარა ძალით დიდი ძალა გავაწონასწოროთ. ჰიდრავლიკურ მანქანებს, რომლებიც სხეულების დასაწეხად გამოიყენება, ჰიდრავლიკური ნეტები ეწოდება. ეს ნეტები მაშინ გამოიყენება, როდესაც ძალიან დიდი ძალებია საჭირო.

### შეძენილი ცოდნის გამოყენება

**ამოხსნით ამოცანა.** როგორი უნდა იყოს ჰიდრავლიკური მანქანის დიდი დგუშის ზედაპირის ფართობი, რომ შევძლოთ ეიფელის კოშკის განხილვასწორება, რომლის მასა 10000 ტ-აა, პატარა დგუშზე მოთავსებული 5 კგ მასის კურდღლით (დგუშების მასა და ხახუნი არ გაითვალისწინოთ,  $g = 10 \text{ m/s}^2$ )?

მოცემულია	გადაყვანა	ფორმულა	ამოხსნა
$S_1 = 1 \text{ dm}^2$ $m_{კურდღლ.} = 5 \text{ kg}$ $m_{კოშკის} = 10000 \text{ t}$ $g = 10 \text{ m/s}^2$ $S = ?$	$\dots \text{ kg}$	$\frac{F_2}{F_1} = \frac{S_2}{S_1}$ $F_1 = m \cdot კურდღლ. \cdot g$ $F_2 = m_{კოშკის} \cdot g$ $S_2 = \dots$  პასუხი:	$S_2 = \dots \text{ dm}^2$



## რა შეიტყვეთ

სხეულების დასაწერად გამოიყენება მოწყობილობა, რომელსაც  $\frac{S_2}{S_1}$ -ჯერ შეიძლება. ჰიდრაულიკური მანქანით  $\frac{S_2}{S_1}$ -ჯერ შეიძლება. ჰიდრაულიკურ მანქანებს, რომლებიც სხეულის დასაწერად გამოიყენება,  $\frac{S_2}{S_1}$ -ჯერ შეიძლება.

### საკვანძო სიტყვები


ჰიდრაულიკური მანქანა  
ჰიდრაულიკური წნევი  
ძალაში მოვება

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა


- რომელ კანონზეა დაფუძნებული ჰიდრაულიკური მანქანის მოქმედების პრინციპი?
- შეიძლება თუ არა ჰიდრაულიკურ მანქანში სითხე ჰაერით შევცვალოთ? პასუხი დასაბუთოთ.
- რაზეა დამოკიდებული ძალაში მოვება ჰიდრაულიკურ მანქანში?

### საკარჯიშო – 10.

- გამოსახეთ SI სისტემის წნევის საზომი ერთეული ძირითადი საზომი ერთეულებით.
- წყლის სვეტის წნევა ჭურჭლის ფსკერზე არის 44 კბა. იმავე წნევას ჭურჭლის ფსკერზე ქმნის ნავთი. როგორია წყლისა და ნავთის სვეტების სიმაღლე ( $\rho_{წყლის} = 1000 \text{ კგ/მ}^3$ ,  $\rho_{ნავთის} = 800 \text{ კგ/მ}^3$ ,  $g = 10 \text{ ნ/კგ}$ )?
- როგორია წნევების შეფარდება, რომლითაც ნახატზე წარმოდგენილი აგურები მოქმედებენ მაგიდაზე?




- ნახატზე წარმოდგენილია ზიარჭურჭელი. ერთ მუხლში ნავთია, მეორეში – მარილიანი წყალი. როგორია მუხლებში სითხის დონეები და როგორი თანაფარდობაა მათ წნევებს შორის MN ჰორიზონტალზე?




- ნახატზე წარმოდგენილია ჰიდრაულიკური მანქანა, რომლის დგუშები წონასწორობაშია. ნახატზე აღნიშნული მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ პატარა დგუშზე მოთავსებული სხეულის მასა.

$$m_1 = ? \quad m_2 = 60 \text{ კგ}$$



## 4.7. ატმოსფერული ნეივა

თუ პიპეტის ღია მხარეს წყალში ჩავუშვებთ და რეზინის თავს საცმს არ შევეხებით, წყალი პიპეტში არ შევა. თუ წყალში ცარიელ შპრიცს ჩავუშვებთ, რომლის დგუშმ მაქსიმალურად არის ამონეული, შპრიცში ძალიან მცირე რაოდენობის წყალი შევა.




- რატომ არ ივსება წყალში ჩავებული პიპეტი და შპრიცი? თუ წყალში ჩაშვებული პიპეტის რეზინის თავსაცმს ხელს მოვუჭროთ და გავუშვებთ ან წყალში ჩაშვებული შპრიცის დგუშმ ამოვნევთ, ისინი წყლით შეივსება.
- რატომ იწყებს წყალი პიპეტისა და შპრიცის შევსებას?

### კვლევითი სამუშაო-1. დასველდა თუ არა ქალალდი ჭიქაში?

სამუშაოსთვის საჭიროა: ქალალდის ხელსახოცი, მინის ჭიქა, წყლიანი აკვარიუმი, წებოვანი ლენტი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. ქალალდის ხელსახოცი წებოვანი ლენტის საშუალებით ისე დაამაგრეთ ჭიქის ფსკერზე, რომ ჭიქის გადაბრუნების დროს არ გადმოვარდეს. 2. გადაბრუნებული ჭიქა ვეტიკალურად ჩაუშვით წყლიან აკვარიუმში (ა). 3. ჭიქა წყლიდან ამოიღეთ ისე, რომ არ შეუცვალოთ მდგომარეობა და ნახეთ, დასველდა თუ არა ფსკერზე მიმაგრებული ხელსახოცი.



ჩაიწერეთ დაკავრვების შედეგები. 4. გადაბრუნებული ჭიქა დახარეთ და მთლიანად ჩაუშვით წყალში (ბ). რამდენიმე წამის შემდეგ ამოიღეთ ჭიქა და ნახეთ, დასველდა თუ არა ფსკერზე მიმაგრებული ხელსახოცი.


**იმსველეთ შედეგებზე:** 1. შეიგება თუ არა გადაბრუნებული ჭიქა წყალში ვერტიკალურად ჩაშვების შემდეგ? რატომ? 2. რატომ გამოიდის ჰაერის ბუშტები ჭიქიდან წყალში ჭიქის დახრილ მდგომარეობაში ჩაშვების დროს? შეივსებოდა თუ არა ჭიქა წყლით, ჭიქიდან ჰაერის ბუშტები რომ არ გამოსულიყო? რატომ?

ჰაერის გარსს, რომელიც დედამინას აკრავს, ატმოსფერო ეწოდება (ბერძნ. *atmos* – ორთქლი, *sphair* – სფერო, ბურთი). წნევას, რომელსაც ჰაერის გარსი ქმნის, ატმოსფერული წნევა ეწოდება. როგორც დედამინის ზედაპირზე არსებულ ყველა სხეულზე, ატმოსფეროზეც მოქმედებს სიმძიმის ძალა. ამ ძალის მოქმედების შედეგად ატმოსფეროს ზედა ფენები აწვეპა ქვედა ფენებს. ჰაერის ფენა, რომელიც უშუალოდ აკრავს დედამინას, ყველაზე მეტად არის შეკუმშული და წნევას, რომელსაც განიცდის ყველა მიმართულებით გადასცემს.

შედეგად ჰაერის წნევა საკმარი დიდი ძალით მოქმედებს დედამინაზე არსებულ ყველა სხეულზე, მათ შორის ჩვენზეც.

ბევრი მოვლენა, რომელსაც ცხოვრებაში ვხვდებით, ატმოსფერული წნევის არსებობით აიხსნება. მაგ., სითხე არ შედის წყალში ჩაშვებული პიპეტის თავისუფალი წვერიდან, თუ რეზინის თავსაცმს არ დავიხმარებთ. ეს იმით აიხსნება, რომ ჰაერის წნევა პიპეტში ატმოსფერული წნევის ტოლია.

რეზინის თავსაცმზე ხელის მოჭერის შემდეგ პიპეტიდან ჰანილი გამოიდევნება, ამტომ ხელის გაშვების პროცესში პიპეტში წნევა უკვე ატმოსფერულზე წაკლები იქნება და აკვარიუმში წყლის ზედაპირზე მოქმედი ატმოსფერული წნევა წყალს პიპეტში შესვლას „აიძულებს“. ლივერის მოქმედების პრინციპი, რომელიც ლაბორატორიებში სხვადასხვა სითხის სინჯის ასაღებად გამოიყენება (გ), აგრეთვე იმ მოვლენების მიზეზი, რომლებიც წყალში ჭიქის ჩაძირვის დროს ხდება, დაკავშირებულია ატმოსფერული წნევის არსებობასთან. დაფიქრდით ამის შესახებ დამოუკიდებლად.



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

**კვლევითი სამუშაო-2. რა არის ცარიელ ბოთლში?!**

**კვლევისთვის საჭიროა:** 1. ბოთლი, ძაბრი, წყლიანი ჭიქა, პლასტილინი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. ჩადგით ძაბრი ბოთლში და მათ შორის ღრეჩო პლასტილინით ამოაგეთ. 2. ძაბრში ჩასახით წყალი. წახეთ, რა ხდება. დაკვირვების შედეგი შეიტანეთ სამუშაო რვეულში. 3. მოაცალეთ პლასტილინი ბოთლსა და ძაბრს შორის არსებულ ღრეჩოს და გაიმეორეთ ცდა. დააკვირდით, ივსება თუ არა ბოთლი წყლით. დაკვირვების შედეგი ჩანრერეთ რვეულში.

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. როცა წყალს ძაბრის საშუალებით ვასხამთ, ივსება თუ არა ბოთლი, თუ ძაბრი პლასტილინით არის ბოთლზე მიმაგრებული? რატომ? 2. რა ხდება, როცა წყალს ძაბრის საშუალებით ვასხამთ და ძაბრსა და ბოთლს შორის ღრეჩო თავისუფალია პლასტილინისგან? ახსენით მოვლენა.



## რა შეიტყვეთ

ჰაერს დედამიწის ირგვლივ ----- ჰქვია. ჰაერით გამოწვეულ წნევას ----- ეწოდება. როგორც დედამიწაზე არსებულ სხეულებზე, ატმოსფეროზეც მოქმედებს -----.

**საქანდო ციტულები**  
სიმძიმის ძალა  
ატმოსფერო  
ატმოსფერული წნევა


## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რა აკავებს ატმოსფეროს დედამიწის ირგვლივ?
2. ჰაერის წნევა დედამიწაზე არსებულ სხეულებზე, მათ შორის ჩვენზე, საკმარისად დიდია. რატომ ვერ შევიგრძობთ ამ წნევას?
3. თუ ლივერის მილს, რომლის ერთი ბოლო წყალში იყო ჩაშვებული, ხოლო მეორე ბოლოს თირით დავახშობთ და წყლიდან ამოვიღებთ, მილდან წყალი არ ჩამოიღვრება (იხ. წახ. გ). რატომ?

## პროექტი. ავტომატური სარწყული

**პროექტისთვის საჭიროა:** ბოთლი, ბრტყელი ჯამი, ნიალი, ნებოვანი ლენტი, ფიცარი (2 ცალი), ლურსმანი (2 ცალი), ჩაქუჩი.


1. ლურსმნებით მიაჭედეთ ფიცრები ერთმანეთს, როგორც ნახატზე ნაჩვენები.
  2. ბრტყელი ჯამი გაავსეთ წყლით და დადგით ფიცარზე.
  3. გადააბრუნეთ წყლით სავსე ბოთლი და მისი ყელი ჩაუშვით წყლიან ჯამში. მიაყრდენით ბოთლი ვერტიკალურ ფიცარს და მიამაგრეთ მასზე წებოვანი ლენტით. ასე ამზადებენ „ავტომატური სარწყულის“ შინაური ფრინველისთვის.
- შემდეგი გაკვეთილისთვის დაწერეთ მოკლე ესე თქვენ მიერ დამზადებული „ავტომატური სარწყულის“ მუშაობის პრიციპის შესახებ.



## 4.8. ატმოსფერული წევის გაზომვა


დედამიწის ატმოსფერო პირობითად ფერნებადა დაყოფილი (ა). ჩატარებული გამოთვლებით, დედამიწის ატმოსფეროს სისქე დაახლოებით  $0 - 10000$  კმ დიაპაზონშია, ხოლო მასა, სავარაუდოდ,  $5.2 \cdot 10^{15}$  ტონის ტოლია.

- შეიძლება თუ არა ატმოსფერული წნევის ზუსტი მნიშვნელობის გამოთვლა  $p = pgh$ , ფორმულით, თუ გავითვალისწინებთ ატმოსფეროს სხვადასხვა ფენაში ჰაერის შემადგენლობის მახასიათებლებისა და სიმკვრივის მნიშვნელობის განსხვავებას?
- შეიძლება თუ არა დედამიწის ზეადაპირზე მოქმედი ატმოსფერული წნევის გაზომვა?



პირველად ატმოსფერული წნევა არაპირდაპირი გზით გაზომა იტალიელმა მეცნიერმა ევანჯელისტა ტორიჩელიმ მე-17 საუკუნეში. მან ვერცხლისწყლით გაავსო 1 მ სიგრძის მინის მილი, რომელსაც ერთი ბოლო დარჩილული (დახურული) ჰქონდა. თითოთ დაფარა მილის ღია ბოლო, მილი გადააბრუნა და ვერცხლისწყლით სავსე ჯამში ჩაუშვა. შემდეგ ვერცხლისწყლში ჩაძირული მილის ბოლოს თითო მოაშორა. ვერცხლისწყლის მცირე ნაწილი ჯამში ჩაიღვარა, დიდი ნაწილი მილში დარჩა. მილში დარჩენილი ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლე 760 მმ-ის ტოლი აღმოჩნდა (ბ).

## ტორიჩელის ცდა



ცდა შემდეგნაირად აისახება: განიერ ჭურჭელში ვერცხლისწყლის ზედაპირზე მოქმედებ ატმოსფერული წნევას აწონასწორებს მინის მიღწი დარჩენილი ვერცხლისწყლის სვეტის წნევა. ჭურჭელში არსებულ ვერცხლისწყალსა და მიღწი დარჩენილ ვერცხლისწყალს შორის მყარდება წონასწორობა, ე.ი. ატმოსფერული წნევა ვერცხლისწყლის სვეტის წნევის ტოლია ( $p_{\text{ატ}} = p_{\text{ვწ}}$ ). გამოდის, რომ ატმოსფერული წნევა მინის მიღწი დარჩენილი  $760$  მმ სიმაღლის ვერცხლისწყლის სვეტის წნევის ტოლია, რაც დაახლოებით  $10^5$  პა-ა:

$$p = p_{\text{ვწ}} \cdot gh = 13600 \frac{\text{კგ}}{\text{მ}^2} \cdot 9,8 \frac{\text{მ}}{\text{კგ}} \cdot 0,76 \text{ მ} = 101300 \frac{\text{ნ}}{\text{მ}^2} = 101300 \text{ პა} \approx 10^5 \text{ პა} = 100 \text{ კპა.}$$

აქედან შეგვიძლია გამოვთვალოთ, რომ  $1$  მმ სიმაღლის ვერცხლისწყლის სვეტის წნევა  $130$  პა-ის ტოლია. დაკვირვებებით დადგინდა, რომ ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლე მუდმივი არ არის; ეს ნიშნავს, რომ ატმოსფერული წნევაც ცვალებადია. ამინდის შესაბამისად ის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. თუ მინის მიღწის ვერტიკალურ სკალაზე მივამაგრებთ, მივიღებთ უმარტივეს ვერცხლისწყლიან ბარომეტრს (ბერძნულად *baros* – სიმძიმე), რომლითაც შესაძლებელია ატმოსფერული წნევის გაზომვა (გ). ასევე მრავალრიცხოვანი დაკვირვებით ცნობილია, რომ ვერცხლისწყლიანი ბარომეტრის ჩვენება  $0^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს არის  $760$  მმ ვწყ. სვ.

- წნევას, რომელსაც ქმნის  $760$  მმ სიმაღლის ვერცხლისწყლის სვეტი  $0^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს, ნორმალური ატმოსფერული წნევა ეწოდება.

როგორ არის დამოკიდებული ატმოსფერული წნევა სიმაღლეზე? ბარომეტრის საშუალებით ჩატარებული გამოკვლევებით გაირკვა, რომ ზღვის დონიდან (სადაც  $h = 0$ ,  $p = 760$  მმ ვწყ. სვ.) საშუალოდ ყოველ  $12$  მ სიმაღლეზე ასვლისას ატმოსფერული წნევა  $1$  მმ ვწყ. სვ.-ით მცირდება და პირიქით, ზღვის დონის მიმართ სიმაღლის ყოველი  $12$  მ-ით შემცირება იწვევს წნევის ზრდას  $1$  მმ ვწყ. სვ.-ით.

გ ვერცხლისწყლის სარიტუალის სარიმეტრი (სქემა)



## კვლევითი სამუშაო-1. ატმოსფერული წნევის


დამოკიდებულება სიმაღლეზე.

ვერცხლისწყლიანი ბარომეტრით ატმოსფერულ წნევას ზომავენ სხვადასხვა სიმაღლესა და სილრმეზე. მიიღება წარმოდგენილი დიაგრამა.


**რა სიმაღლესა და სილრმეს შეესაბამება დიაგრამაზე ნაჩვენები წნევები?**

პრაქტიკაში წნევის გასაზომად ხშირად გამოიყენება მეტალის ბარომეტრი, რომელსაც ბარომეტრ-ანეროიდი ენოდება (ლ). ანეროიდი (ბერძნულად a (an) – უარყოფა და aera – ჰაერი) „უჰაეროს“ ნიშნავს. მისი ძირითადი ნაწილია მეტალის გოფრირებული ყუთი, საიდანაც ჰაერია ამოტუმბული. გარედან მასზე ატმოსფერული წნევის მოქმედება იწვევს მის დეფორმირებას, რაც ბერკეტისა და გადამცემი ლილვის საშუალებით ხელსაწყოს ისარს გადაეცემა. ისარი მარჯვნივ ან მარცხნივ გადაადგილდება და შესაბამის წნევას გვიჩვენებს.

ნახატზე (ე) ნარმოდგენილი ბარომეტრ-ანეროიდის ზედა სკალა პასკალებშია დაგრადუირებული, ქვედა სკალა – მმ ვწყ. სვ.-ში.



(დ)



(ე)



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

შეასრულეთ ტესტური დავალებები.

1. როგორია ატმოსფერული წნევა მთის მწვერვალზე, რომლის სიმაღლე 4800 მ-ია?

- ა) 760 მმ ვწყ. სვ.;
- ბ) 360 მმ ვწყ. სვ.;
- გ) 1060 მმ ვწყ. სვ.;
- დ) 730 მმ ვწყ. სვ.;
- ე) 280 მმ ვწყ. სვ.

2. გებელის რაიონში მდებარე ჩანჩქერ „შვიდი მზეთუნახავის“ ვარდნის სიმაღლეზე ბარომეტრის ჩვენება 748 მმ ვწყ. სვ.-ია., ხოლო დაცემის ადგილზე – 758 მმ. ვწყ. სვ. განსაზღვრეთ ჩანჩქერის სიმაღლე.

- ა) 120 მ;
- ბ) 100 მ;
- გ) 150,6 მ;
- დ) 74,8 მ;
- ე) 75,8 მ.

## რა შეიტყვეთ

წნევა 760 მმ ვწყ. სვ.  $0^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს ——. სითხიან ხელსაწყოს, რომელიც ატმოსფერულ წნევას ზომავს, —— ჰევია. მეტალის ბარომეტრ —— გამოიყენება ატმოსფერული წნევის გასაზომად.

### საკვანძო სიჭყვები


ანეროიდი

ნორმალური ატმოსფერული წნევა ვერცხლისწყლიანი ბარომეტრი

## შეამონმეთ თქვენი ცოდნა

1. რატომ არის ატმოსფერული წნევა მთიან ადგილას უფრო დაბალი, ვიდრე დაბლობში?
  2. რატომ შეუძლია რეაქტიულ თვითმფრინავს ატმოსფეროს ზედა ფენებში უფრო დიდი სიჩქარით ფრენა?
  3. რატომ იყენებენ ალპინისტები მაღალ მწვერვალებზე ასვლისას სუნთქვის გასაადვილებლად ჟანგბადის ნილებს?

#### 4.9. არეილების ქაღა



კვლევითი სამუშაო-1. როგორ იკვლება წყალში ჩაძირული სხეულის წონა?

სამუშაოსთვის საჭიროა: დინამომეტრი, წყობიანი ჭურჭელი, პლასტილინი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დაკიდეთ პლასტილინის ნაჭერი დინამომეტრზე და განსაზღვრეთ მისი წონა. შედეგი ჩაინწრეთ სამუშაო რვეულში. 2. განსაზღვრეთ პლასტილინის წონა, როდესაც ის მთლიანად ჩაძირულია წყალში, ოღონდ არ ეხება ფსკერს. შედეგი ჩაინწრეთ სამუშაო რვეულში. 3. ამოიღეთ პლასტილინი წყლიდან და მიეცით მას სფეროს ფორმა. დაკიდეთ დინამომეტრზე, ისევ მთლიანად ჩაუჭვით წყალში და განსაზღვრეთ მისი წონა. შედეგაბი ჩაინწრეთ სამუშაო რვეულში.

სითხეში ჩაძირულ სხეულზე სითხე ამომგდები ძალით მოქმედებს. სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალა სიმძიმის ძალის საწინააღმდეგოდაა მიმართული. ამის გამო სხვულის წონა მკირთება.

- სითხეში (ან აირშა) ჩაძირულ სხეულზე მოქმედებს ამომგდები ძალა, რომელიც სხეულის მიერ გამოიყვნილი ხითხხის (ან აირის) წონის ტოლია.

ამ კანონს, რომელიც ძველმა ბერძენმა მეცნიერმა არქიმედემ აღმოაჩინა, მის პატივსაცემად არქიმედეს კანონი ეწოდება. ამომგდებ ძალას, რომელიც სითხეში (ან აირში) ჩაძირულ სხეულზე მოქმედებს, არქიმედეს ძალა ეწოდება.

- არქიმედეს ძალის მოდული სითხის (ან აირის) სიმკვრივის, თავისუფალი ვარდნის აჩეარებისა და სხეულის სითხეში (ან აირში) ჩაძირული ნაწილის მოცულობის ნამრავლის ტოლია:

$$F_a = \rho_{\text{სითხი}} g V_h \quad \text{ან} \quad F_a = m_{\text{სითხი}} g = P_{\text{სითხი}}.$$

სადაც  $F_a$  სითხეში ჩაძირულ სხეულზე მოქმედი არქიმედეს ძალაა,  $\rho_{\text{სითხი}}$  – სითხის სიმკვრივე,  $V_h$  – სხეულის სითხეში ჩაძირული ნაწილის მოცულობა,  $m_{\text{სითხი}}$  – გამოდევნილი სითხის მასა,  $P_{\text{სითხი}}$  კი – გამოდევნილი სითხის წონა. ამგვარად, სითხეში (ან აირში) ჩაძირული სხეულის წონა მცირდება მასზე მოქმედი არქიმედეს ძალის ტოლი სიდიდით:

$$P = P_0 - F_a.$$

სადაც  $P$  სხეულის წონაა სითხეში,  $P_0$  – სხეულის წონა ვაკუუმში (ჰაერში),  $F_a$  – არქიმედეს ძალა.



**არქიმედე**

(ძვ. წ. 287 – 212 წწ.). ძველი ბერძენი (სიცილია, ქალაქი სირაკუზი) სწავლული და ინჟინერი. იგი მრავალი მარტივი მექანიზმის აგტორია.


## შეძენილი ცოდნის გამოყენება

კვლევითი სამუშაო-2. შევამოწმოთ არქიმედეს კანონი.

სამუშაოსთვის საჭიროა: დინამომეტრი, მეზზურა, პლასტილინი, ძაფი, ჭურჭელი სითხის გადმოსასვლელი მილით, პლასტმასის ჭიქა, რომელსაც ძაფი აქვს შემოკრული.

სამუშაოს მსვლელობა:

1. პლასტილინი დაკიდეთ დინამომეტრზე და განსაზღვრეთ მისი წონა. განსაზღვრეთ პლასტილინის მოცულობა, რისთვისაც ჩაძირეთ მეზზურაში ჩასხმულ წყალში. შედეგები ჩანერეთ ცხრილში. 2. ჩაასხით ჭურჭელში წყალი სითხის გადმოსასვლელ მილამდე. გადმოსასვლელ მილს მიუდგით პლასტმასის ჭიქა. 3. ჩაძირეთ წყლიან ჭურჭელში დინამომეტრზე დაკიდებული პლასტილინი და განსაზღვრეთ მისი წონა წყალში. შედეგი ჩანერეთ ცხრილში. 4. პლასტილინის მიერ გამოდევნილი წყლის წონის გასაგებად დინამომეტრის სამუალებით აწონეთ პლასტმასის ჭიქაში გადმოლვრილი წყალი. შედეგი ჩანერეთ ცხრილში. 5. გამოთვალეთ არქიმედეს ძალა და შედეგი შეადარეთ პლასტილინით გამოდევნილი წყლის წონას.



პლასტილინის წონა ჰაერში	პლასტილინის მოცულობა	პლასტილინის წონა წყალში	გამოდევნილი წყლის წონა	არქიმედეს ძალა $F_a = \rho_{\text{წყ.}} g V_{\text{სხ.}} =$
$P_0 =$	$V_{\text{სხ.}} =$	$P =$	$P_{\text{წყ.}} =$	$F_a = \rho_{\text{წყ.}} g V_{\text{სხ.}} =$

**იმსჯელეთ შედეგებზე:** რა შედეგი მიიღეთ პლასტილინის მიერ გამოდევნილი წყლის წონისა და არქიმედეს ძალის შედარებისას?

## რა შეიტყვეთ

სითხეში (ან აირში) ჩაძირულ სხეულზე მოქმედებს -----, რომელიც სხეულის ჩაძირული ნაწილის ----- მიერ გამოდევნილი სითხის (ან აირის) წონის ტოლია. სითხეში (ან აირში) ჩაძირული სხეულის ----- მცირდება მასზე მოქმედი არქიმედეს ძალის ტოლი სიდიდით.

### საკვანძო სიტყვები

წონა  
არქიმედეს ძალა  
მოცულობა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

იპოვეთ შესაბამისობა.

I. არქიმედეს ძალა დამოკიდებულია:


II. არქიმედეს ძალა არ არის დამოკიდებული:

- ა) I – ა, დ  
II – ბ, გ, ე  
ბ. სხეულის სიმკვრივეზე  
გ. სითხის სიმკვრივეზე  
დ. სხეულის ჩაძირვის  
სიღრმეზე  
ე. სხეულის ჩაძირული  
ნაზილის მოცულობაზე
- ა) I – ა, დ  
II – ბ, გ  
ბ) I – ა, ბ, დ  
II – გ, ე  
გ) I – გ, ე  
II – ა, ბ, დ  
დ) I – ბ, დ  
II – ა, გ, ე  
ე) I – ბ, გ, დ  
II – ა, ე


### საკარჯიშო – 11

1. არქეოლოგები სხვადასხვა ადგილებზე საძიებო სამუშაოების ჩატარების დროს ატმოსფერულ წნევასაც ზომავდნენ, რის შედეგადაც ნახატზე წარმოდგენილი დიაგრამა მიიღეს.


- ა) რომელი ადგილია ზღვის დონეზე მაღლა და რამდენით?  
ბ) რომელი ადგილია ზღვის დონეზე დაბლა და რამდენით?




2. ნახატზე წარმოდგენილი ვერცხლისწყლიანი მანომეტრი აჩვენებს აირის წნევას N ჭურჭელში. რამდენით განსხვავდება ჭურჭელში არსებული აირის წნევა ატმოსფერული წნევისგან?




3. ნახატზე აღნიშნული მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ:
- სხეულზე მოქმედი არქიმედეს ძალა წყალში და სხვა სითხეში;
  - წყლისა და სხვა სითხის სიმკვრივე.



4. წყალში ჩაძირული ფოლადის ბურთულებიდან რომელზე მოქმედებს ყველაზე მეტი არქიმედეს ძალა?



5. როგორ შეიცვლება მეტალის ძელაკზე მოქმედი არქიმედეს ძალა, თუ ძელაკს პორიზონტალური მდგომარეობიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში გადავიყვანთ?



#### 4.10. სხეულთა ცურვის პირობები: გემების ცურვა, ჰაერნაოსეობა



ფოლადის ლურსმანი წყალში სწრაფად იძირება.



დედამინის ჩრდილო და სამხრეთ პოლუსებთან ოკეანის წყლებში უზარმაზარი აისბერგები დაცურავს, რომელთა მასა ათასობით ტონაა.



ადამიანები აეროსტატში ჰაერის გაცხელებით ადვილად ადიან ცაში და სხვადასხვა მანძილზე დაფრინავენ.

- რატომ არ იძირებიან მეტალისგან დამზადებული უზარმაზარი ხომალდები, რომლებიც ზღვებსა და ოკეანეებში დაცურავენ?

- რატომ არ იძირება აისბერგი ოკეანის წყლებში?

- რატომ დაფრინავს აეროსტატი?
- რატომ შეუძლია ზოგიერთ სხეულს წყალში ცურვა და ჰაერში ფრენა?


#### კვლევითი სამუშაო-1. როგორ იცვლება სხეულის წონა სითხეში?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** წყლიანი ჭურჭელი, პლასტილინის ნაჭერი (2 ცალი).


**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დაამზადეთ პლასტილინისგან ბურთულა და დადეთ წყლის ზედაპირზე. დააკვირდით მოვლენას.

2. დაამზადეთ პლასტილინის მეორე ნაჭრისგან პატარა ნავი და დადეთ წყლის ზედაპირზე. რა მოხდა ამ შემთხვევაში?


**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რატომ იძირება პლასტილინის ბურთულა წყალში, პატარა ნავი კი წყლის ზედაპირზე ცურვას? 2. რა ძალები მოქმედებს პლასტილინის ბურთულასა და ნავზე? გამოთქვით ჰაერის მოძრაობა.




სითხეში ჩაძირულ სხეულზე მოქმედი ძალები.



2



3



სითხის სიმკვრივეზე:

$$\rho_{\text{ს.}} < \rho_{\text{სითხის}}, \text{ მაშინ } \rho_{\text{სითხის}} V_{\text{ჩ.}} = \rho_{\text{ს.}} V.$$

ეს არის სითხის ზედაპირზე სხეულის ცურვის პირობა. მაგ., წყლის ზედაპირზე მცურავი აისპერგი, ვერცხლისწყლის ზედაპირზე მცურავი ფოლადის სხეული და ა. შ.

ზღვებსა და ოკეანეებში მცურავ გემებს სხვადასხვა სიმკვრივის მასალისგან ამზადებენ. გემები არ იძირება მძიმე ტვირთის გადაზიდვის დროსაც, იმიტომ რომ გემის ჩაძირული ნაწილის მიერ გამოდევნილი წყლის წონა დატვირთული გემის წონის ტოლია ჰაერში.

წყალში სხეულზე ორი ძალა მოქმედებს: სიმძიმის ძალა ( $F_{\text{ნიმ.}}$ ) და არქიმედეს ძალა ( $F_{\text{с.}}$ ). იმის მიხედვით, თუ როგორია ამ ძალებს შორის თანაფარდობა, სხეული ცურავს ან იძირება:

1. თუ სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა მეტია არქიმედეს ძალაზე, სხეული იძირება (ა):

$$F_{\text{ნიმ.}} > F_{\text{с.}}$$

ანუ, თუ სხეულის საშუალო სიმკვრივე მეტია სითხის სიმკვრივეზე, სხეული იძირება:

$$\rho_{\text{ს.}} > \rho_{\text{სითხის}} g V_{\text{ს.}}, \rho_{\text{ს.}} > \rho_{\text{სითხის}}.$$

2. თუ სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა არქიმედეს ძალის ტოლია, სხეული წონასწორობაშია სითხის შიგნით (ბ):

$$F_{\text{ნიმ.}} = F_{\text{с.}}$$

ანუ, თუ სხეულის საშუალო სიმკვრივე სითხის სიმკვრივის ტოლია, სხეულს ამ სითხის წებისმიერ სიღრმეზე შეუძლია ცურვა.


$$\rho_{\text{ს.}} g = \rho_{\text{სითხის}} g V_{\text{ს.}}, \rho_{\text{ს.}} = \rho_{\text{სითხის}}.$$

3. თუ სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა ნაკლებია არქიმედეს ძალაზე ( $F_{\text{ნიმ.}} < F_{\text{с.}}$ ), ამ ძალების ტოლებით იქნება მიმართული და სხეული სითხის ზედაპირისკენ დაიწყებს მოძრაობას. ვიდრე სხეული სითხის თავისიუფალ ზედაპირს არ მიაღწევს, მასზე მოქმედი ამომგდები ძალა არ შეიცვლება. შემდგომი მოძრაობისას ამომგდები ძალა შემცირებას დაიწყებს და როცა მოდულით სიმძიმის ძალას გაუტოლდება, სხეული შეწყვეტს ვერტიკალურ მოძრაობას და სითხის ზედაპირზე დაიწყებს ცურვას. ამ დროს სხეული ნაწილობრივ იქნება სითხეში ჩაძირული. სხეულის სითხეში ჩაძირული ნაწილის მოცულობა  $V_{\text{ჩ.}}$  ისეთია, რომ მის მიერ გამოდევნილი სითხის წონა სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალის ტოლია:


$$\rho_{\text{სითხის}} g V_{\text{ჩ.}} = mg$$

ანუ, თუ სხეულის საშუალო სიმკვრივე ნაკლებია

გემის წყალში ჩაძირულ ნაწილს გემის წყალწყვა ეწოდება. ეს ნაწილი გემის კორპუსზე ფერადი ხაზითაა (როგორც წესი, წითელი) აღნიშნული და წყალხაზი ჰქვია. ზღვებში წყლის სიმკვრივე სხვადასხვაა, ამიტომ გემის კორპუსზე რამდენიმე წყალხაზია აღნიშნული (დ).




**იცით თუ არა, რომ?** სითხის სიმკვრივის განსასაზღვრად გამოიყენება ხელსაწყო, რომელსაც **არეომეტრი** ჰქვია (იხ. „ქიმია“, მე-7 კლასი). არეომეტრის მოქმედების პრინციპი არქიმედეს კანონზეა დამყრებული. არეომეტრი წარმოადგენს ორივე მხრიდან დარჩილულ მინის მიღს.



არეომეტრის ერთი ბოლო წარმოადგენს ბურთულას, რომელიც გავსებულია საფანტით ან ვერცხლისწყლით. არეომეტრის ზედა ნაწილი შედარებით წვრილი მიღია, რომელიც დაგრადუირებულია რომელიმე სითხის, როგორც წესი, წყლის, სიმკვრივის მიმართ. არეომეტრს ათავსებენ სითხეში, რომლის სიმკვრივის გავსებულებით არის საჭირო, ისე, რომ ის სითხეში ტივტივებდეს. გამოსაკვლევი სითხის სიმკვრივეს საზღვრავენ სკალის დანაყოფების მიხედვით.

საპაერო ბურთის ფრენისთვისაც („ცურვისთვის“) აუცილებელია, რომ არქიმედეს ძალა სიმძიმის ძალაზე მეტი იყოს. საპაერო ბურთის ფრენის სიმძლლის ზრდასთან ერთად არქიმედეს ძალა მცირდება, რადგან მცირდება ჰაერის სიმკვრივე. წარსულში, როდესაც უნდოდათ, რომ საპაერო ბურთი უფრო მაღლა ასულიყო, გონილიდან ბალასტს – სპეციალურ ტვირთს – აგდებდნენ. ამით მცირდებოდა საპაერო ბურთზე მოქმედი სიმძიმის ძალა.






## შეძენილი ცოდნის გამოყენება

**კვლევითი სამუშაო-2. შევამონმოთ სხეულთა ცურვის პირობების მართებულობა.**  
სამუშაოსთვის საჭიროა: ხის ძელაკი, ალუმინის ცილინდრი, კარტოფილის ნაფერი, ორი ცალი ლაბორატორიული ჭიქა: ერთი ნახევრად შევსებული სუფთა წყლით, მეორე – მარილიანი წყლით.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დააკვირდით როგორ „იქცევიან“ ეს სხეულები სუფთა წყალში, შემდეგ – მარილიანი წყლი. 2. შეადარეთ ამ დაკვირვების შედეგები.

წყალი

მარილიანი წყალი



### იმსჯელეთ შედეგებზე:

- რომელი სხეული ჩაიძირა, დაიწყო ტივტივი ან გაჩერდა წონასწორობის მდგომარეობაში სუფთა წყლის გარკვეულ სიღრმეზე (იხ. ბ)? რატომ?
- რომელი სხეული ჩაიძირა, დაიწყო ტივტივი ან გაჩერდა წონასწორობის მდგომარეობაში მარილიანი წყლის გარკვეულ სიღრმეზე (იხ. ბ)? რატომ?

### რა შეიტყვეთ


თუ სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა მეტია არქიმედეს ძალაზე, სხეული -----. თუ სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა ნაკლებია არქიმედეს ძალაზე, სხეული -----. თუ სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა არქიმედეს ძალის ტოლია, სხეული რჩება წონასწორობის მდგომარეობაში -----.

### საქანდო სიცავები

ცურავს სითხის ზედაპირზე  
სითხის შიგნით  
იძირება სითხეში


### შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- რატომ არ იძირება მეტალისგან დამზადებული, მძიმედ დატვირთული გემები წყალში?
- რა შემთხვევაშია შესაძლებელი ჰაერში „ცურვა“?
- წარმოდგენილი სხეულებიდან, რომლის სიმკვრივეა მეტი?




## შემაჯამებელი დავალებები

1. ნახატზე წარმოდგენილია მაგიდაზე სამი აგურის დალაგების შესაძლო ვარიანტები. როგორი თანაფარდობაა აგურების მხრიდან მაგიდაზე წარმოებულ წნევებს შორის?



- ა)  $p_1 = p_3 > p_2$
- ბ)  $p_1 = p_3 = p_2$
- გ)  $p_1 > p_3 > p_2$
- დ)  $p_1 = p_3 < p_2$
- ე)  $p_2 < p_1 > p_3$

2. კურდღლელი, რომლის მასა  $0,7$  კგ-ია, ჰიდრაულიკურ მანქანაზე ვეფხვს აწონას-ნორებს ( $g = 10$  ნ/კგ, დგუშების მასა და ხაზუნი არ გაითვალისწინოთ). როგორია ვეფხვის მასა?



- ა) 280 კგ
- ბ) 400 კგ
- გ) 40 კგ
- დ) 196 კგ
- ე) 490 კგ

3. წყლის სვეტი ჭურჭლის ფსკერზე  $20$  კპა წნევას ქმნის. როგორი იქნება იმავე სიმაღლის ვერცხლისწყლის სვეტის წნევა ფსკერზე ( $\rho_{წყ.} = 1000$  კგ/მ³,  $\rho_{ვწ.} = 13000$  კგ/მ³,  $g = 10$  ნ/კგ)?

- ა) 2600 კპა; ბ) 260 კპა; გ) 26 კპა; დ) 65 კპა; ე) 650 კპა.

4. ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე უნდა აფიდეთ, რომ ჰაერის წნევა  $45$  მმ ვწყ. სვ.-ით შემცირდეს?


- ა) 12 მ. ბ) 450 მ. გ) 4500 მ. დ) 5400 მ. ე) 540 მ.

5. რკინის ბურთი, რომლის მოცულობა  $1$  მ³-ია, ჩამოვებულია წყალში. რამდენით შემცირდება ბურთის წონა წყალში ( $\rho_{წყ.} = 1000$  კგ/მ³,  $\rho_{რკინ.} = 7800$  კგ/მ³,  $g = 10$  ნ/კგ)?

- ა) 7,8 კნ; ბ) 100 კნ; გ) 780 კნ; დ) 10 კნ; ე) 78 კნ.

## მარტივი მექანიზმები. სხეულთა წონასწორობა

5




გვ. 103–118

- 5.1. მარტივი მექანიზმები. ბერკეტი
- 5.2. ჭოჭონაქები
- 5.3. დახრილი სიბრტყე
- 5.4. მექანიკის „ოქროს წესი“.  
დახრილი სიბრტყის მარგი  
ემედების კოეფიციენტი (მქა)
- 5.5. სხეულთა წონასწორობა
  - შემაჯამებელი დავალებები



## 5.1. მარტივი მექანიზმები. პერიოდი

მძიმე სამუშაოს შესასრულებლად ადამიანები ყოველთვის ამზადებდნენ მარტივ მექანიზმებს, ცდილობდნენ მიეღწიათ ძალაში მოგებისთვის, ნაკლები ძალისხმევით შეესრულებინათ რთული სამუშაო. ასეთ მექანიზმებს განეკუთვნება: ბერკეტი (ა), ჭის ჯალამბარი (ბ), ჭოჭონაქი (გ), არქიმედეს ხრახი (დ), ჰიდრავლიკური მანქანა და სხვ. ეს მოწყობილობები, რომლებსაც მარტივი მექანიზმები ეწოდება, ზოგჯერ ძალაში რამდენჯერმე მოგების საშუალებას იძლევა.




- კიდევ რომელი მარტივი მექანიზმები გამოიყენება ყოფა-ცხოვრებაში?
- როგორ მიიღწევა ძალაში მოგება მარტივი მექანიზმებში? გამოთქვით პიპოთებები.

### კვლევითი სამუშაო-1. რატომ არის ტვირთის აწევა უფრო აღვილი ბერკეტის დახმარებით?


**სამუშაოსთვის საჭიროა:** სახაზავი (1 მ), წიგნი, ძელაკი, დინამომეტრი, ძაფი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. განსაზღვრეთ წიგნის წონა. შედეგი ჩაწერეთ სამუშაო რეგულიში. 2. სახაზავისა და ძელაკის საშუალებით გააკეთეთ ბერკეტი. მოათავსეთ წიგნი ბერკეტზე, საყრდენთან ახლოს. დინამომეტრის საშუალებით, რომელიც ბერკეტის საყრდენიდან ყველაზე დამორჩეულ წერტილშია მოდებული, განსაზღვრეთ ძალა, რომელიც საჭიროა წიგნის ასაწევად. 3. ცდა გაიმეორეთ კიდევ ორჯერ – როდესაც დინამომეტრი მოდებულია ბერკეტის ა და ბ წერტილებში.



**იმსკელეთ შედეგებზე:** 1. რომელ შემთხვევაში გახდა საჭირო უფრო დიდი ძალის გამოყენება წიგნის ასაწევად? 2. ბერკეტის რომელ წერტილზე მოქმედების დროს ასწიეთ წიგნი უფრო ნაკლები ძალით? რატომ? გამოთქვით პიპოთებები.

- მარტივი მექანიზმი არის მარტივი მოწყობილობა, რომელიც ცვლის ძალის მოქმედების მიმართულებას და იძლევა ძალაში მოგების საშუალებას. მარტივი მექანიზმები პირობითად რო ჯერუფად იყოფა:
  - 1) ბერკეტის ტიპის მარტივი მექანიზმები: ბერკეტი, ჭოჭონაქი, ჭის ჯალამბარი;
  - 2) დახმარილი სიბრტყის ტიპის მარტივი მექანიზმები: დახმარილი სიბრტყე, ხრახი, სოლი.
- ბერკეტი არის მყარი სხეული, რომელსაც შეუძლია უძრავი საყრდენის გარშემო შემობრუნება.
- მანძილს საყრდენ წერტილსა და ძალის მოქმედების წრფეს შორის ძალის მხარი ეწოდება. ძალის მხარი აღინიშნება 1 ასოთი. ბერკეტის განვითარება შესაძლებელია ძალის მხარის რეგულირებით (გაზრდით ან შემცირებით).



- ბერკეტის წონასწორობისთვის ბერკეტზე მოქმედი ძალების მოდულები ამ ძალების მხრების უკუპროპორციული უნდა იყოს (ბერკეტის წონას არ ვითვალისწინებთ). ეს არის ბერკეტის წონასწორობის პირობა:

$$\frac{F_2}{F_1} = \frac{l_1}{l_2} \text{ ან } F_1 l_1 = F_2 l_2.$$

- ბერკეტი იძლევა ძალაში მოგებას იმდენჯერ, რამდენჯერაც ადამიანის მოქმედების ძალის მხარი მეტია ტვირთის მოქმედების ძალის მხარზე.

ძალის ნამრავლს მის მხარზე ეწოდება ძალის მომენტი და აღინიშნება  $M$  ასოთი:

$$M = F \cdot l.$$

ძალის მომენტის საზომი ერთეული SI სიტემაში არის ნიუტონ-მეტრი (1 ნ მ):

$$[M] = [F] \cdot [l] = 1 \cdot \text{მ}.$$

ბერკეტის წონასწორობის პირობა ძალის მომენტების საშუალებით ჩაიწერება შემდეგნაირად:  $M_1 = M_2$ .


## შეძენილი ცოდნის გამოყენება

**კვლევითი სამუშაო-2. შევამოწმოთ ბერკეტის წონასწორობის პირობის მართებულობა.**






**სამუშაოსთვის საჭიროა:** ბერკეტი, რომელსაც საყრდენი წერტილი ცენტრში აქვს, შტატივი, საწონების ნაკრები, დინამომეტრი, სახაზავი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დაამაგრეთ ბერკეტი შტატივზე. დაკიდეთ მის მარცხენა მხარზე 4 ნ წონის ტვირთი (A წერტილში). 2. ბერკეტის მარჯვენა მხრის B წერტილში მოდებული დინამომეტრის საშუალებით განსაზღვრეთ ძალა, რომელიც საჭიროა ბერკეტის ჰორიზონტალურ მდგრამარებაში მოსაყვანად. 3. სახაზავით გაზომეთ ძალების შესაბამისი მხრები და ფორმულით გამოითვალიერეთ  $F_2$  ძალა, რომელსაც ბერკეტი წონასწორობაში მოჰყავს. შედეგი შეადარეთ დინამომეტრის ჩვენებას.

**იმსჯელეთ შედეგებზე:** როგორ მოგებას იძლევა ძალაში ბერკეტი, რომელსაც საყრდენი ცენტრში აქვს?



იცით თუ არა, რომ? იმის მიხედვით, თუ როგორია ბერკეტის საყრდენის მდებარეობა, ტვირთის მოქმედების ძალისა და ადამიანის მოქმედების ძალის ურთიერთგანლაგება, ბერკეტები პირობითად სამ სახეობად იყოფა: I, II და III.

ბერკეტის სახეობები	ძალების სქემა	მარტივი მექანიზმები
I სახის ბერკეტი		
II სახის ბერკეტი		
III სახის ბერკეტი		

## რა შეიტყვეთ

----- არის მარტივი მექანიზმი, რომელიც ძალას უცვლის მოქმედების მიმართულებას და იძლევა -----.  
----- არის მყარი სხეული, რომელსაც შეუძლია უძრავი ღერძის ირგვლივ შემობრუნება. ძალის მოქმედების წრფიდან საყრდენ ნერტილამდე უმოკლეს მანძილს ეწოდება -----.  
ძალის ნამრავლს მის მხარზე ეწოდება -----.

**საკანკო სიტყვები**  
ძალის მხარი  
ძალის მომენტი  
ბერკეტი  
მარტივი მექანიზმი  
ძალაში მოგება


## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რომელი ფორმულით გამოისახება ბერკეტის წონასწორობის პირობა?
2. გასახსნელის სახელურზე მოქმედი ძალის მხარი ( $I_2$ ) 6-ჯერ მეტია სახურავზე მოქმედი ძალის მხარზე ( $I_1$ ). ძალაში როგორ მოგებას იძლევა ეს მარტივი მექანიზმი (ა)?
3. ბერკეტი, რომელზეც წრუნუნა, წონით 1 ნ და სპილო, წონით 25000 ნ, სხედან, წონასწორობაშია (ბ). სპილოს მოქმედების ძალის მხარი 10 მ-ის ტოლია. როგორია წრუნუნას მოქმედების ძალის მხარი?



## 5.2. ჭოჭონაქები

ბერკეტის ერთ-ერთი სახეობაა ჭოჭონაქი. ჭოჭონაქი ამწევი მექანიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია.




- რა არის ჭოჭონაქი? რატომ გამოყენება ჭოჭონაქი ამწევ მექანიზმში? ზოგჯერ ადამიანს ჭოჭონაქების სისტემის გამოყენებით შეუძლია საკუთარ მასაზე 5-6-ჯერ მეტი მასის ტვირთი ასწიოს.
- შესაძლებელია თუ არა ძალაში უფრო მეტი მოგება ჭოჭონაქების სისტემის გამოყენებით?

### კვლევითი სამუშაო-1. იძლევა თუ არა ჭოჭონაქი ძალაში მოგებას?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** ჭოჭონაქი, 1 ნ ნონის საწონები, დინამომეტრი, ძაფი, შტატივი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დაამაგრეთ ჭოჭონაქი შტატივზე და გაატარეთ ძაფი მის ღარში. 2. ძაფის ერთ ბოლოზე დაკიდეთ 3 ნ ნონის ტვირთი და ძაფის მეორე ბოლოზე მიმაგრებული დინამომეტრით თანაბრად ასწიეთ ტვირთი. ჩაიწერეთ დინამომეტრის ჩვენება. 3. ცდა გაიმეორეთ. ცვალეთ დინამომეტრის მოქმედების მიმართულება. თითოეულ შემთხვევაში ჩაიწერეთ დინამომეტრის ჩვენება.



**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. არის თუ არა ძალაში მოგება ჭოჭონაქის გამოყენებით ტვირთის აწევის დროს? რა თანაფარდობებია დინამომეტრის ჩვენებებსა და ტვირთის ნონას შორის? 2. იცვლება თუ არა ძალის მოდული ძალის მოქმედების მიმართულების შეცვლის დროს? რატომ?

• ჭოჭონაქი ღარისი ბორბალია, რომელსაც საკუთარ ცენტრზე გამავალი ბრუნვის ლერძი აქვს.


ჭოჭონაქის ღარში ატარებენ თოვს, ტროსს ან ჯაჭვს. ჭოჭონაქი ორი სახისაა: უძრავი და მოძრავი. უძრავი ენოდება ჭოჭონაქს, რომლის ლერძი ტვირთის აწევის დროს არ გადაადგილდება. უძრავი ჭოჭონაქი არ იძლევა ძალაში მოგებას, მაგრამ ცვლის ძალის მოქმედების მიმართულებას. უძრავი ჭოჭონაქის მოქმედების პრინციპი დამყარებულია ბერკეტის ნინასნორობის პირობაზე, როდესაც ბერკეტზე მოდებულ ძალებს ტოლი მხრები აქვთ: ჭოჭონაქზე მოდებული ძალების მხრები ჭოჭონაქის ბორბლის რადიუსის ტოლია (ა).

$$\frac{F_2}{F_1} = \frac{l_1}{l_2} = \frac{r}{r} = 1 \rightarrow F_1 = F_2.$$

მოძრავი ჭოჭონაქის ლერძი ტვირთთან ერთად გადაადგილდება (ჭოჭონაქის ნონას არ ითვალისწინებენ, რადგან გაცილებით მცირეა ტვირთის ნონასთან შედარებით). მოძრავ ჭოჭონაქი თოვკის თავისუფალ ბოლოზე მოქმედი ძალის მხარი ორჯერ მეტია, ვიდრე ჭოჭონაქზე დაკიდებულ ტვირთზე მოქმედი სიმძიმის ძალის მხარი. ამიტომ მოძრავი ჭოჭონაქი ძალაში 2-ჯერ მოგებას იძლევა (ბ):

$$\frac{F_2}{F_1} = \frac{l_1}{l_2} = \frac{r}{2r} = \frac{1}{2} \text{ ან } F_2 = \frac{F_1}{2}.$$

მოძრავ ჭოჭონაქზე მოქმედი ამწევი ძალა ზევითაა მიმართული (ბ). ძალის მოქმედების მიმართულების შესაცვლელად, ასევე ძალაში მოსაგებად პრაქტიკული მოძრავ ჭოჭონაქთან ერთად ხშირად გამოიყენება უძრავი ჭოჭონაქი. მარტივ მექანიზმს, რომელიც უძრავი და მოძრავი ჭოჭონაქებისგან შედგება, პოლისპასტი ჰქვია. პოლისპასტი, რომელიც უძრავი და მოძრავი ჭოჭონაქის წყვილისგან (უძრავი + მოძრავი) შედგება, ძალში 2-ჯერ მოგებას იძლევა, ხოლო პოლისპასტი, რომელიც ჭოჭონაქების ორი წყვილისგან (ორი უძრავი + ორი მოძრავი) შედგება, ძალში 4-ჯერ მოგებას იძლევა (გ).




## შეძენილი ცოდნის გამოყენება

კვლევითი სამუშაო-2. შევისწავლოთ მოძრავი ჭოჭონაქი.

სამუშაოსთვის საჭიროა: ჭოჭონაქი, 1 ნონის ტვირთი, დინამომეტრი, ძაფი, შტატივი, სახაზავი.

სამუშაოს მსვლელობა: 1. სახაზავი ვერტიკალურად დაამაგრეთ შტატივზე. ძაფის ბოლო გაატარეთ ჭოჭონაქის დარში და დაამაგრეთ შტატივზე, მეორე, თავისუფალი ბოლო მოაბით დინამომეტრს. 2. დაკადეთ ჭოჭონაქზე 1 ნონის ტვირთი და ჩამოუშვით შტატივის სადგამზე (დ). 3. თანაბრად აამოძრავეთ დინამომეტრი ვერტიკალურად ზევით და ასწიეთ ტვირთი შტატივის სადგამიდან 10 სმ სიმაღლეზე. სამუშაო რვეულში ჩაინერეთ სამი შედეგი: ა) დინამომეტრის ჩვენება; ბ) დინამომეტრზე მიბმული ძაფის ბოლოს გადაადგილება; გ) შტატივის სადგამიდან ტვირთის ანევის სიმაღლე.

იმსჯელეთ შედეგებზე: 1. რა სიმაღლეზე გადაადგილდა დინამომეტრზე მიბმული ძაფის ბოლო და ტვირთი ანევის დროს? 2. რას ვიგებთ და რას ვაგებთ მოძრავი უძრავი ჭოჭონაქის გამოყენების დროს?



## რა შეიტყვეთ

----- არის ლარიანი ბორბალი, რომელსაც აქვს ბრუნვის ღერძი. ----- არ იძლევა ძალაში მოგებას, მაგრამ ცვლის ძალის მოქმედების მიმართულებას. ----- იძლევა ძალაში მოგებას ორჯერ. მარტივ მექანიზმს, რომელიც უძრავი და მოძრავი ჭოჭონაქებისგან შედგება, ----- ჰქვია.

### საკვანძო სიტყვები


მოძრავი ჭოჭონაქი  
უძრავი ჭოჭონაქი  
პოლისპასტი  
ჭოჭონაქი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა


1. მოძრავი ჭოჭონაქით ტვირთის თანაბრად ასაწევად საჭიროა 640 ნ ძალა. როგორია ტვირთის წონა? რა სიმაღლეზე აიწევა ჭოჭონაქის ლარში გატარებული ძაფის თავისუფალი ბოლო ტვირთის 5 მ-ით აწევისას?
2. რას ვიგებთ მოძრავი ჭოჭონაქის გამოყენების დროს?
3. იძლევა თუ არა ძალაში მოგებას უძრავი ჭოჭონაქი? რატომ?
4. უძრავი ჭოჭონაქით ტვირთის თანაბრად ასაწევად საჭიროა 640 ნ ძალა. როგორია ტვირთის წონა?

### სავარჯიშო – 12.


1. ძალაში რა მოგებას მოგვცემს ნახატზე წარმოდგენილი ჭოჭონაქების სისტემა?




2. ნახატზე წარმოდგენილია ბერკეტი, რომლის წონაა  $P$ , ხოლო მის ასაწევად საჭიროა  $\vec{F}$  ძალა. რომელი ციფრით არის აღნიშნული  $\vec{F}$  ძალის მხარი?



3. სხეული, რომლის მასაა 120 კგ, მოძრავი ჭოჭონაქით თანაბრად ასწიეს 5 მ სიმაღლეზე. განსაზღვრეთ ძაფის თავისუფალი ბოლოს გადაადგილება და  $F$  ძალის მოძული ( $g = 10 \text{ N/kg}$ ).




4. უნინო ბერკეტი  $F_1 = 15 \text{ N}$  და  $F_2 = 165 \text{ N}$  ძალების მოქმედებით წონასწორობის მდგომარეობაშია. განსაზღვრეთ პატარა ძალის მხარი, თუ დიდი ძალის მხარი 2 მ-ის ტოლია.



### 5.3. დახრილი სიბრტყე

ძალიან ხშირად მცირე სიმაღლეზე ტვირთის ასატანად დახრილ სიბრტყეს იყენებენ.



- რატომ არის მძიმე ტვირთის ატანა მცირე სიმაღლეზე უფრო ხელსაყრელი დახრილი სიბრტყის დახმარებით, ვიდრე იმავე სიმაღლეზე ტვირთის პირდაპირ აწევა?

სოლი იძლევა საშუალებას, მცირე ძალით გავაპოოთ დიდი მორი.




- რატომ არის ადვილი მორის გაპობა სოლის დახმარებით?

#### კვლევითი სამუშაო-1. რატომ არის უფრო ადვილი სხეულის აწევა დახრილი სიბრტყის დახმარებით?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** დინამომეტრი, ტრიბომეტრი, ბოლოზე მიმაგრებული ჭოჭონაჟით, ძელაკი, საწონები (თითოეული წონით 1 ნ), შტატივი, საზომი ლენტი, ძაფი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. შტატივზე დაამაგრეთ ტრიბომეტრი ისე, რომ მიღოთ დახრილი სიბრტყე. მოათავსეთ ძელაკი, ორი ტვირთით, დახრილი სიბრტყის ქვედა ნაწილში. 2. მიამაგრეთ ძაფის ერთი ბოლო ძელაკს, ძაფი გაატარეთ ტრიბომეტრზე მიმაგრებული ჭოჭონაჟის ღარში და მეორე ბოლოზე დაკიდეთ დინამომეტრი. 3. ჩამოსწიეთ დინამომეტრი და ძელაკი თანაბრად გადაადგილეთ დახრილ სიბრტყეზე.

ამ დროს ძელაკი გარკვეულ  $h$  სიმაღლეზე აწევა. დინამომეტრის ჩვენების საფუძველზე განსაზღვრეთ წევის ძალა  $F$  და ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში. 4. განსაზღვრეთ ტვირთებიან ძელაკზე მოქმედი სიმძიმის ძალის მოდული ( $F_{\text{სამ}}$ ) (დინამომეტრით გაზომილ ძელაკის წონას + ტვირთების წონა 2 ნ). შედეგი ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში.



**იმსჯელეთ შედევებზე:** 1. როდის მოქმედებს დინამომეტრი სხეულზე უფრო პატარა ძალით: როდესაც დახრილ სიბრტყეზე სხეულს ზევით ამოძრავებს თუ როდესაც ქვევით? 2. როგორ იცვლება სხეულის დანამომეტრის წევის ძალისა და სხეულზე მოქმედ სიმძიმის ძალის მნიშვნელობებს შორის სიბრტყის დახრის კუთხის გაზრდისას?


მარტივი მექანიზმების ერთ-ერთი გავრცელებული სახეა დახრილი სიბრტყე.

- დახრილი სიბრტყე არის სიბრტყე, რომელიც გარკვეულ კუთხეს ქმნის ჰორიზონტალურ სიბრტყესთან.

AB დახრილი სიბრტყის სიგრძეა ( $l$ ), BC – მისი სიმაღლე ( $h$ ). ძალა, რომელიც საჭიროა დახრილი სიბრტყით სხეულის გარკვეულ სიმაღლეზე ასაწევად, ნაკლებია სხეულზე მოქმედ სიმძიმის ძალაზე (ხახუნს არ ვითვალისწინებთ). ამგვარად, დახრილი სიბრტყე, ისევე როგორც სხვა მარტივი მექანიზმები, ძალაში მოგებას იძლევა.

- დახრილი სიბრტყე იძლევა ძალაში მოგებას იმდენჯერ, რამდენჯერაც დახრილი სიბრტყის სიგრძე მეტია მის სიმაღლეზე:

$$\frac{F_{\text{ნებ}}}{F} = \frac{l}{h} \quad \text{ან} \quad F = F_{\text{ნებ}} \cdot \frac{h}{l}$$



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

ამოხსენით ამოცანები:

- რა ძალა უნდა მოვდოთ 80 კგ მასის კასრს, რომ თანაბრად გადავაადგილოთ 5 მ სიგრძისა და 1 მ სიმაღლის დახრილ სიბრტყეზე? როგორია ძალაში მოგება (ხახუნი არ გაითვალისწინოთ,  $g = 10 \text{ N/kg}$ )?
- დახრილი სიბრტყის საშუალებით 380 კგ მასის სხეულის 5 მ სიმაღლეზე ასატანად საჭიროა 5000 ნ ძალა. განსაზღვრეთ დახრილი სიბრტყის სიგრძე (ხახუნი არ გაითვალისწინოთ,  $g = 10 \text{ N/kg}$ ).

## რა შეიტყვეთ


----- არის სიბრტყე, რომელიც გარკვეულ კუთხეს ქმნის ჰორიზონტალურ სიბრტყესთან. დახრილი სიბრტყე იძლევა ----- იმდენჯერ, რამდენჯერაც ----- მეტია მის სიმაღლეზე.

**საკვადრო სიტყვები**

დახრილი სიბრტყის სიგრძე  
დახრილი სიბრტყე  
ძალაში მოგება

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- ძალაში როგორ მოგებას იძლევა დახრილი სიბრტყე? რომელი დახრილი სიბრტყე იძლევა ძალაში მეტ მოგებას? რატომ?



## 5.4. მექანიკის „ოქროს ცესი“. დახრილი სიპროტყის მარგი ქმნილის კოუზიციენტი (მქპ)

იმის გამო, რომ მარტივი მექანიზმები ძალაში მოგებას იძლევიან, მათი გამოყენება აადვილებს სხეულის აწევას. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ მექანიზმების გამოყენების დროს რამდენჯერაც ვიგებთ ძალაში, იმდენჯერ ვაგებთ მანძილში.


- შეიძლება თუ არა ამ დასკვნის საფუძველზე ვივარაუდოთ, რომ მარტივი მექანიზმები იძლევიან მუშაობაში მოგებას?

**კვლევითი სამუშაო-1. იძლევა თუ არა მარტივი მექანიზმი მუშაობაში მოგებას?**

1000 ნ წონის ტვირთი ბერკეტის გამოყენებით 200 ნ ძალის მოქმედებით 0,3 მ სიმაღლეზე ასწიეს. ამ დროს ბერკეტის ის წერტილი, რომელზეც ხელი მოქმედებდა, 1,5 მ-ით ქვევით გადაადგილდა (ა).

განსაზღვრეთ:

- სხეულზე მოქმედი ძალის მიერ შესრულებული მუშაობა;
- ხელის მოქმედებით შესრულებული მუშაობა.



სხეულზე მოქმედი ძალის მიერ შესრულებული მუშაობა	ხელის მოქმედებით შესრულებული მუშაობა
მოცემულია:	
$F_1 = 1000 \text{ ნ}$	$F_2 = 200 \text{ ნ}$
$s_1 = 0,3 \text{ მ}$	$s_2 = 1,5 \text{ მ}$
$A - ?$	$A_2 - ?$
ფორმულა:	
$A_1 = F_1 s_1$	$A_2 = F_2 s_2$
გამოთვლები:	
$A_1 = \dots$	$A_2 = \dots$

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. ძალაში რა მოგება მოგვცა ბერკეტმა? 2. გვაძლევს თუ არა მუშაობაში მოგებას ბერკეტი? რატომ?

დაკვირვებით ნათელი გახდა, რომ, მართალია, მარტივი მექანიზმი გვაძლევს ძალაში მოგებას, მაგრამ არ გვაძლევს მოგებას მუშაობაში.

არც ერთი მარტივი მექანიზმი არ იძლევა მოგებას მუშაობაში. ეს მტკიცება გამომდინარეობს ენერგიის მუდმივობის კანონიდან და მექანიკის „ოქროს წესი“ ენიდება.

## ყოველთვის სრულდება თუ არა მექანიკის „ოქროს წესი“?

მექანიკის „ოქროს წესი“ თანახმად, დახრილი სიბრტყე არ იძლევა მოგებას მუშაობაში მისი დახმარებით სხეულის გარკვეულ სიმაღლეზე აწევის დროს. თუმცა ამ კანონზომიერებას არღვევს დახრილ სიბრტყეზე სხეულის მოძრაობის დროს ადრიული ხახუნის ძალა: ამ დროს შესრულებული მუშაობა მეტია იმავე სიმაღლეზე სხეულის ვერტიკალურად ასაწევად საჭირო მუშაობაზე.

• მუშაობას, რომელიც სრულდება მარტივი მექანიზმის გამოყენების გარეშე, სასარგებლო მუშაობა ეწოდება. მაგ.,  $m$  მასის სხეულის  $h$  სიმაღლეზე ასაწევად საჭირო სასარგებლო მუშაობა ტოლია:  $A_{სა.} = mgh$ .

• მუშაობას, რომელიც მარტივი მექანიზმის გამოყენებით სრულდება, სრული მუშაობა ეწოდება. მაგ., ტვირთის თანაბრად ასაწევად  $I$  სიგრძის დახრილ სიბრტყზე საჭირო სრული მუშაობა ტოლია:  $A_{სრ.} = Fl$ .

• სასარგებლო მუშაობის შეფარდებას სრულ მუშაობასთან ეწოდება მარტივი მექანიზმის მარგი ქმედების კოეფიციენტი.

მარგი ქმედების კოეფიციენტი, შემოკლებული სახით **მქპ**, გამოისახება პროცენტებით და აღინიშნება ბერძნული ასოთი  $\eta$  (ეტა):

$$\eta = \frac{A_{სა.}}{A_{სრ.}} \cdot 100\%$$

**მქპ** გვაჩვენებს, სრული მუშაობის რა ნაწილს შეადგენს სასარგებლო მუშაობა. სრული მუშაობა ყოველთვის მეტია სასარგებლო მუშაობაზე, რადგან სრული მუშაობის ნაწილი ხახუნის ძალის დაძლევაზე იხარჯება.

## შეძენილი ცოდნის გამოყენება


### კლევითი სამუშაო-2. განვსაზღვროთ დახრილი სიბრტყის მქპ.

სამუშაოსთვის საჭიროა: დინამომეტრი, ტრიბომეტრი ბოლოზე მიმაგრებული ჭოჭონაქით, ძელაკი, საწონების ნაკრები (თითოეული წონით 1 ნ), შტატივი, საზომი ლენტი, ძაფი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. მოამზადეთ დახრილი სიბრტყე, ამისთვის დაამაგრეთ ტრიბომეტრი შტატივზე (იხ. კვლევითი სამუშაო წინა გაკვეთილიდან). გაზომეთ დახრილი სიბრტყის სიმაღლე ( $h$ ) და სიგრძე ( $I$ ). შედეგები ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში.

2. მოათავსეთ ძელაკი დახრილი სიბრტყის ქვედა ნაწილში და დადეთ მასზე ორი ტვირთი. დინამომეტრის ქვევით მოძრაობით თანაბრად გადაადგილეთ დატვირთული ძელაკი დახრილ სიბრტყეზე და ასწიეთ გარკვეულ  $h$  სიმაღლეზე. დინამომეტრის ჩვენების საფუძველზე განსაზღვრეთ წევის ძალა  $F$  და ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში.

3. განსაზღვრეთ ტვირთებიან ძელაკზე მოქმედი სიმძიმის ძალის სიდიდე ( $F_{სა.}$ ), (დინამომეტრით გაზომილ ძელაკის წონას + ტვირთების წონა 2 ნ). შედეგი ჩაიწერეთ სამუშაო რვეულში.



4. გამოთვალეთ დახრილი სიბრტყის მქე:

$$\eta = \frac{A_{სას}}{A_{სრ.}} \cdot 100\% = \frac{mgh}{Fl} \cdot 100\%$$

**იმსჯელეთ შედეგებზე:** რამდენი პროცენტია დახრილი სიბრტყის მქე? რას ნიშნავს მქე-ის ეს მნიშვნელობა?

## რა შეიტყვეთ

არც ერთი მარტივი მექანიზმი არ იძლევა ----

ეს მტკიცება გამომდინარეობს ენერგიის მუდმივობის კანონიდან და ენოდება ----

მუშაობას, რომელიც შესრულდა მარტივი მექანიზმის გამოყენების გარეშე, ენოდება ----

მუშაობას, რომელიც შესრულდა მარტივი მექანიზმის გამოყენებით, ენოდება ----

სასარგებლო მუშაობასთან ენოდება მარტივი მექანიზმის ----

### საერთო სიტყვები

სრული მუშაობა  
მარგი ქმედების კოეფიციენტი  
მექანიკის „ოქროს წესი“  
სასარგებლო მუშაობა  
მუშაობაში მოგება


სასარგებლო მუშაობის შეფარდებას სრულ მუშაობასთან ენოდება მარტივი მექანიზმის ----

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. შესაძლებელია თუ არა მარტივი მექანიზმის მარგი ქმედების კოეფიციენტი ერთის ტოლი იყოს? რატომ?
2. რას ნიშნავს მქე-ის გაზრდა?
3. დახრილი სიბრტყით 15 კგ მასის ტვირთის აწევის დროს დინამომეტრის ჩვენებაა 40 ნ. დახრილი სიბრტყის სიგრძეა 1,8 მ, მისი სიმაღლე – 30 სმ. გამოთვალეთ დახრილი სიბრტყის მქე ( $g = 10 \text{ ნ/კგ}$ ).

### სავარჯიშო – 13

1. დახრილი სიბრტყის დახმარებით, რომელიც ძალაში 3-ჯერ მოგებას იძლევა, სხეული 60 სმ-ის სიმაღლეზე ასწიეს. განსაზღვრეთ დახრილი სიბრტყის სიგრძე (ზახუნი არ გაითვალისწინოთ).
2. ტვირთს, რომლის წონა 600 ნ-ია, ბერკეტის საშუალებით სწევენ. ამ დროს ბერკეტის გრძელ მხარზე მოდებული 200 ნ ძალის მოდების წერტილი ქვევით 3 მ-ზე გადაადგილდება. რა სიმაღლეზე აიწევა ტვირთი (ბერკეტის წონას არ ვითვალისწინებთ)?
3. ტოლი მასის სამ ტვირთს თანაბრად ამოძრავებენ დახრილ სიბრტყეებზე. როგორია დახრილ სიბრტყეებზე შესრულებული სასარგებლო მუშაობების შეფარდება (ზახუნი არ გაითვალისწინოთ)?



4. დახრილ სიბრტყეზე, რომლის მქე 80%-ია, 500 კგ მუშაობა შეასრულეს. გამოთვალეთ სასარგებლო მუშაობა.
5. განსაზღვრეთ წევის ძალა, რომელიც 300 კგ მასის სხეულს ზევით ამოძრავებს 9 მ სიგრძისა და 3 მ სიმაღლის დახრილ სიბრტყეზე ( $g = 10 \text{ ნ/კგ}$ ).

## 5.5. სხეულთა ნონასწორობა

ბაქოს სატელევიზიო ანძა და მაღალი ამწე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში.



- როგორ არის უზრუნველყოფილი ანძების მდგრადობა?

სახელგანთქმული პიზის კოშკი თაობებს აკვირვებს დახრილი მდგომარეობით.




- რატომ არ იქცევა პიზის დახრილი კოშკი?

### კვლევითი სამუშაო-1. დავამზადოთ „პიზის კოშკი“.

**სამუშაოსთვის საჭიროა:** ტრიბომეტრი, თხელი მუყაო, წებოვანი ლენტი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. გააკეთეთ მუყაოსგან წებოვანი ლენტის გამოყენებით „პიზის კოშკი“. დადგით ტრიბომეტრზე. 2. ტრიბომეტრის ერთი ბოლოს აწევით თანდათან გაზარდეთ მისი დახრის კუთხე. დააკვირდით „კოშკის“ მდგომარეობას მის წაქცევამდე.




**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რომელ მდგომარეობაში დგას „კოშკი“ ყველაზე მყარად? 2. რა არის „კოშკის“ წაქცევის მიზეზი გარკვეული დახრილობის დროს? გამოთქვით ჰიპოთეზა.

სხეულის მდგრადობას ორი მნიშვნელოვანი პირობა განსაზღვრავს:

1). სხეულის სიმძიმის ცენტრი დედამინის ზედაპირთან მაქსიმალურად ახლოს უნდა იყოს;

2). სხეულის საყრდენი ფართობი დიდი უნდა იყოს.

სხეულის სიმძიმის ცენტრი სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალის მოდების წერტილია. განვიხილოთ პრიზმა, რომელსაც შეუძლია გადახრა და რომლის სიმძიმის ცენტრზე დაკიდებულია შვეული. შვეული გვიჩვენებს პრიზმაზე მოქმედი სიმძიმის ძალის მიმართულებას. თანდათან გადახრისას პრიზმა წაიქცევა იმ მომენტში, როცა შვეულის ბოლო პრიზმის საყრდენი ფუძის საზღვრებს გასცდება (ა). ამგვარად, სხეული წაიქცევა, როდესაც სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალის მოქმედების წრფის გაგრძელება გასცდება სხეულის საყრდენი ფუძის საზღვრებს.



წონასწორობაში მყოფ სხეულზე მოქმედი ძალების ტოლემედი წულის ტოლია.


### წონასწორობის სახეები.

არსებობს სამი სახის წონასწორობა: მდგრადი, არამდგრადი და განურჩეველი წონასწორობა.

- მდგრადი წონასწორობა არის სხეულის მდგომარეობა, როდესაც წონასწორობის მდგომარეობიდან გამოყვანილი სხეული თავისთავად ბრუნდება საწყის მდგომარებაში. სხეულის მდგრადი წონასწორობის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ აღიძვრება ტოლქმედი ძალა, რომელიც ცდილობს, დააბრუნოს სხეული საწყის მდგომარეობაში (გ).

- არამდგრადი წონასწორობა არის სხეულის მდგომარეობა, როდესაც წონასწორობის მდგომარეობიდან გამოყვანილი სხეული თავისთავად არ ბრუნდება საწყის მდგომარეობაში. სხეულის არამდგრადი წონასწორობის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ აღიძვრება ტოლქმედი ძალა, რომელიც ცდილობს, დააშოროს სხეული საწყის მდგომარეობას (გ).

- განურჩეველი წონასწორობა არის სხეულის მდგომარეობა, როდესაც სხეული მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილების შემდეგაც ინარჩუნებს წონასწორობას. ამ დროს სხეულზე მოქმედი ტოლქმედი ძალა სხეულის ნებისმიერ მდგომარეობაში წულის ტოლია (დ).




### შეძენილი ცოდნის გამოყენება

#### კვლევითი საშუალება-2. განვსაზღვროთ სხეულის სიმძიმის ცენტრი.

**სამუშაოსთვის საჭიროა:** მუყაოსგან გამოჭრილი ნებისმიერი ფიგურა, შევეული, შეტატივი.

**სამუშაოს მსვლელობა:** 1. დაკიდეთ მუყაოს ფიგურა შტატიგზე ნებისმიერი წერტილით, მაგ., A წერტილით და ამავე წერტილზე დაკიდეთ შვეული. 2. ფიგურაზე შვეულის გასწვრივ ფანჯრით გაავლეთ წრფე. 3. რამდენჯერმე სხვადასხვა წერტილით დაკიდეთ ფიგურა და გაავლეთ წრფეები შვეულის გასწრივ. 4. აღნიშნეთ მიღებული წრფეების გადაკვეთის წერტილი (O წერტილი). ფიგურა O წერტილით მოათავსეთ ფანჯრის წვერზე.

**იმსაკელეთ შედეგებზე:** რატომ რჩება წონასწორობაში ფანჯრის წვერზე O წერტილით დადებული ფიგურა? რა ეწოდება ამ წერტილს?



## რა შეიტყვეთ


----- არის წერტილი, სადაც მოდებულია სხეულზე მოქმედი სიმძიმის ძალა. სხეული წაიკევა, როდესაც სიმძიმის ძალას მიმართულების წრფე გამოვა სხეულის ----- საზღვრებიდან. ----- არის მდგომარეობა, როდესაც წონასწორობიდან გამოყვანილი სხეული თავისთავად არ ბრუნდება საწყის მდგომარეობაში. ----- არის მდგომარეობა, როდესაც წონასწორობიდან გამოყვანილი სხეული თავისთავად არ ბრუნდება საწყის მდგომარეობაში. ----- არის მდგომარეობა, როდესაც სხეული ბურთული მდგრადი წრფის განუჩენების წერტილი.

### საქვანძო სიტყვები


საყრდენის ფართობი  
მდგრადი წონასწორობა  
სიმძიმის ცენტრი  
განურჩეველი წონასწორობა  
არამდგრადი წონასწორობა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა


1. რომელი სხეულია განურჩეველ წონასწორობაში?



სახაზავი, რომელსაც  
ბრუნვის ღერძი აქვს




ბურთულა  
ჰორიზონტალურ  
ზედაპირზე



ბურთულა საკიდზე

2. რომელი სახლი არ გადაბრუნდება ზვავის დროს?




## შემაჯამებელი დავალებები

1. ნახატზე წარმოდგენილი უწონო ბერკეტი  $F_1 = 40 \text{ N}$  და  $F_2 = 60 \text{ N}$  ძალების მოქმედებით წონასწორობის მდგომარეობა-


შია. განსაზღვრეთ  $F_1$  ძალის მხარი  $l_1$ .

- a) 10 მ. b) 15 მ. c) 3 მ. d) 4 მ. e) 6 მ.




2. უძრავი ჭოჭონაქის საშუალებით ტვირთს თანაბრად სწევე  $F = 620 \text{ N}$  ძალის მოქმედებით, რომელიც ვერტიკალთან  $30^\circ$ -იან კუთხეს ქმნის. განსაზღვრეთ ტვირთის მასა (ხახუნი არ გაითვალისწინოთ,  $g = 10 \text{ m/s}^2$ ).

- a) 31 კგ. b) 124 კგ. c) 62 კგ. d) 620 კგ. e) 310 კგ.




3. უწონო ბერკეტის რომელ წერტილზე უნდა დავკიდოთ  $m$  მასის  $K$  ტვირთი, რომ ბერკეტი ჰორიზონტალურ წონასწორობაში იყოს (დანაყოფებს შორის თანაბრი მანძილებია)?

- a) 1; b) 2; c) 3; d) 4; e) 5.



4. 1,5 კგ მასის ტვირთის თანაბრად ანევის დროს დინამომეტრის ჩვენებაა 4 ტ. განსაზღვრეთ დახრილი სიბრტყის მქებ.

- a) 60%; b) 62,5%; c) 80%; d) 85%; e) 82,5%.



# მექანიკური რხევები და ტალღები

6



გვ. 119–144

- 6.1. რხევითი მოძრაობა. მექანიკური რხევები
- 6.2. რხევითი მოძრაობის დამახასიათებელი ფიზიკური სიდიდეები
- 6.3. ტალღა. მექანიკური ტალღები
- 6.4. მექანიკური ტალღის სახეები. მექანიკური ტალღის დამახასიათებელი ფიზიკური სიდიდეები
- 6.5. ბგერითი ტალღები
- 6.6. ბგერის სიჩქარე. ექრ
- 6.7. ტალღები, რომლებსაც ადამიანის ყური ვერ შეიგრძნობს. სეისმური ტალღები
  - შემაჯამებელი დავალებები



## 6.1. რხევითი მოძრაობა. მექანიკური რხევები




- რით განსხვავდება ეს მოძრაობები ადრე შესწავლილი მექანიკური მოძრაობებისაგან?
- რატომ აღიძვრება ასეთი მოძრაობები და რხევები? რამდენად მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება ყოფა-ცხოვრებასა და ტექნიკაში?

ერთ-ერთი მოვლენა, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით, არის რხევა.

• რხევა არის დროის განმავლობაში რამე პროცესის გამეორება. თავისი ფიზიკური ბუნებით განმეორებადი პროცესები სხვადასხვა სახისაა. ერთ-ერთი მათგანია მექანიკური რხევა.


რა არის მექანიკური რხევა? მექანიკური რხევა არის მექანიკური მოძრაობის პროცესის გამეორება. აეთი პროცესების დროს ხდება მექანიკური მოძრაობის დამახასიათებელი სიდიდეების: წანაცვლების, სიჩქარის, აჩქარებისა და სხვ. მნიშვნელობების ცვლილებების გამეორება. კლასში მექანიკურ რხევაზე დაკვირვებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ მერხევი სისტემა, რომელსაც ქანქარა ენოდება. მარტივი ქანქარებია: ზამბარიანი ქანქარა და ძაფიანი ქანქარა.

### მერხევი სისტემები



### ქანქარის ზოგადი თვისებები.

- ქანქარას აქვს მდგრადი წონასწორობის მდგომარეობა. ეს მდგომარეობა აღინიშნება O ასოთი.
- ქანქარის მდგრადი წონასწორობის მდგომარეობიდან გამოყვანის შემდეგ ალიძერება ძალა, რომელიც მას წონასწორობის მდგომარეობაში აპრუნებს. ძაფიანი ქანქარისთვის ეს არის სიმძიმის ძალისა და ძაფის დაჭიმულობის ძალის ტოლქედი ძალა (ბ), ხოლო ზამბარიანი ქანქარისთვის – ზამბარის დრეკადობის ძალისა და სიმძიმის ძალის ტოლქედი ძალა (გ).
- წონასწორობის მდგომარეობაში დაბრუნების შემდეგ ქანქარა ინერციით აგრძელებს მოძრაობას, მაგრამ ჰაერის წინააღმდეგობის გამო რხევითი მოძრაობა თანდათან მიიღევა.



მექანიკური რხევების ზუსტი შესწავლისთვის გამოიყენება ქანქარის იდეალური (რეალურად არარსებული) მოდელი – მათემატიკური ქანქარა\*.

- მათემატიკური ქანქარა** არის მატერიალური წერტილი, რომელიც დაკიდებულია უჯიმად და უწონად ძაფზე.

### კვლევითი სამუშაო-1. შევისწავლოთ ზამბარიანი ქანქარა.

სამუშაოსთვის საჭიროა: ზამბარა, ტვირთი მასით 100 გ, შტატივი.

სამუშაოს მსვლელობა:

- ზამბარის ერთი ბოლო დაამაგრეთ შტატივზე, მეორე ბოლოზე დაკიდეთ ტვირთი.
- დასწიეთ ტვირთი ქვევით და გაუშვით ხელი. დააკვირდით ტვირთის მოძრაობას.

იმსჯელეთ შედეგებზე:

- რომელი ძალების მოქმედებით ალიძერება რხევები ზამბარიან ქანქარაში? რვეულში სქემატურად გამოსახეთ ზამბარიანი ქანქარა და იმ ძალების ვექტორები, რომლებიც რხევის დროს ალიძერება.
- ზამბარის შეკუმშვისა და წაგრძელების დროს რომელი ძალის მოდული იცვლება და რომელი ძალის მოდული რჩება უცვლელი?
- რა არის ქანქარის რხევითი მოძრაობის მილევის მიზეზი?



იცით თუ არა, რომ? პირველად ქანქარიანი საათი დაამზადა ჰოლანდიულმა მეცნიერმა ქ. ჰუგენსმა 1656 წელს.

**ქრისტიან ჰიუგენსი (1629 – 1695)** ჰოლანდიული ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ასტრონომია. მის მიერ 1673 წელს ჩამოყალიბებულმა რხევითი მოძრაობის თეორიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სინათლის ტალღის თვისებების აღმოჩენაში.

ქანქარიანი საათის სქემატური გამოსახულება



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

კვლევითი სამუშაო-2. ძაფიანი ქანქარის მოძრაობა.

სამუშაოსთვის საჭიროა, 25 მმ დიამეტრის ბურთულა, რომელიც დაკიდებულია 35-40 სმ სიგრძის ძაფზე, შტატივი.

**სამუშაოს მსვლელობა:**

1. დაკიდეთ ძაფზე დაკიდებული ბურთულა შტატივზე.
2. გამოიყანეთ ბურთულა წონასწორობის მდგომარეობიდან და გაუშვით ხელი. დააკვირდით ქანქარის რხევას.

**იმსჯელეთ შედეგზე:**

1. რომელი ძალების მოქმედებით აღიძვრება ძაფიანი ქანქარის რხევა? რვეულში სქემატურად გამოსახუთ ძაფიანი ქანქარა და იმ ძალების ვექტორები, რომლებიც ქანქარის რხევის დროს აღიძვრება.
2. რა არის ქანქარის რხევითი მოძრაობის მილევის მიზეზი?

## რა შეიტყვეთ

დროის განმავლობაში რამე პროცესის გამეორებას —— ეწოდება. —— არის დროის განმავლობაში მექანიკური მოძრაობის გამეორების პროცესი. რხევით მოძრაობაზე დაკვირვებისთვის გამოიყენება —— ან ——.

საკანკო სიტყვები  
ზამარიანი ქანქარა  
რხევა  
მექანიკური რხევა  
ძაფიანი ქანქარა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რით განსაზღვავდება რხევითი მოძრაობა სხვა სახის მექანიკური მოძრაობებისგან?
2. რა აიძულებს ზამბარაზე დაკიდებულ ტვირთს, შეასრულოს ვერტიკალური რხევები, თუ მას ქვევთ დატწევთ და ხელს გავუშვებთ?
3. რატომ აგრძელებს წონასწორობის მდგომარეობიდან გამოყვანილი ქანქარა მოძრაობას წონასწორობის მდგომარეობაში გავლის შემდეგ?
4. განსაზღვრეთ, ქვემოთ ჩამოთვლილი მოძრაობებიდან რომელია რხევითი მოძრაობა: ფეხბურთელის საჯარიმო დარტყმა, ავტომობილის რყევა რესორებზე, აკრობატის ხტომები ბატუტზე (დრეკად ბადეზე), პეპლის ფრთების მოძრაობა, სიმების ვიბრირება.

## 6.2. რხევითი მოძრაობის დამასასიათებალი ფიზიკური სიღილეები

ქანქარები წონასწორობის მდგომარეობის მიმართ ასრულებენ სწრაფ ან ნელ რხევით მოძრაობებს.

- რას ნიშნავს ქანქარის სწრაფი ან ნელი რხევა?
- რა მახასიათებლების მიხედვით შეგვიძლია განვასხვავოთ მექანიკური რხევითი მოძრაობები?

რხევებისთვის, ისევე როგორც სხვა მექანიკური მოძრაობებისთვის, არსებობს მათი დამახასიათებელი ფიზიკური სიდიდეები. ეს ფიზიკური სიდიდეებია: ქანქარის წანაცვლება (გადახრა), რხევის ამპლიტუდა, რხევის პერიოდი და რხევის სიხშირე.

**რას ნიშნავს ქანქარის გადახრა?** ქანქარის გადახრა არის გარკვეული მანძილი, რომლითაც ის დაშორდება წონასწორობის მდგომარეობას.

**რა არის რხევის ამპლიტუდა?** გამოვიყენოთ ქანქარა წონასწორობის მდგომარეობიდან და შევაკვიროთ, მაგ. წერტილ 1-ში. შემდეგ გავუშვათ ხელი. ქანქარა გადაადგილდება მარჯვნივ, გაივლის წონასწორობის მდგომარეობას და აღმოჩნდება წერტილ 2-ში, სადაც წამოთ გაჩერდება და მოძრაობას გააგრძელებს საპირისპირო მიმართულებით, მარცხნივ (ა).

ამგვარად, ქანქარა ასრულებს რხევით მოძრაობას ორ წერტილს შორის, რომლებიც წონასწორობის მდგომარეობიდან ყველაზე მეტადაა დამორჩებული.

რხევის ამპლიტუდა არის ყველაზე დიდი (მაქსიმალური) მანძილი, რომლითაც ქანქარა შორდება წონასწორობის მდგომარეობას.

ქანქარის გადაადგილებას ერთი უკიდურესი მდგომარეობიდან მეორე უკიდურეს მდგომარეობაში და დაბრუნებას პირველ უკიდურეს მდგომარეობაში სრული რხევა ეწოდება.

ამპლიტუდა ალინიშნება  $A$  ასოთი ან  $x_{\text{ქან}} - \text{o}$  და მისი საზომი ერთეული SI სისტემაში არის მეტრი:

$$[A] = [x_{\text{ქან}}] = 1 \text{ მ.}$$

**რხევის პერიოდი.** რხევის პერიოდი არის დრო, რომელიც საჭიროა ერთი სრული რხევის შესასრულებლად. რხევის პერიოდი ალინიშნება  $T$  ასოთი და მისი საზომი ერთეული SI სისტემაში არის წამი:

$$[T] = 1 \text{ წ.}$$

თუ დროის გარკვეული  $t$  შუალედის განმავლობაში ქანქარა ასრულებს  $N$  სრულ რხევას, მაშინ რხევის პერიოდი განისაზღვრება ფორმულით:


$$T = \frac{t}{N}$$

## კვლევითი სამუშაო-1. რხევის პერიოდის განსაზღვრა.

სამუშაოსთვის საჭიროა: ძაფიანი ქანქარა (ბ), წამჩნომი.

სამუშაოს მსვლელობა:

1. გადახარეთ ქანქარა წონასწორობის მდგომარეობიდან 4 სმ-ით და შეაკავეთ ამ მდგომარეობაში (მანძილი განსაზღვრეთ სახაზავით).
2. ბურთულას გაუშვით ხელი და იმავდროულად ჩართეთ წამტხომი. განსაზღვრეთ ერთი სრული რხევისთვის საჭირო დრო.
3. ცვალეთ რხევის ამპლიტუდა და სრული რხევების რაოდენობა და გამოივალეთ რხევის პერიოდი. მიღებული შედეგებით შეავსეთ ცხრილი სამუშაო რვეულში.



ცდის ნომერი	ამპლიტუდა (სმ)	სრული რხევების რაოდენობა	ერთი სრული რხევისთვის დასარჯული დრო (წმ)	რხევის პერიოდი (წმ)
1	4	1		
2	2	2		
3	5	3		

იმსჯელეთ შედეგებზე: 1. რომელი ფორმულით გამოითვლება რხევის პერიოდი? 2. რა აღმოაჩინეთ ძაფიანი ქანქარის რხევის ამპლიტუდისა და სრული რხევების რაოდენობის ცვლილების დროს გამოთვლილი რხევის პერიოდის მნიშვნელობების ანალიზისა?

**რხევის სიხშირე.** რხევის სიხშირე არის ერთ წამში შესრულებული სრული რხევების რიცხვი. რხევის სიხშირე აღინიშნება ბერძნული ასოთი  $v$  (ნიუ). თუ ქანქარა  $t$  დროში  $N$  რაოდენობის სრულ რხევას ასრულებს, მაშინ მისი რხევის სიხშირე განისაზღვრება ფორმულით:

$$v = \frac{N}{t}$$

ერთეულთა SI სისტემაში რხევის სიხშირის საზომ ერთეულად მიღებულია იმ ქანქარის რხევის სიხშირე, რომელიც ერთ წამში ერთ რხევას ასრულებს. ამ ერთეულს ჰერცი (ჰც) ენოდება. მას ეს სახელი გერმანელი ფიზიკოსის ჰენრიხ ჰერცის პატივსაცემად დაერქეა:

$$v = \frac{N}{t} = \frac{1}{\text{წმ}} = 1 \text{ ჰც}$$

რხევის პერიოდი და რხევის სიხშირე ურთიერთშებრუნებული სიდიდეებია:

$$T = \frac{1}{v}; \quad v = \frac{1}{T}$$

## შეძენილი ცოდნის გამოყენება

### კვლევითი სამუშაო-2. რხევის სიხშირის განსაზღვრა.

სამუშაოსთვის საჭიროა: ბურთულა 25 მმ-ის დიამეტრით, რომელიც დაკიდებულია 35-40 სმ სიგრძის ძაფზე, შტატივი, წამტხომი, სახაზავი.

სამუშაოს მსვლელობა:

1. ძაფზე დაკიდებული ბურთულა გადახარეთ 5 სმ-ით და შეაკავეთ (მანძილი გაზომეთ სახაზავით).

2. გაუშვით ბურთულას ხელი, ამავდროულად ჩართეთ წამმზომი. განსაზღვრეთ დრო, რომელიც დასჭირდა სამი სრული რხევის შესრულებას.
3. ცვალეთ ამპლიტუდა და სრული რხევების რიცხვი და გამოითვალეთ რხევის სიხშირები. მიღებული შედეგები შეიტანეთ სამუშაო რვეულში დახაზულ ცხრილში.

ცდის ნომერი	ამპლიტუდა (სმ)	სრული რხევების რაოდენობა	ერთი სრული რხევისთვის დახარჯული დრო (ნმ)	რხევის სიხშირე (ჰც)
1	5	3		
2	4	1		
3	6	2		

იმსჯელეთ შედეგებზე: 1. რომელი ფორმულით გამოითვლება რხევის პერიოდი? 2. ძაფიანი ქანქარის რხევის ამპლიტუდისა და სრული რხევების რაოდენობის ცვლილების დროს რა „აღმოაჩინეთ“, როგორ იცვლება რხევის სიხშირე?

## რა შეიტყვეთ

ქანქარის გადაადგილებას ერთი უკიდურესი მდგომარეობიდან მეორეში და უკან დაბრუნებას წინა უკიდურეს მდგომარეობაში ----- ეწოდება. ----- არის ქანქარის ყველაზე დიდი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან. ----- არის ერთ წამმი ქანქარის მიერ შესრულებული რხევების რიცხვი. მისი საზომი ერთეული SI სისტემაში არის ----- დროს, რომელიც საჭიროა ერთი სრული რხევის შესასრულებლად, ----- ეწოდება.

**საქანქარ სიტყვები**  
რხევის ამპლიტუდა  
რხევის პერიოდი  
პერიოდი  
რხევის სიხშირე  
სრული რხევა


## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რა მსგავსება და განსხვავებაა რხევის ამპლიტუდასა და გადაადგილებას შორის?
2. რა დროს ანდომებს ქანქარა, რომლის რხევის პერიოდია 2 ნმ, 4 სრული რხევის შესრულებას?
3. ქანქარა 10 ნმ-ში 6 სრულ რხევას ასრულებს. როგორია მისი რხევის სიხშირე?

### 6.3. ტალღა. მექანიკური ტალღები

წვიმის წვეთები წყლის უძრავ ზედაპირზე ქმნიან კონცენტრულ წრეებს, რომლებიც წვეთის დაცემის წერტილიდან ყველა მიმართულებით ვრცელდება.

- რა არის წყლის ზედაპირზე ამ სურათის წარმოქმნის მიზეზი?
- რის გადატანა ხდება კონცენტრული წრეებით წყლის ზედაპირზე?



#### კვლევითი სამუშაო-1. შევისწავლოთ მექანიკური ტალღები.


**სამუშაოსთვის საჭიროა:** წყლით სავსე კიუვეტი, პლასტმასის პატარა ბურთი, კენჭი.

**სამუშაოს მსვლელობა:**

1. შეავსეთ კიუვეტი წყლით. გარკვეული სიმაღლიდან ჩააგდეთ მასში კენჭი. დააკვირდით წყლის ზედაპირზე ტალღების წარმოქმნისა და გავრცელების პროცესს (ა).
2. მოათავსეთ წყლის ზედაპირზე პლასტმასის ბურთი და დააკვირდით, როგორ მოქმედებს ბურთის მდებარეობაზე წყლის ზედაპირზე ტალღების გავრცელების პროცესი.

**იმსჯელეთ შედეგებზე:**

1. როგორ იცვლება პლასტმასის ბურთის მდებარეობა წყლის ზედაპირზე ტალღების გავრცელების დროს?
2. ტალღის მოქმედებით პლასტმასის ბურთი ასრულებს რხევით მოძრაობას ერთსა და იმავე ადგილზე და არ მოძრაობს ტალღის გავრცელების მიმართულებით (ბ). რა გადააქვს ტალღას?



• **ტალღა არის ნივთიერებაში (ან ფიზიკურ ველში)** წარმოქმნილი რხევების გავრცელების პროცესი დროის გამავლობაში.

ზღვის ტალღების წარმოქმნა, თარის სიმებში მედიატორის მოქმედებით წარმოქმნილი ვიბრაციის გავრცელება, სიმებ რხევით წარმოქმნილი ბგერის გავრცელება გარემოში – ეს ყველაფერი ტალღებია.

რა არის **მექანიკური ტალღა?** მექანიკური ტალღა არის დროის განმავლობაში გარემოში მექანიკური რხევების გავრცელების პროცესი.

მექანიკური ტალღების წყაროა სხეული (ან მისი შემადგენელი ნაწილაკები), რომელიც რხევებს ასრულებს. მექანიკური ტალღა შეიძლება მხოლოდ ისეთ გარემოში წარმოქმნას, რომელშიც რხევისას წარმოქმნილი დეფორმაციის გამო დრეკადობის ძალა აღიძვრება. ამის გამო სხირად მექანიკურ ტალღას დრეკად ტალღას უნიდეტენ, ხოლო გარემოს, რომელშიც ის წარმოქმნება – დრეკად გარემოს. რადგან მყარი სხეული, სითხე და აირი დრეკადი გარემოა, მათში შესაძლებელია მექანიკური ტალღების წარმოშობა. მექანიკური ტალღის არსებობა გულისხმობს ორ ერთდროულ პროცესს:

1) სხეულის (ან მისი ატომებისა და მოლეკულების) რხევით მოძრაობას;

- 2) ამ რხევითი მოძრაობით გამოწვეული დეფორმაციის გავრცელებას გარემოში (ან სხეულში) მაგალითად, წყლის ზედაპირზე ბურცობებისა და ჩაღრმავებების გავრცელებას (გ).

მექანიკური ტალღით ხდება რხევითი მოძრაობის ენერგიის გადატანა. მექანიკური ტალღა ვაკუუმში არ აღიძვრება, რადგან ვაკუუმში არ არის გარემო (ნაწილაკები), რომელიც დეფორმაციას განიცდის.




## შეძენილი ცოდნის გამოყენება

კვლევითი სამუშაო-2. კიდევ რა გადააქვს მექანიკურ ტალღას?


სამუშაოსთვის საჭიროა: წყლიანი კიუვეტი, ფანქარი, 5 სმ-ის სიგრძის სახაზავი.

**სამუშაოს მსვლელობა:**


1. ფანქარის ბოლო რამდენჯერმე შეახეთ წყლის ზედაპირს და სამუშაო რვეულში დახატეთ წარმოქმნილი სურათი (დ).
2. წყლის ზედაპირს შეახეთ სახაზავის ჯერ ვიწრო, შემდეგ ფართო მხარე. მიღებული სურათი ჩაიხატეთ სამუშაო რვეულში (ე, ვ).




1



2



3



**იმსჯელეთ შედეგებზე:** რით განსხვავდება წყლის ზედაპირზე წარმოქმნილი ტალღები? 2. რა გადააქვს ტალღებს, ენერგიის გარდა?

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რა არის ტალღის წარმოქმნის მიზეზი?
2. რით განსხვავდება ტალღა და მექანიკური რხევა?
3. რატომ არ გადაადგილდება წყალში გავრცელებულ ტალღებთან ერთად ქაფ-პლასტი, რომელიც წყლის ზედაპირზეა?
4. რა პროცესებს და როგორ შეგვიძლია დავაკვირდეთ მექანიკურ ტალღებში?

## 6.4. მექანიკური ტალღის სახეები. ტალღის დამახასიათებელი ფიზიკური სიზიდურები

სითხეებში ტალღის გავრცელება ხასიათდება ჩანაცვლებისა და ბურცობების მონაცვლეობით. ზოგჯერ ძლიერი ქარის მოქმედებით ოკეანეში უზარმაზარი ჩანერქილობები და ბურცობები წარმოიქმნება.

- შესაძლებელია თუ არა ამ ტიპის ტალღების წარმოქმნა მყარ სხეულებსა და აირებში?
- რაზეა დამოკიდებული ტალღის ფორმის ცვლილება?



### მექანიკური ტალღის სახეები


ფორმის მიხედვით მექანიკური ტალღები ორი სახისაა: განივი და გრძივი.

- ტალღას ენერგება განივი, თუ გარემოს ნაწილაკების რხევის მიმართულება ტალღის გავრცელების მიმართულების მართობულია.

განივ ტალღაში გარემო, რომელშიც ტალღა ვრცელდება, დეფორმაციას განცდის. ხდება გარემოს ფორმის ცვლილება გარემოს შემადგენელი ნაწილაკების რხევის მიმართულებით. ამის გამო განივი ტალღა წარმოადგენს ჩანერქილობებისა და ბურცობების მონაცვლეობას (ა).


რადგან დრეკადობის ძალები მყარი სხეულების ფორმის ცვლილების შედეგად წარმოიქმნება, განივი ტალღებიც ძირითადად მყარ სხეულებში აღიძვრება. განივი ტალღები შეიძლება აღიძრას სითხის ზედაპირზეც, მაგრამ ამ შემთხვევაში ტალღები სიმძიმის ძალისა და ზედაპირული დაჭიმულობის ძალის ხარჯზე აღიძვრება.

#### ა განივი ტალღა



- ტალღას ენერგება გრძივი, თუ გარემოს ნაწილაკების რხევის მიმართულება ტალღის გავრცელების მიმართულების პარალელურია.


გარემოში, რომელშიც გრძივი ტალღა ვრცელდება, წარმოიქმნება გარემოს შეკუმშული და გაფართოებული უბნები (ბ). ამ სახის ტალღები აღიძვრება ყველა გარემოში (მყარ სხეულებში, აირებსა და სითხეებში).



**კვლევითი სამუშაო.** გავარკვით განსხვავება გრძივ და განივ ტალღებს შორის. სამუშაოსთვის საჭიროა: ზონარი (1-1,5 მ), დრეკადი ზამბარა, შტატივი.

**სამუშაოს მსვლელობა:**

1. ზონრის ერთი ბოლო მიამაგრეთ უძრავ ობიექტს (სკამს, მაგიდას, სხვა ავეჯს). ზონრის მეორე ბოლოთი შეასრულეთ რხევითი მოძრაობები ზევით-ქვევით და ზონარში აღძარით ტალღა (გ).
2. დრეკადი ზამბარის ერთი ბოლო მიამაგრეთ სამუშაო მაგიდაზე მოთავსებულ შტატივზე. სიმყარისთვის ერთ-ერთმა თქვენგანმა ხელით შეაკავოს შტატივი მაგიდაზე. ზამპარის თავისუფალი ბოლოთი მაგიდის ზედაპირის გასწვრივ შეასრულეთ რხევითი მოძრაობები წინ და უკან (დ).



**იმსჯელეთ შედეგებზე:** რა სახის მექანიკური ტალღები მივიღეთ ზონრისა და ზამბარის საშუალებით? დაასაბუთეთ პასუხები.


ტალღის დამახასიათებელი ფიზიკური სიდიდეებია ტალღის სიგრძე და ტალღის გავრცელების სიჩქარე.

- ტალღის სიგრძე ენდეგბა მანძილს, რომელზეც ვრცელდება ტალღა რხევის ერთი პერიოდის განმავლობაში.

ტალღის სიგრძე აღინიშნება ბერძნული ასოთი  $\lambda$  (ლამბდა) და მისი საზომი ერთეული ერთეულთა SI სისტემაში არის მეტრი:

$$[\lambda] = 1 \text{ მ.}$$

განივი ტალღის სიგრძე არის მანძილი ორ მეზობელ ბურცობს ან მეზობელ ჩაზნებითობას შორის (ე). გრძივი ტალღის სიგრძე კი არის მანძილი ორ მეზობელ შეკუმშვას ან მეზობელ გაფართოებას შორის (ვ).



- ტალღის სიჩქარე გარემოში რხევების გავრცელების სიჩქარეა. რადგან დრეკად გარემოში ტალღა რხევის ერთი პერიოდის განმავლობაში ტალღის სიგრძის ( $\lambda$ ) ტოლ მანძილს გადის, ტალღის სიჩქარე განისაზღვრება ფორმულით:

$$v = \frac{\lambda}{T}$$

სადაც  $v$  – ტალღის სიჩქარეა,  $T$  – რხევის პერიოდი. ეს ნიშნავს, რომ ტალღის სიჩქარე ტალღის სიგრძისა და რხევის პერიოდის შეფარდების ტოლია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ  $T = \frac{1}{v}$ , ტალღის სიჩქარისთვის მივიღებთ:

$$v = \lambda \cdot f$$

- ტალღის სიჩქარე ტალღის სიგრძისა და მისი რხევის სიხშირის ნამრავლის ტოლია.

## შეძენილი ცოდნის გამოყენება

ამოხსენით ამოცანა:

- გამოთვალეთ ტალღის გავრცელების სიჩქარე, თუ ტალღის სიგრძე 8 მ-ია, ხოლო მისი რხევის სიხშირე – 55 ჰერცი.
- განსაზღვრეთ ტალღის რხევის პერიოდი, თუ მისი სიგრძე 16 მ-ია, ხოლო გავრცელების სიჩქარე – 32 მ/წმ.

## რა შეიტყვეთ

-----, თუ მისი გავრცელების მიმართულება ნაწილაკების რხევის მიმართულების მართობულია. ----- კი ვრცელდება ნაწილაკების რხევის მიმართულების გასწვრივ. მანძილს, რომელზეც ვრცელდება ტალღა რხევის ერთი პერიოდის განმავლობაში, ----- ეწოდება. ----- არის გარემოში რხევების გავრცელების სიჩქარე.


**საკვადრო სიტყვები**  
ტალღის სიჩქარე  
გრძივი ტალღა  
ტალღის სიგრძე  
განივი ტალღა

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა


- რით განსხვავდება განივი ტალღა გრძივი ტალღისგან?
- რა სახის მექანიკური ტალღები შეიძლება ალიძრას აირებში?
- რა სახის მექანიკური ტალღები შეიძლება ალიძრას მყარ სხეულებში?
- ტბის ზედაპირზე ტალღა 6 მ/წმ სიჩქარით ვრცელდება. განსაზღვრეთ ტივტივას რხევის პერიოდი და სიხშირე, თუ ტალღის სიგრძე 3 მ-ია.

## სავარჯიშო – 14

- რა ენერგება რხევითი მოძრაობის დროს სხეულის მაქსიმალურ გადახრას წონასწორობის მდგომარეობიდან?
- ქანქარა 2 წთ-ში 600 რხევას ასრულებს. როგორია ქანქარის რხევის სიხშირე და პერიოდი?
- ნახატზე წარმოდგენილია ძაფიანი ქანქარა, რომელიც რხევებს ასრულებს. გამოთვალეთ ქანქარის რხევის პერიოდი და სიხშირე, თუ ის მე-2-დან 1-ლ წერტილში 4 წმ-ის განმავლობაში გადაადგილდება.
- ზამბარიანი ქანქარა  $M$  და  $N$  წერტილებს შორის ასრულებს რხევებს. განსაზღვრეთ მისი რხევის ამპლიტუდა და რხევის პერიოდის განმავლობაში გავლილი მანძილი (О წონასწორობის წერტილია).



- ოკეანის ზედაპირზე გავრცელებული ტალღის სიგრძე 200 მ-ია, პერიოდი – 10 წმ. განსაზღვრეთ ტალღის გავრცელების სიჩქარე.



## 6.5. პგერითი ტალღები

• რა მოვლენაზეა დაფუძნებული სამედიცინო ხელსაწყო ექოსკოპის მოქმედება?





• სკოლის თავზე რეაქტიული თვითმფრინავის გადაფრენის დროს საკლასო ოთახის მინების ვიბრაცია შეინიშნება. რატომ?



**კვლევითი სამუშაო-1. რა აიძულებს ქანქარას შეასრულოს რხევები?**

სამუშაოსთვის საჭიროა: ფეხსაცმლის ყუთი, რომელსაც ძირის მაგივრად კალკის ქალალდი აქვს მიწებებული (2 ცალი), შტატივი (2 ცალი), ძაფიანი ქანქარა (2 ცალი: ერთი – მეტალის პატარა ბურთულით, მეორე – პლასტმასის მსუბუქი ბურთულით).



**სამუშაოს მსვლელობა:** 1. განათავსეთ ყუთები ღია მხრით ერთმანეთის პირისპირ, 25-30 სმ-ის მანძილზე. ქანქარები მოათავსეთ ყუთების გვერდით ისე, რომ წონასწორობაში მყოფი ბურთულები კალკის ზედაპირს ეხებოდეს (ა). 2. მეტალის ბურთულა მცირედ გადახარეთ წონასწორობის მდგომარეობიდან და გაუშვით ხელი. დაფიქრდით და იმსჯელეთ მომხდარი მოვლენის მიზეზებზე (ბ).

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. რატომ გადაიხარა წონასწორობაში მყოფი პლასტმასის ბურთულა მარჯვენა ყუთიდან მეტალის ბურთულის მარცხენა ყუთთან დაჯახებისას?

2. რა აიძულებს პლასტმასის ბურთულიან ქანქარას დაინტერესოს რხევითი მოძრაობა?

**ბგერითი ტალღები.** მექანიკური ტალღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა ბგერითი ტალღები ან უბრალოდ ბგერა. ბგერითი ტალღები ვრცელდება დრეკად გარემოში.



• ბგერითი ტალღები არის მექანიკური ტალღების სახე, რომლებიც ვრცელდება დრეკად გარემოში და იწვევს სმენით შეგრძნებებს.

ადამიანის ყური ბგერით ტალღებს მხოლოდ 16-დან 20 000 ჰertz-მდე სიხშირის ინტერვალში შეიგრძნობს. ადამიანი სმენის ორგანოების საშუალებით იღებს ინფორმაციას გარემოს შესახებ, რის საფუძველზეც უყალიბიდება შეტყველება. ამიტომ ბგერის შესწავლა მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მეცნიერება, რომელიც ბგერის ფიზიკურ ბუნებას შეისწავლის, აკუსტიკა ეწოდება.

როგორ ნარმოქმნის ბგერა? ბგერით ტალღებს ნარმოქმნის მერხევი წყაროები. ბგერის წყაროები იყოფა ორ ჯგუფად: ბუნებრივად და ხელოვნურად.

ბგერის ბუნებრივი წყაროები არის ბუნებაში არსებული ყველა წყარო, რომელიც ბგერას ნარმოქმნის, მაგალითად: ადამიანი, მცენარე, კოლო, ფრინველი, ჩანჩქერი, ქარი, წვიმა და სხვ. (გ)

ბგერის ხელოვნური წყაროებია კამერტონი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ზანზალაკი, სასტვენი და სხვ. (დ)



**იცით თუ არა, რომ?** კამერტონი, რომელიც მე-18 საუკუნეში გამოიგონეს, ჩანგლის ფორმის მეტალის სხეულია, რომელსაც ორი მუხლი აქვს. კამერტონის ერთ-ერთ მუხლზე დარტყმისას იგი ყოველთვის ერთი და იმავე სიხშირის ბგერას გამოსცემს (440 ჰertz-ს, ეს არის პირველი ოქტავის ნოტი „ლა“). ამ თვისების გამო კამერტონი მუსიკალური ინსტრუმენტების ასაწყობად გამოიყენება. კამერტონის მიერ გამოცემული ბგერის გასაძლიერებლად მას ამაგრებენ ერთი მხრიდან ღია ყუთზე, რომელსაც რეზონატორი ეწოდება.




## კვლევითი სამუშაო-2. ბგერის წყარო მერხევი სხეულია.

სამუშაოსთვის საჭიროა: კამერტონი, რეზინისთავიანი ჩაქუჩი, ძაფიანი ქანქარა.

სამუშაოს მსვლელობა: ყურადღებით დააკვირდით მოვლენას, რომელიც მოხდება კამერტონის მუხლზე ჩაქუჩის დარტყმისა და მასთან ძაფიანი ქანქარის შეხების შემდეგ.


### იმსჯელეთ შედეგებზე:

- რა ხდება კამერტონის მუხლზე რეზინისთავიანი ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ?
- რატომ იწყებს რხევას ძაფიანი ქანქარა კამერტონის მუხლთან შეხების შემდეგ?



როგორ ვრცელდება ბგერითი ტალღები გარემოში? მუსიკალური ინსტრუმენტის სიმზე ან დრეკად ფირფიტაზე ხელის გამოკვრის შემდეგ ისინი ბგერას გამოსცემენ. როგორ ვრცელდება ეს ბგერა? ფირფიტის მარჯვნივ გადახრისას მის მარჯვნივ, ფირფიტასთან ახლოს არსებული ჰაერის მოლეკულებს შორის მანძილი მცირდება, ხოლო მის მარცხნივ არსებული ჰაერის მოლეკულებს შორის მანძილი, პირიქით, იზრდება. შემდგომში, რხევითი მოძრაობის შესრულებისას, ფირფიტა მონაცვლეობით წარმოქმნის ჰაერის შეკუმშულ და გაფართოებულ უბნებს. ამის შედეგად ჰაერში გავრცელდება ბგერითი ტალღა (ე). ეს ნიშნავს, რომ ბგერთი ტალღა გრძივი ტალღაა.

### 3 ბგერითი ტალღის გავრცელება ჰაერში



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

### კვლევითი სამუშაო-3. შესაძლებელია თუ არ ბგერის გავრცელება წყალში?

სამუშაოსთვის საჭიროა: მეტალის კოვზი (2 ცალი), რეზინის მოქნილი მილი (50-70 სმ-ის სიგრძის), აკვარიუმი (ან ჰლასტმასის ღრმა ჭურჭელი), ძაბრი (2 ცალი), მაკრატელი, ბუშტი, წებოვანი ლენტი.

### სამუშაოს მსვლელობა:

- რეზინის მილის ბოლოები ჩამოაცვით ძაბრებს. მაკრატლის საშუალებით მოჭერით ბუშტის ნაწილი, გადაჭიმეთ ერთ-ერთ ძაბრზე და დაამაგრეთ წებოვანი ლენტით.
- გაავსეთ ჭურჭელი წყლით და ჩაუშვით მასში რეზინით დაფარული ძაბრი.

3. ლია ძაბრი მიიდეთ ყურზე. კოვზები მიარტყოთ ერთმანეთს ჯერ ჰაერში, შემდეგ წყალში (ვ).



#### იმსჯელეთ შედეგებზე:

1. გესმით თუ არა ჰაერში კოვზების ერთმანეთზე დარტყმის ხმა?
2. გესმით თუ არა წყალში კოვზების ერთმანეთზე დარტყმის ხმა? რატომ?

### რა შეიტყვეთ

მექანიკური ტალღის ერთ-ერთი სახე, რომელიც დრეკად გარემოში ვრცელდება, არის ----- . ბგერის წყარო, რომელიც მუსიკალური ინსტრუმენტების ასაწყობად გამოიყენება, არის ----- . რადგან ბგერის შეკუმშვითა და გაფართოებით ვრცელდება, ის ----- . მეცნიერებას, რომელიც ბგერას შეისწავლის, ----- ეწოდება. ადამიანის ყური შეიგრძნობს ----- -დან ----- -მდე სიხშირის ბგერებს.

#### საკვანძო სიტყვები

16 ჰც  
20000 ჰც  
აკუსტიკა  
ბგერითი ტალღა  
გრძივი ტალღა  
კამერტონი

### შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რა თვისებები აქვს ბგერას?
2. თაფლის შეგროვებისას ფუტკარი წამში 250-ჯერ იქნევს ფრთებს. როგორია ფუტკრის ფრთების რხევის სიხშირე და გვესმის თუ არა ჩვენ ეს ხმა?
3. ზოგჯერ კოსმოსურ სივრცეში მძლავრი აფეთქებები ხდება. რატომ არ გვესმის ამ აფეთქებების ხმა?

### პროექტი


დავამზადოთ „მარტივი ტელეფონი“.

**სამუშაოსთვის საჭიროა:** წვერის ცარიელი მეტალის ქილები (4 ცალი), ასანთი (4 ცალი), 1,5 – 2 მ-ის სიგრძის ძაფი და ძუა, ლურსმანი, ჩაქუჩი.

**სამუშაოს მსვლელობა:**

1. ლურსმნის საშუალებით გახვრიტეთ ქილების ძირები. გააძვრინეთ ძაფის ბოლოები ხვრელებში და მიაბით ასანთის ლერებს (ა).


2. მიიღეთ ქილა ყურზე, გაჭიმეთ ძაფი და მოუსმინეთ, რას ამბობს მეორე ქილაში თქვენი და (ან ძმა). თუ თქვენ ილაპარაკებთ, მაშინ თქვენმა დამ მოგისმინოთ (ბ).



3. გაიმეორეთ იგივე ცდა მეორე ორი ქილისა და ძუის გამოყენებით.  
4. დაწერეთ პატარა ესე თქვენი დაკვირვების შესახებ.

## 6.6. პგერის სიჩქარე. ექო

- იმის მიუხედავად, რომ ქუხილი და ელვა ერთდროულად ხდება, ჩვენ ჯერ ელვას (1) ვხედავთ და მხოლოდ ამის შემდეგ გვესმის ქუხილის ხმა. რატომ?



### ბგერის სიჩქარე

- დრეკად გარემოში ბგერის სიჩქარე რიცხობრივად ბგერითი ტალღის მიერ დროის ერთეულში გავლილი მანძილის ტოლია.


ბგერითი ტალღის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია გარემოს დრეკად თვისებებზე. ცდებით დადგინდა ბგერის გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა გარემოში (იხ. დანართი, ცხრილი 3). ცხრილიდან ჩანს, რომ ბგერა მყარ სხეულებში უფრო დიდი სიჩქარით ვრცელდება.

## კვლევითი სამუშაო-1. რომელ გარემოში ვრცელდება ბგერა უფრო დიდი სიჩქარით?

**სამუშაოსთვის საჭიროა:** რეზონატორიანი კა-მერტონი, რეზინისთავიანი ჩაქუჩი, წყლიანი მენზურა (ან ჭიქა), ხის ღერი (20-30 სმ-ის სიგრძის), ხის საცობი (რომლის დიამეტრიც ნაკლებია მენზურის დიამეტრზე).

**სამუშაოს მსვლელობა:**

1. მოხსენით კამერტონი რეზონატორს და რეზონატორის ხვრელზე დადგით წყლიანი მენზურა (ან ჭიქა).
2. კამერტონს წამოაცვით საცობი, ააჟღერეთ და მისი საცობიანი ბოლო 1-2 სმ-ზე ჩაძირეთ მენზურაში ჩასხმულ წყალში (ა). ყურადღება მიაქციეთ კამერტონის უღერადობას.
3. რეზონატორის ხვრელში ჩაამაგრეთ ხის ღერი. ააჟღერეთ კამერტონი და დაადეთ ღერის თავისუფალ ბოლოს (ბ). ყურადღება მიაქციეთ კამერტონის უღერადობას.




**იმსჯელეთ შედეგებზე:** რომელი გარემოს გავლის შემდეგ იყო ბგერა უფრო მკაფიო და უფრო სწრაფად მოაღწია ყურამდე? რატომ?

ბგერითი ტალღების მნიშვნელოვანი თვისებაა დაბრკოლებისგან მათი არეკვლის უნარი – ექი.

• **ექი** ეწოდება ბგერითი ტალღის დაბრუნებას იმ დაბრკოლებებისგან არეკვლის შემდეგ, რომლებიც გავრცელების გზაზე ხვდება.

მაგალითად, ადამიანმა, რომელიც მთებში თავის მეგობარს მოუხმობს, რამდენიმე წამში შეიძლება თავისი ხმა, ანუ თავისი ხმის ექი, გაიგონოს (გ).

გ



ბგერითი ტალღების ეს თავისებურება, ანუ ექი, ფართოდ გამოიყენება ყოფა-ცხოვრებასა და ტექნიკაში. ხელსაწყო ექილოტის მოქმედება დამყარებულია ექის მოვლენაზე.

ეს ხელსაწყო გამოიყენება ზღვებისა და ოკეანეების სიღრმის გასაზომად, აგრეთვე თევზების თავმოყრის ადგილების დასადგენად.

გემის ძირზე დაყენებული ბგერის წყარო ზღვის ფსკერისკენ ხანმოკლე სიგნალებს აგზავნის. ზღვაში არსებული ობიექტებიდან არეკვლის შემდეგ ბგერით სიგნალს იჭერენ მგრძნობიარე ხელსაწყოთი – ექოლოგით, რომელიც გემზეა მოთავსებული (დ).

თუ გვეცოდინება წყალში ბგერის გავრცელების სიჩქარე და დროის შუალედი სიგნალის გაგზავნიდან მიღებამდე, შევძლებთ გამოვთვალოთ წყალში არსებულ ობიექტამდე მანძილა:


$$h = \frac{vt}{2}$$

$h$  – მანძილი გემიდან ობიექტამდე.

$v$  – ბგერის სიჩქარე წყალში.

$t$  – დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც სიგნალი მიდის ობიექტამდე და ბრუნდება უკან.

$\frac{t}{2}$  – დრო, რომელიც სიგნალს სჭირდება ობიექტამდე მისასვლელად ან უკან დასაბრუნებლად.



- ბგერითი ლოკაცია არის ბგერითი ტალღების გამოყენებით ობიექტის მდებარეობის (ობიექტამდე მანძილის) განსაზღვრის მეთოდი.

## შეძენილი ცოდნის გამოყენება

ამოხსენით ამოცანები:

- ბგერის ექმ 2 წმ-ის შემდეგ გაიგეს. განსაზღვრეთ მანძილი დაბრკოლებამდე (ბგერის გავრცელების სიჩქარე ჰაურში 340 მ/წმ-ის ტოლია).
- ქუხილის ხმა გაელვებიდან 8 წმ-ის შემდეგ გაისმა. დამკვირვებლისგან რა მანძილზე დაუცა მეხი (ბგერის გავრცელების სიჩქარე ჰაურში 340 მ/წმ-ის ტოლია)?

## რა შეიტყვეთ

----- გარემოში რიცხობრივად ბგერითი ტალღის მიერ დროის ერთეულში გავლილი მანძილის ტოლია. ----- ენოდება დაბრკოლებისგან არყოფნილი ბგერითი ტალღის დაბრუნებას. ბგერის სიჩქარე და-მოკიდებულია გარემოს -----, ანუ მყარ სხეულებში ბგერა უფრო დიდი სიჩქარით ვრცელდება, ვიდრე სითხეებსა და აირებში. ----- ენოდება ბგერითი ტალღების საშუალებით საინტერესო ობიექტამდე მანძილის განსაზღვრის მე-თოდს.

### საკვანძო ციტყვები

ბგერის სიჩქარე  
დრეკადობა  
ბგერითი ლოკაცია  
ექმ  
დრეკადი გარემო

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

- რომელი ფორმულით გამოითვლება ბგერის სიჩქარე და რაზეა ის დამო-კიდებული?
- ზარი საკლასო ოთახიდან 340 მ-ითაა დაშორებული. რა დროის შემდეგ გაი-გებს ზარის ხმას კლასში მყოფი მოსწავლე? ბგერის გავრცელების სიჩქარე ჰაურში 340 მ/წმ-ის ტოლია.
- წყალში არსებული ბგერის წყაროს რხევის პერიოდია 0,002 წმ., წარმოქმნილი ბგერითი ტალღის სიგრძე – 2,8 მ. განსაზღვრეთ წყალში ბგერის გავრცელების სიჩქარე.

### საკარჯიშო – 15.

- ტალღის წარმოქმნელი წყარო 10 წმ-ში 25 რხევას ასრულებს. განსაზღვრეთ ტალღის სიგრძე, თუ ის 5 მ/წმ სიჩქარით ვრცელდება.
- განსაზღვრეთ 6800 ჰც სიხშირის ბგერითი ტალღის სიგრძე. ბგერის გავრცე-ლების სიჩქარე ჰაურში 340 მ/წმ-ის ტოლია.
- კამერტონის ბგერის სიხშირე 500 ჰც-ია. როგორია კამერტონის მიერ ფოლადში წარმოქმნილი ბგერითი ტალღის სიგრძე? ბგერის სიჩქარე ფოლადში 5000 მ/წმ-ის ტოლია.
- ულტრაბგერითი სიგნალი, რომელიც ზღვის ფსკერისკენაა მიმართული, 6 წმ-ის შემდეგ ბრუნდება. განსაზღვრეთ ზღვის სიღრმე (ბგერის გავრცე-ლების სიჩქარე წყალში 1500 მ/წმ-ის ტოლია).
- ბგერის წყარო, რომლის რხევის პერიოდია 0,01 წმ, წყალში 14,4 მ სიგრძის ბგერით ტალღას წარმოქმნის. როგორია ბგერის გავრცელების სიჩქარე წყალში?

## 6.7. ტალღები, რომლებსაც ადამიანის ური ვერ შეიგრძნობა. სეისმური ტალღები



- რატომ ხდება მიწისძვრები ადამიანებისთვის მოულოდნელად?
- რატომ გრძნობენ, ადამიანებისგან განსხვავებით, ცხოველები მიწისძვრის მოახლოებას?

**ყველა ბგერის გაგონება შეუძლია თუ არა ადამიანს? ადამიანის ყური ვერ შეიგრძნობს ულტრა- და ინფრაბგერებს.**

• **ულტრაბგერა ენოდება ბგერით ტალღებს, რომელთა სიხშირე 20 000 ჰertz-ზე მეტია.**


ულტრაბგერას ფართოდ იყენებენ ექოლოკაციაში.

მრავალ ცხოველსა და მწერს აქვს ულტრაბგერის შეგრძნების უნარი. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად ლამურა, თვითონ გამოიმუშავებს ულტრაბგერით იმპულსებს (45-90 ჰertz სიხშირის სიგნალებს) და ბგერითი ლოკაციის გამოყენებით ორიენტირებს სივრცეში და მოიპოვებს საკვებს (ა). ულტრაბგერით ტექნოლოგიას ფართოდ იყენებენ ზოგიერთ სცეროში. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის დროს პირველად დამზადეს ულტრაბგერითი ლოკატორები, რომლებიც წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად გამოიყენეს (ბ). ასევე ფართოდ იყენებენ ულტრაბგერით აპარატებს მედიცინაში, ცოცხალი ორგანიზმების შინაგანი ორგანოების დაავადებების აღმოსაჩენად (გ).

5



6



8



### კალევითი სამუშაო-1. როგორია ზღვის სიღრმე?

გემზე განთავსებული ექილოტი 30 კჰ/ც სიხშირის ულტრაბგერას ასხივებს. წყალში გამოსხივებული ულტრაბგერის ტალღის სიგრძე 5 სმ-ია. ზღვის ფსკერისენ გასხივებული სიგნალი ექილოტს 10 წმ-ის შემდეგ უბრუნდება. შეაგადეთ თავისუფალი უჯრები და გამოთვალეთ შესაბამისი სიდიდეები:

- 1) ულტრაბგერის სიჩქარე წყალში; 2) ზღვის სიღრმე.

$$v = \boxed{\quad} \text{ ჰ/ც}$$

$$\lambda = \boxed{\quad} \text{ მ}$$


$$t = \boxed{\quad} \text{ წმ}$$

$$v = \lambda v = \boxed{\quad} \text{ ჰ/ც} \cdot \boxed{\quad} \text{ მ} = \boxed{\quad} \text{ მ/წმ}.$$

$$h = \frac{vt}{2} = \frac{\boxed{\quad} \text{ მ/წმ} \cdot \boxed{\quad} \text{ წმ}}{2} = \boxed{\quad} \text{ მ}.$$

**იმსჯელეთ შედეგებზე:** 1. როგორია წყალში ულტრაბგერის გავრცელების სიჩქარე?

2. ზღვის სიღრმის გამოთვლის დროს რატომ ყოფთ  $vt$ -ს ნამრავლს 2-ზე?



ინფრაბგერა (ლათინურად *infra* – უფრო დაბლა) არის ბგერითი ტალღები, რომელთა სიხშირე 16 ჰ/ც-ზე ნაკლებია. ინფრაბგერის წყარო შეიძლება იყოს: ვულკანის ამოფრქვევა (დ), ნაპირზე ტალღების დაჯახება, რაკეტის გაშეება (ე), ატომური ბომბის აფეთქება (ვ).

დ



ე



ვ



ინფრაბგერის ძირითადი თვისებაა მისი დიდ მანძილებზე გავრცელების უნარი, იმის გამო, რომ თითქმის არ ხდება მისი შთანთქმა გარემოს მიერ. ამ თვისების გამოყენება საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ძლიერი აფეთქებების, ოქანები წარმოქმნილი დიდი ტალღების, მიწისძვრის ეპიცენტრებისა და სხვა მოვლენების კოროდინატები.

**სეისმური ტალღები.** ტალღებს, რომლებიც წამოიქმნება დედამიწის ქერქის სიღრმეში მიწისძვრის ან ძლიერი აფეთქების გამო, სეისმური ტალღები ეწოდება. დედამიწის ქერქში ალძრული სეისმური ტალღების ამპლიტუდა, გავრცელების სიჩქარე, ტალღის სიგრძე და სიხშირე განისაზღვრება ხელსაწყოთი, რომელსაც სეისმოგრაფი ეწოდება (ზ). [თანამედროვე ტელეფონებში არის პროგრამები, რომლებიც სეისმოგრაფის ფუნქციას ასრულებენ (თ)].


წარმოშობის წყაროდან, მაგალითად მიწისძვრის ეპიცენტრიდან, შეიძლება გავრცელდეს სამი სახის სეისმური ტალღა: **P-ტიპის, S-ტიპის** და **L-ტიპის** (ი).

**P-ტიპის ტალღა** არის გრძივი ტალღა, რომელიც ქმნის შეკუმშვებსა და გაფართოებებს დედამიწის ქერქის ფენებს შორის.

**S-ტიპის ტალღა** არის განივი ტალღა, რომელიც ვრცელდება დედამიწის ქერქი მისი ფენების რხევის მართობული მიმართულებით.

**L-ტიპის ტალღა** არის განივი ტალღები, რომლებიც დედამიწის ზედაპირზე ვრცელდება და კატასტროფულ შედეგებს იწვევს.


### ❶ მარტივი სეისმოგრაფი



### ❷ თანამედროვე ტელეფონი სეისმოგრაფის ფუნქციით



### ❸ სეისმური ტალღების ფორმები



## შეძენილი ცოდნის გამოყენება

ამოცანა (ამოხსენით სამუშაო რვეულში).

დედამიწაში სეისმური ტალღა ვრცელდება.  $L$ -ტიპის ტალღა სეისმოგრაფამდე  $P$ -ტიპის ტალღიდან 32 წმ-ის შემდეგ აღწევს.

$P$ -ტიპის ტალღის გავრცელების სიჩქარეა 5,4 კმ/სთ.

$L$ -ტიპის ტალღის გავრცელების სიჩქარეა 3,8 კმ/სთ.

შესაბამისი ფორმულების გამოყენებით განსაზღვრეთ სეისმოგრაფსა და მინის-ძვრის ეპიცენტრს შორის მანძილი და შეავსეთ თავისუფალი უჯრები:

$$v_1 = \boxed{\phantom{00}} \text{ კმ/წმ} = \boxed{\phantom{00}} \text{ მ/წმ}$$

$$v_2 = \boxed{\phantom{00}} \text{ კმ/წმ} = \boxed{\phantom{00}} \text{ მ/წმ}$$

$$t = \boxed{\phantom{00}} \text{ წმ}$$

$$l = h_1 - h_2 = (v_1 - v_2) \cdot t = \left[ \boxed{\phantom{00}} \frac{\text{მ}}{\text{წმ}} - \boxed{\phantom{00}} \frac{\text{მ}}{\text{წმ}} \right] \cdot \boxed{\phantom{00}} \text{ წმ} = \boxed{\phantom{00}} \text{ მ}.$$

იმსჯელეთ შედეგებზე:

1. სეისმოგრაფსა და მინისძვრის ეპიცენტრს შორის მანძილის განსაზღვრის დროს რატომ გამოიყენეთ სეისმური ტალღების სიჩქარეების სხვაობა?
2. რამდენი კილომეტრით არის დაშორებული სეისმოგრაფი მინისძვრის ეპიცენტრიდან?

## რა შეიტყვეთ

----- არის ბერითი ტალღები, რომელთა სიხშირე 20000 ჰე-ზე მეტია. ----- არის ბერითი ტალღები, რომელთა სიხშირე 16 ჰე-ზე ნაკლებია. პირველი ულტრაბერითი ლოკატორები შეიქმნა ----- აღმოსაჩენად. ტალღებს, რომლებიც წარმოიქმნება დედამინის ქერქში მინისძვრის ან ძლიერი აფეთქების შემდეგ, ----- ენოდება. სეისმური ტალღების ამპლიტუდის, სიჩქარის, ტალღის სიგრძისა და რხევის სიხშირის განსასაზღვრად გამოიყენება ხელსაწყო, რომელსაც ----- ეწოდება.

### საკანონი ციტაციები

სეისმური ტალღა  
ულტრაბერა  
სეისმოგრაფი  
ინფრაბერა  
ნყალქვეშა ნავი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რომელი ბუნებრივი მოვლენებია ინფრაბერების წყარო?
2. რა არის ულტრაბერის ძირითადი თვისება და რით განსხვავდება ის ინფრაბერისგან?
3. მოიყვანეთ ულტრაბერითი ლოკაციის მაგალითები.
4. სეისმური ტალღების რომელი სახეობაა ადამიანისთვის ყველაზე სახიფათო? რატომ?

## პროექტი

ინტერნეტის რესურსის გამოყენებით მოამზადეთ ესე თემაზე „ცხოველთა სამყარო და ინფრაბერა“.

## შემაჯამებელი დავალებები

1. განსაზღვრეთ შესაბამისობა:

I. რხევის პერიოდი

II. სიხშირე

III. ამპლიტუდა

- ა – ერთ წამში შესრულებული სრული რხევების როცხვი;
- ბ – ქანქარის მაქიმალური გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან;
- გ – ქანქარის მიერ ერთი სრული რხევის შესრულებისთვის საჭირო დრო;
- დ – ქანქარის წონასწორობის მდგომარეობიდან მაქიმალურად დაშორებულ ორ წერტილს შორის მანძილი;
- ე – სრული რხევების რიცხვის შეფარდება დროსთან, რომელიც მათი შესრულებისთვის დაიხარჯა.

ა) I – ბ;

ბ) I – გ, ე;

გ) I – დ, ე;

დ) I – გ;

ე) I – ა, ე.

II – ა, ე;

II – ა;

II – ა;

II – ა, ე;

II – გ.

III – დ;

III – ბ;

III – გ;

III – ბ;


III – ბ.

2. რხევის სიხშირე 0,04 ჰერცია. განსაზღვრეთ რხევის პერიოდი.

- ა) 0,25 წმ; ბ) 25 წმ; გ) 40 წმ; დ) 2,5 წმ; ე) 4 წმ.

3. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი გამონათქვამი და აირჩიეთ მიმართულება:

თუ გამონათქვამი ჭეშმარიტია – მიმართულება „ჭ“, თუ მცადრია – მიმართულება „მ“.



## FİZİKA – 7

Ümumtəhsil məktəblərinin 7-ci sinfi üçün Fizika fənni üzrə dərslik  
Gürcü dilində

### Tərtibçi heyət:

Müəlliflər: **Mirzəli İsmayılov oğlu Murquzov**  
**Rasim Rəşid oğlu Abdurazaqov**  
**Rövşən Mirzə oğlu Əliyev**

Tərcüməçi **Q.Kareli**  
Redaktor **L.Kadakidze**  
Bədii redaktor **T.Məlikov**  
Texniki redaktor **Z.İsayev**  
Dizayner **Q.Baqrationi**  
Rəssamlar **M.Hüseynov, E.Məmmədov**  
Korrektor **L.Umikəşvili**

Dərsliyin gürcü dilində nəşri “Deogene” nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

Azerbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin 24.07.2014-cü il tarixli 842 №-li emri ilə təsdiq olunmuşdur.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 7,8. Fiziki çap vərəqi 9. Səhifə sayı 144. Kağız formatı  $70 \times 100^{1/16}$ .  
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

“Bakı” nəşriyyatı  
Bakı, AZ 1001, H.Seyidbəyli küç. 30